„ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! – მძინარიც ამას ვდუდუნებ" – *ვაჟა*

განმათავისუფლებელი

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი 2017 წ. ოქტომბერი * №54 * ფასი 1,50 ლარი

გამოდის 2003 წლის დეკემბრიდან



გურჯაანის სოფ. კოლაგის მთავარანგელოზთა ეკლესია, XIX ს.

მართლა დაარბიეს თუ არა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საფლავი?

გვ. 17

„რა ენა წახდეს..."

გვ. 5,7

ხელისუფლების უზურპაცია კონსტიტუციური რევანშით



ლეილა ცომაია

ბიძინა ივანიშვილის ქიმერული ოცნების ხელისუფალთ, საკუთარი მოსახლეობისაგან განსხვავებით, უსამანო ნეტარებაში გრძნობენ რა თავს, მარადიული ხელმწიფეობა განუზრახავთ და აღარც მეორე ვადით კმარობენ ყოფნას; მათი, შორს გატყორცნილი ფანტასმაგორული ფიქრები, აშკარად გაცდა 2020 წლის მიჯნას და 2024 წელსაც გადაწვდა. საკუთარი საპარლამენტო უმრავლესობით განახორციელეს რა კონსტიტუციური რევანში, შეიქმნეს მყარი სამართლებრივი გარანტია ნეოსაბჭოური ტიპის სახელისუფლო მდგრადობისა.

ცნობისათვის: არის ქვეყნები (სახელმწიფოები), მათ შორის ჩვენზე გაცილებით დიდიც, რომლებსაც დღემდე არა გააჩნიათ კონსტიტუცია და მხოლოდ საკანონმდებლო აქტებით და სასამართლოებით იმართებიან. ესენია: ისრაელი, კანადა, საუდის არაბეთი, დიდი ბრიტანეთი, შვედეთი და სხვა, მაგრამ საქართველოს გააჩნია სახელმწიფო კონსტიტუცია და იგი, არცერთი ხელისუფლების ნება-სურვილზე არ უნდა იყოს მორგებული. ჩვენში კი, 2004 წლიდან დაიწყო სახელმწიფო კონსტიტუციის უზურპატორული, დიქტატორული ცვლილებები (2004, 2010, 2013 წ.წ.), რაც დღემდე ხორციელდება. ამგვარი უზურპატორული, ძირეული ცვლილებით, მიმდინარე 2017 წლის 26 სექტემბერის პარლამეტის სხდომის მიერ, თითქმის ახალი კონსტიტუცია იქნა დამტკიცებული. მართალია, მოქმედი კონსტიტუციის რეფორმები კანონით დასაშვები და შესაძლებელია, მაგრამ არა, ყოველი ახალი ხელისუფლების საჭიროებისა თუ ნება-სურვილის მიხედვით, არამედ, მხოლოდ განსაკუთრე-

გაგრძელება გვ. 2

დასაწყისი გვ. 1

ბულ შემთხვევაში; მაგალითად, სახელმწიფოს მმართველობითი სისტემის (მოდელის) შეცვლის შემთხვევაში (საპრეზიდენტო, საპრემიერო, საპარლამენტო).

2017 წლის 26 სექტემბრის კონსტიტუციის ძირეული ცვლილებებით, საქართველო გადადის სრულ საპარლამენტო უმაღლეს მმართველობით ფორმაციაზე , რაზედაც ჩვენ, ჯერ კიდევ მაისში ვპროგნოზირებდით სტატიაში - „საქართველო ძლიერი საპრეზიდენტო სახელმწიფო უნდა გახდეს!“ : „რეალურად კი არ არის გამორიცხული, რომ პარლამენტის ამბიციურ ახალგაზრდა სპიკერს, პირველობის ქვეგამხედვარე გეგმები ამოძრავებდეს; ამგვარი რევანშისტული ცვლილებებით, პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის უფლებების საკუთარ ხელში კონცენტრირება და ძლიერი უფლებამოსილებით აღჭურვილი საქართველოს პარლამენტის სპიკერობა სურდეს“ (იხ. გაზ. „განმათავისუფლებელი“, გვ.2, მე-2 სვ. 2017 წლის მაისი, N53).

საქართველოს სახელმწიფოს სიმბოლიკების შეცვლაზეც, პარლამენტის სპიკერი გიორგი კობახიძე, მართალია ძალიან ფრთხილად, მაგრამ ჯერ კიდევ წლის დასაწყისში ალაპარაკდა. და არ არის გამორიცხული, რომ მოქმედი სიმბოლიკებიც მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდეც შეცვალოს.

განახლებული კონსტიტუციით, პრეზიდენტს კიდევ უფრო შეეკვეცა უფლებამოსილებანი; მას აღარ ექნება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და მოსამართლეების წარდგინებისა და პარლამენტის გადაწყვეტილებებზე ვეტოს დადების უფლება, პრეზიდენტთან აღარ იმუშავებს უშიშროების საბჭო, პრეზიდენტს გაეზარდა ქვედა ასაკობრივი ზღვარი და განისაზღვრა 40 წლით, პრეზიდენტი იქნება საარჩევნო კოლეგიის წევრ 300 ხმოსანთა მიერ არჩეული. ხმოსნების შემადგენლობაში კი იქნებიან, როგორც პარლამენტის, ასევე საკრებულოების წარმომადგენლები, აგრეთვე აჭარისა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრები. ყველა ეს წესი მხოლოდ 2024 წელს შევა ძალაში. მომავალ, 2018 წლის არჩევნებზე კი პრეზიდენტი კვლავ პირდაპირი წესით აირჩევა. ამ კონსტიტუციური ნორმის შენარჩუნება, უთუოდ განპირობებულია, „ოცნების“ მორჩილი საპრეზიდენტო კანდიდატის წინასწარი შერჩევით.

პარლამენტის დეპუტატთა რაოდენობა დარჩა იგივე - 150 წევრი. დარჩა მაჟორიტარების წესიც და მხოლოდ 2024 წელს გაუქმდება იგი, რამეთუ ამ დროისათვის , ხელისუფლებას აღარ დასჭირდება ისინი საკუთარ (მორჩილ) ბიზნეს- პარლამენტარებად.

თბილისის და საკრებულოს მიერ თავისუფლების მოედანზე მშენებარე, ბიძინა ივანიშვილის სასტუმრო „პანორამა თბილისისთვის“, წინამდებარე ტერიტორიის, მიწისქვეშა პარკინგისათვის 1900 კვ/მ, მთაწმინდის ფერდობის, ბოტანიკური ბაღის მიმდებარე თაბორის მთის მიწის 5000 კვმ სიმბოლურ ფასად გადაცემა, საერთო სახალხო საკუთრების გაჩუქებაა. ასევე, ბათუმში, ბოტანიკური ბაღის, მწვანე კონცხის 6300 კვ/მ პლაჟის და ბათუმის სტუდენტური საცხოვრებლის სიმბოლურ ფასად გადაცემაც. აი, რატომ არ იზრდება პენსიები და სოციალური დახმარებები, არც მომავალ 2018 წელს. აი, რატომ არ შენდება საწარმოები, სოფლის მეურნეობის ნაწარმის გადამამუშავებელი ქარხნები, რის ნაცვლად უცხოეთიდან გაცილებით იაფად ხდება უხარისხო ნაწარმის შემოტანა. ბიძინა ივანიშვილის მიერ, წლების განმავლობაში არ გახორციელებულა, სახელმწიფო ბიუჯეტში, მილიონობით ლარის შეტანა მის მიერ მიტაცებული მილიარდზე მეტი ღირებულების ქონების სანაცვლოდ.

ივანიშვილის მერიები და საკრებულოები, აშკარად ჩქარობენ, რომ 21 ოქტომბრის ადგილობრივ არჩევნებამდე მოასწრონ მისთვის მიწის რესურსების მაქსიმალურად გადაცემა, რაც ალბათ იქნება ინდულგენცია მერებისა და საკრებულოს მაღალჩინოსნების შემდგომი ხელშეუხებლობისა და უსაფრთხოებისთვის.

ივანიშვილის მილიარდებით, განსაკუთრებით თბილისში გაცხოველებული მშენებლობის ბუმი, თითქოს დადებით განწყობას ქმნის, მაგრამ არავინ იცის, სამომავლოდ, თუ რა დილემას უქადის იგი დედაქალაქელებს; მეპატრონის ნება, დამოკლეს მახვილივით დაიკიდება თუ არა მათ სამომავლო ბედზე - მათ საცხოვრებელ თუ საარსებო უფლებებზე.

მოქმედ „ოცნების“ ხელისუფლებას, ყველა საკითხსა თუ ქმედებებში, მართალია აქტიურად და რადიკალურადაც ოპონირებენ „ნაციონალები“ და მათი განაყოფი, აწ უკვე ახალი სახელწოდების პარტიების წარმომადგენლები, აგრეთვე ლეიბორისტები, ეროვნულ-დემოკრატი ბაჩუკი ქარდავა, ევროპელ დემოკრატი პაატა დავითაია, მაგრამ ყველანი მოიაზრებიან „ნაციონალების“, უფრო ზუსტად კი მიხეილ სააკაშვილის სატელიტებად, რომლის ფინანსებითაც არსებობენ ისინი. ხოლო, პირწავარდნილ დემაგოგობისას ისე იჭრებიან როლებში, თითქოს, ეს და სახელწოდებაშეცვლილი „ნაციონალებიც“ თავადაც უკანონოდ არ იყენებდნენ სახელისუფლო რესურსებს და ამჟამინდელი ხელისუფლების მსგავსად, საარჩევნო კამპანიის პერიოდში, თავად არ უკეთებდნენ მობილიზებას საკრებულოების, გამგეობების თანამშრომლებს, ბაღისა თუ სკოლის პედაგოგებს, არ ხვდებოდნენ მათ რესტორნებში და ა.შ.

„ნაციონალებსა“ და „ოცნებასაც“ ხელისუფლებაში უვადოდ ყოფნა, დაგროვილი მილიონების შენარჩუნებისა და სამართლებრივი პასუხისმგებლობის აცილებისთვის სჭირდებათ!

მათი რეიტინგი, რეალურად მნიშვნელოვნად დაბალია და ახალი პოლიტიკური ძალის გამოჩენის შემთხვევაში, კიდევ უფრო უმნიშვნელო გახდება. ახალ პოლიტიკურ ძალას კი უკვე გულისწადილით ელოდება ხალხი და სასურველია, რომ ეს ლოდინი უფრო მეტად აღარ გაიწელოს, არამედ, მომავალი საპარლამენტო არჩევნების დროისთვის მაინც გამოიკვეთოს. ახალი პოლიტიკური ძალის ლიდერი კი მეტ-ნაკლებად ავტორიტეტული ფიგურა უნდა იყოს, მის გარშემო დარაზმული, ერისა და ქვეყნის გულშემატკივარ, განათლებულ ახალგაზრდათა უმრავლესობით. მათმიერი პოლიტიკური ორგანიზაციის სახელწოდებაც არ უნდა იყოს მკვეთრად რეტროსპექტული, არც შაბლონური და უნდა ერგებოდეს ახალ დროებას. ხოლო, პოლიტიკური პროგრამა უნდა იყოს რეალურ ხედვებზე და გეგმებზე ორიენტირებული; კრიზისებისა და უნდობლობის 25 წლიანი ეპოქა უნდა დასრულდეს და უნდა მოვიდეს აბსოლუტური ნდობის ხელისუფლება, რომელიც ხალხთან ერთად ააშენებს ყოვლად ძლიერ ქართულ სახელმწიფოს და თავის ათწლიან მოქმედების ვადაში აღადგენს ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასაც.

როდესაც ბიძინა ივანიშვილმა თავისი ორგანიზაციის სახელწოდება „ქართული ოცნება“ გააცხადა, ჩვენ აქტიურად შევეცადეთ გაგვეშიფრა ამ სახელწოდების არსი, რომელშიც არ იდო რეალობის მარცვალი და არრარა იყო. წინამდებარე გაზეთის სამი ნომერი დავუთმეთ ჩვენ ამის ახსნას, მაგრამ გაზეთის მცირე ტირაჟისა და ივანიშვილის ქარიზმატული მილიარდების (+ქველმოქმედება) გავლენით ჩვენ ვერ შევაღწიეთ ხალხის ცნობიერებაში. იმთავითვე ჩანდა, რომ ივანიშვილი, თავის საარჩევნო დაპირებებს „ოცნების“ ნიშნით იძლეოდა და ოცნების ხიბლში აგდებდა (აბრუებდა) მასებს. იყო თუ არა ეს კეთილსინდისიერი საქციელი მისი მხრიდან, ერთობ უადგილო კითხვაა, რამეთუ პოლიტიკაში მეტეორივით შემოვარდნილი ივანიშვილი, ბანკირი იყო და ბანკირად რჩება, პროფესიით და მენტალობითაც. მომხვეჭელობის დრამატული დაუოკებლობა, აი, მისი ცხოველი თვისება, რისთვისაც მას, შეიძლება, არც ეყოს საქართველო.

ამ სახელისუფლო ეშმაკის ბორბლის ტრიალიდან, გამოსავალი კი საარჩევნო კრიზისის შექმნაა!

და რაში შეიძლება გამოიხატებოდეს იგი?

ამომრჩეველთა საჭირო უმრავლესობამ ხმა არ უნდა მისცეს, არც ე. წ „ნაციონალებს“ და არც ამ ქვაბავაზაკ „ოცნებელებს“. ხოლო , ვერცერთი დანარჩენი პარტია, ვერ მოაგროვებს ხმათა საჭირო რაოდენობას. მეორე ტურის შემთხვევაშიც იგივე პრინციპული და საზრიანი ქმედება უნდა გავახორციელოთ, რაც შექმნის საარჩევნო კრიზისს. კრიზისი კი გააჩენს შესაძლებლობას ახალი პოლიტიკური ძალის ბუნებრივი გამოვლინების, ყოველგვარი ფინანსური რესურსების აუცილებლობის გარეშე.

და დადგება ახალი პოლიტიკური რეალობა - გაჩნდება რეალური პერსპექტივა უკეთესი მერმისისათვის!

დევიდ კამერონი: ევროპამ შეცდომა დაუშვა, რომ არ უპასუხა რუსეთის შეჭრას საქართველოში

"პრესა.ჯი"

ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, დევიდ კამერონმა კიევში მიმდინარე საერთაშორისო ფორუმზე 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დასავლეთის არასათანადო რეაქციაზე ისაუბრა. მან სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ ევროპამ შეცდომა დაუშვა, რომ არ უპასუხა რუსეთის შეჭრას საქართველოში.

კამერონის განცხადებით, სწორედ სათანადო რეაქციის ნაკლებობას მოჰყვა მოსკოვის შემდგომი აგრესია უკრაინაშიც.

აშშ მოითხოვს აფხაზეთიდან და ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან რუსეთის ჯარების გაყვანას

timer.ge

აშშ შეშფოთებას გამოთქვამს აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში ე.წ. სასაზღვრო პუნქტების დახურვასთან დაკავშირებით და მოითხოვს რეგიონიდან რუსეთის ჯარების გაყვანას. ამის შესახებ ნათქვამია ერთობლივ განცხადებაში, რომელსაც მოეწერა ხელი ამერიკა-საქართველოს სამუშაო ჯგუფის ვაშინგტონში გამართული სხდომის დასრულების შემდეგ. თავდაცვის და უშიშროების საკითხებში მომუშავე ეს ჯგუფი შექმნილია „სტრატეგიული დიალოგის კომისიის“ ფარგლებში. „აშშ გამოხატავს შეშფოთებას ე.წ.

სადემარკაციო სამუშაოების გაგრძელებასთან და გამშვები პუნქტების დახურვასთან დაკავშირებით“, — ნათქვამია ერთობლივ განცხადებაში.

სამუშაო ჯგუფის შეხვერდა გაიმართა 8 სექტემბერს. მისმა მონაწილეებმა, სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, „კიდევ ერთხელ მოუწოდეს რუსეთს გაიყვანოს სამხედროები საქართველოს კუთვნილი ტერიტორიებიდან -აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან/ცხინვალიდან ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის შეთანხმების საფუძველზე“. „აშშ ხაზს უსვამს მის მტკიცე მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში“, – ნათქვამია საერთო განცხადებაში.

სრულად ინფორმაცია გამოქვეყნებულია აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ვებ-გვერდზე.

ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილის გამრუდებული ცნობიერების გამო...



ჩვენში დამკვიდრდა შიში იმისა, თუ საკუთარი აზრი გამოვხატე რომელიმე ცნობილი პიროვნების შესახებ, ქვა და გუნდას მომაყრიანო.

როგორც ვიცით კაცობრიობა შედგება თავისი ორგანული ნაწილებისაგან - ერებისა და ხალხებისაგან, რომელთაც გააჩნიათ თავისი ისტორიული საცხოვრისი, სადაც ესა თუ ის ერი, ხალხი ცხოვრობსა და იღწვის, ჰქმნის სულიერ და მატერიალურ კულტურას, რომელთა საუკეთესო ქმნილებები და ნიმუშები თავს იყრის მსოფლიოს ხალხთა სულიერ და ინტელექტუალურ საგანძურში.

რომ არა კაცობრიობის სხეულის ეს ნაწილები - ერები და ხალხები და მათი სამშობლოები, არც ეს მსოფლიო საგანძური გვექნებოდა თავისი მრავალფეროვნებით, სილამაზითა და სიმდიდრით!

ღმერთის მიერ შექმნილი სამყარო უზენაესისავე ნებით ხომ სამშობლოებად იყოფა, აქედან გამომდინარე თითოეული ადამიანისათვის უმთავრესად, ჩემის აზრით, უნდა არსებობდეს ეს ორი პოსტულატი.

დედამიწაზე მცხოვრებ გენიალურ შემოქმედთ, მეცნიერსა თუ მოაზროვნეს, გამოუხატავთ თავიანთი აზრი და დამოკიდებულება მცნება „სამშობლოსადმი“. მათივე ნათქვამიდან, ნაწერებიდან ჩვენთვის ცნობილი ხდება, თუ რა დამოკიდებულება აქვს ამა თუ იმ მოაზროვნეს თავისი დედა-სამშობლოსადმი, საკუთარი მშობელი ხალხისადმი...

ნაწილი მსოფლიო მოქალაქეთაგან, გულგრილია მცნებების „სამშობლო“ და „მამულიშვილობის“ მიმართ, ნაწილისათვის კი ამოსავალი წერტილი, მათი ცხოვრებისა და არსებობის კრედო და მიზანი სამშობლო და მისთვის თავდადებაა...

ირლანდიელი მწერალი, მსოფლიო ლიტერატურის ცნობილი წარმომადგენელი ჯეიმს ჯოისი აცხადებს შემდეგს:

„მე მეუბნებიან: „მოკვდი ირლანდიისათვის“, მე მათ ვპასუხობ: „დაე ირლანდია მოკვდეს ჩემთვის“.

ჩვენი აზრი კი ასეთია - დაე, მუდამ იარსებოს ირლანდიამ და კალმის დიდოსტატი ჯოისი რა სახსენებელია?!

მილიონი „ულისე“ და „დუბლინელები“ ვერ გადასწონის ერთ სიტყვას - ირლანდია!

აქ ჯოისს დავუპირისპირებთ მასზედ არანაკლებ შემოქმედსა და მოაზროვნეს, ჩვენს მამულიშვილს ვაჟა ფშაველას:

„მაშ რისთვის მინდა სიცოცხლე,
სული რადა მრჩავ პირშია,
თუკი არ გამოვადგები
სამშობლოს გასაჭირშია.“

„ხარს ვგევარ ნაიალაღარს,
რქით მინასა ვჩხვერ, ვბუბუნებ,
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! -
მძინარიც იმას ვდუდუნებ;“

„მწერლობა მაშინ ასრულებს თავის წმინდა მოვალეობას, როცა უკეთესად ემსახურება ქვეყანას.“

ჯოისს პირში ჩალას უსვამს საყოველთაოდ ცნობილი გრაციუსი - „სამშობლოსთვის სიკვდილი საამო და საპატიოა.“

ჯოისს ალიყურს აჭმევს მასზედ არანაკლები სიდიდის ინგლისელი შემოქმედი ჯორჯ ბაირონი: -„მას, ვისაც თავისი ქვეყანა არ უყვარს, არც არაფრის სიყვარული შეუძლია.“

„ვისშიც არაა სამშობლოს სიყვარული, ისინი გულით ღატაკი საპყრები არიან.“ ეხმაურება ირლანდიელ კოლეგას უკრაინელი ტარას შევჩენკო.

სამწუხაროდ, სამშობლოსადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებაში ჯეიმს ჯოისი მარტოდ არაა შთენილი...

მივყვეთ სხვა პატრიოტებსაც:

„სული და არსი იმისა, რაშიც ჩვეულებისამებრ მოიაზრებენ პატრიოტიზმს, არის და ყოველთვის იყო მორალური მშიშრობა.“ - მარკ ტვენი.

ამერიკელ მწერალს გარდასული დროებიდან ეხმიანება რომაელი მოაზროვნე ციცერონი: „ჩვენთვის ძვირფასია მშობლები, ძვირფასია ბავშვები, ახლო ნათესავები, მაგრამ ყოველივეს მიმართ სიყვარულზე ყოველი წარმოდგენა შეერთებულია ერთ სიტყვაში „მამული“. რომელი პატიოსანი ადამიანი იყოყმანებს მათთვის თავგანწირვაში - თუ მას შეუძლია მოუტანოს მათ სარგებელი.“

მორიგი პატრიოტი ბრიტანელი ბერტრან რასსელი მამულიშვილობას ასე აღიქვამს: „პატრიოტიზმი - ესაა მზადყოფნა მოკლა და მოკვდე უაზრო მიზეზებისათვის.“

ამ ბრიტანელს პასუხობს შარლ ლუი მონტესკიე - ფრანგი მწერალი და ფილოსოფოსი - „თითოეული მოქალაქე მოვალეა მოკვდეს მამულისათვის, მაგრამ არ არის ვალდებული იცრუოს მის სასარგებლოდ.“

უფრო მწვავე შეფასებას აძლევს მცნება პატრიოტიზმს ფრანგი მწერალი ბენარდ შოუ: „პატრიოტიზმი - გამანადგურებელი, იდიოტიზმის ფსიქოპათური ფორმაა.“

„მსოვლიოში არასოდეს იქნება მოსვენება, სანამ არ ამოძირკვავთ ადამიანთა მოდგმაში პატრიოტიზმს.“

ზემოხსენებულს დავუპირისპირებთ თავისსავე კოლეგასა და თანამემამულეს ჟან ჟაკ რუსოს - „სათნოებით ჩადენილი ყველაზე დიდი გმირობები სამშობლოს სიყვარულიდან მომდინარეობდა.“

შოუს მოსაზრებებს უპირისპირდება ფრანგი ნაპოლეონ ბონაპარტე - „სამშობლოს სიყვარული - უპირველესი ღირსებაა ცივილიზებული ადამიანისა.“

ასევე გამრუდებულად აღიქვამს პატრიოტიზმს რუსი მოაზროვნე ა. ი. გერცენი -

„პატრიოტიზმი ეს გამხეცებული სათნოებაა, რომლის გამოც დაიღვარა ათეულობით მეტი სისხლი, ვიდრე ერთად აღებული ყველა ბიწიერების გამო.“

„ომი -ბარბაროსობაა, როცა თავს ესხმიან მშვიდობიან მეზობელს, მაგრამ ეს წმინდათა წმინდა ვალია, როცა სამშობლოს იცავენ.“ - ასეთი მოსაზრებისაა გი დე მოპასანი.

გერცენს პასუხობენ თავისივე მიწაწყლელები:

„ის, ვინც არ ეკუთვნის თავის მამულს, არც კაცობრიობას მიეკუთვნება.“ - ნ. გ. ჩერნიშევსკი.

მამული - ეს იდუმალი, მაგრამ ცოცხალი ორგანიზმია, რომლის სრულყოფილი მონახაზის გაკეთებას საკუთვრივ შენთვისაც ვერ შეძლებ, მაგრამ მასთან შეხებისას განუწყვეტლივ გრძნობ, რამეთუ შენ ამ ორგანიზმთან გაუწყვეტელი ჭიპლარითა ხარ დაკავშირებული – მიხაილ სალტიკოვ შჩედრინი.

პატრიოტიზმთან მიმართებაში მწყრალად არის კიდევ ერთი რუსი შემოქმედი ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი.

„პატრიოტიზმი“ - იმიტომ არის უზნეო გრძნობა, რომ ნაცვლად ღმერთის შვილობის, რომელსაც ჩვენ ქრისტიანობა გვასწავლის, თავისუფალ ადამიანად ყოფნის, რომელიც თავის შეგნებით ხელმძღვანელობს, აღიარების ნაცვლად, ყოველი ადამიანი, პატრიოტიზმის გავლენით, თავის თავს აღიარებს სამშობლოს შვილად, თავისი მთავრობის მონად და ჩადის თავის შეგნებისა და სინდისის საწინააღმდეგო ქმედებებს.“

ტოლსტოის საპასუხოდ ამჯერადაც მოვუხმობთ თავისივე ქვეყნის შვილებს:

უპირველესად თავის სისხლისმიერ ნათესავს ალექსეი ნიკოლოზის ძე ტოლსტოის, რუს მწერალს, პუბლიცისტსა და მეცნიერს:

„პატრიოტიზმი არ ნიშნავს მხოლოდ ერთს - სიყვარულს სამშობლოისას, ეს გაცილებით მეტია... ეს არს - შეგნება სამშობლოსაგან არ დაშორებისა და მისი ბედნიერი თუ უბედური ბედის განცდებისაგან“ .

„ჭეშმარიტი პატრიოტის ზნეობრივი მოვალეობაა - ემსახუროს ხალხს კაცობრიობაში და კაცობრიობას ხალხში.“ - ვლადიმირ სოლოვიოვი.

ტოლსტოის არ ეთანხმება, აგრეთვე აკადემიკოსი დიმიტრი ლიხაჩოვი - „პატრიოტიზმსა და ნაციონალიზმს შორის უდიდესი სხვაობაა. პირველში - საკუთარი სამშობლოსადმი სიყვარულია, მეორეში - სხვა დანარჩენისადმი სიძულვილი“.

მიხაილ სალტიკოვ შჩედრინი კი ამგვარად პასუხობს თავის კოლეგასა და თანამემამულეს: - მამული - ეს იდუმალი, მაგრამ ცოცხალი ორგანიზმია, რომლის სრულყოფილი მონახაზის გაკეთებას საკუთვრივ შენთვისაც ვერ შეძლებ, მაგრამ მასთან შეხებისას განუწყვეტლივ გრძნობ, რამეთუ შენ ამ ორგანიზმთან გაუწყვეტელი ჭიპლარითა ხარ დაკავშირებული.“

ალექსანდრ ბლოკი არ ეგუება ტოლსტოის

დასასრული მე-4 გვ.

დასაწყისი გვ. 3

და ამბობს - „რაც უფრო მეტად გრძნობ კავშირს სამშობლოსთან, უფრო მეტად რაელურად და ნებიერად წარმოიდგენ მას, როგორც ცოცხალ ორგანიზმს.“

არც პისარევს ეჭაშნიკება კალმის დიდოსტატ ტოლსტოის მიმართება მცნება მამულისადმი: - „ნებისმიერ ხალხს, რაც უფრო მეტად უბრალოდ და სრულყოფილად ცხოვრობს სამყაროში, იმდენად ძლიერად უყვარს მას მისი სამშობლო.“

ივანე პავლოვი - რუსი მეცნიერი, აკადემიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი ცივ წყალს ასხამს ლევ ნიკოლოზის მოსაზრებას ამ საკითხთან მიმართებაში - „მხოლოდ ცარიელი ადამიანები არ განიცდიან სამშობლოს მშვენიერ და ამაღლებულ გრძნობას.“

„პატრიოტიზმი გამომდინარე თავისი არსიდან აგრესიულია, პატრიოტები კი, როგორც წესი - ბოროტი ადამიანები“ - ამას ამბობს ინგლისელ-ირლანდიელი ფილოსოფოსი, ესთეტი, მწერალი და პოეტი ოსკარ უაილდი.

ძნელია დაუპირისპირდე მის პიროვნებას, მაგრამ მაინც შევეცდებით...

ოსკარ უაილდს პასუხობს გერმანელი ფილოსოფოსი იოჰან გეორგ ჰამანი: - სამშობლოს დავიწყება არ შეიძლება. არ არსებობს უფრო კეთილშობილური დაავადება, ვიდრე სამშობლოს მონატრებაა.“

საყოველთაო უბედურობის ჟამს, თუ ვინმე სხვა რამეზე ფიქრობს, გარდა სამშობლოს გადარჩენისა, - ის არ არის ღირსი თავისუფალ სახელმწიფოში ცხოვრებისა. ფ. მ. კლინგერი.

პატრიოტიზმი არტურ შოპენჰაუერსაც სიმდაბლედ მიაჩნია:„ყველაზე იაფფასიანი სიამაყე - ეს ეროვნული სიამაყეა“.

მას ეხმიანება ი. ა. გალანი - „ისინი ვინც უარყოფენ თავის სამშობლოს, ემიჯნებიან თვით თავიანთ სინდისს.“

„ყველაზე საუკეთესო ქმედება - ეს არის სამსახური გაწეული სამშობლოსა და კაცობრიობისათვის.“ ამბობს ჟ. დელილი.

თუ რა ამაღლებული და წმინდაა პატრიოტიზმი, ჩვენი შეხედულებებისა და მრწამსის გასამყარებლად ისევ დიდ მოაზროვნეებს მოვუხმობთ!

ინტელიგენტი, სამშობლოსადმი გულგრილი - მხოლოდ განათლებული ცხოველია. იგორ კარპოვი.

არაფერია სამშობლოზე საყვარელი. ლუკიანე.

უსამშობლო ადამიანი - ეს არის ადგილი, დროისა და სივრცის შემთხვევითობის ბედისწერას მინდობილი. ლაკორდერი, ფრანგი მწერალი.

სამშობლოში შენ წარსულიცა გაქვს და მომავალიც, უცხოეთში მხოლოდ და მხოლოდ აწმყო. ჰირშფელდი, გერმანელი მეცნიერი, შტუტჰარდის უნივერსიტეტი.

დღე, რომელიც არის გატარებული სამშობლოს სარგებელის გარეშე, მე ამოვშლიდი ცხოვრებიდან. მ. სალმონი.

„განათლებული ხალხების ჭეშმარიტი გმირობა მდგომარეობს სამშობლოსათვის თავგანწირვის მზადყოფნაში“ - *ჰეგელი. დიდი გერმანელი ფილოსოფოსი.*

„ჭრილობას, სამშობლოზე მიყენებულს, თითოეული ჩვენთაგანი გულის სიღრმეში განიცდის.“ - *ვ. ჰიუგო, ფრანგი მწერალი და მოაზროვნე.*

„შენი ცხოვრება სამშობლოს უნდა მიუძღვნა, თუ გინდა რომ სამუდამოდ დარჩე პატიოსან ადამიანად.“ - *დენის ფონ ვიზინი, რუსი პოეტი.*

როცა თავისუფლება ქრება, რჩება ქვეყანა, მაგრამ უკვე აღარ არსებობს მამული. ფრანსუა შატობრიანი, მე-19 საუკუნის ფრანგი მწერალი, პოლიტიკოსი და დიპლომატი, ფრანგული რომანტიზმის ფუძემდებელი.

სამშობლოს სიყვარულმა საფეხურები არ იცის: ვინც მისთვის ყველაფერს არ აკეთებს, ის საერთოდ არაფერს აკეთებს, ვინც მას არაფერს არ სწირავს, ის ყველაფერს უარყოფს. - *კარლ ლუდვიგ ბერნე, დიდი გერმანელი მწერალი და პუბლიცისტი.*

„რაც უფრო მეტად გრძნობ კავშირს სამშობლოსთან, უფრო მეტად რეალურად და ნებიერად წარმოიდგენ მას, როგორც ცოცხალ ორგანიზმს.“ - *ალექსანდრ ბლოკი, რუსი პოეტი.*

„მეცნიერება უნდა იყოს სამშობლოს ამაღლებული განსხეულება, რამეთუ ყველა ხალხთაგან პირველი მუდამ იქნება ის, რომელიც აზროვნებისა და გონიერების მოღვაწეობის სფეროში წინ გადაუსწრებს სხვებს.“ - *ლუი პასტერი, ფრანგი მეცნიერი.*

მასალები შეაგროვა

პლ. სანდუხაძემ

იაკობ გოგებაშვილი პატრიოტიზმზე

(ნაწყვეტი პუბლიკაციიდან)

... ბევრგან ვხედავთ პატრიოტებსა, რომელთაც უნდათ სხვის უბედურებაზედ ააშენონ თავიანთ ქვეყნის ბედნიერება. პრუსიის პატრიოტს ტრეიჩკეს რომ ჰკითხო, რასა სთვლი საჭიროდ გერმანიის ბედნიერებისთვისო, გიპასუხებს: დასავლეთით საფრანგეთის მიწასთან გასწორებას, სამხრეთით ავსტრიის წელში მოკაკვას და აღმოსავლეთით რუსეთის მიმსხვრევასაო. მეშჩერსკის, სუვორინს და კატკოვს რომ შეეკითხო, როგორი უნდა იყოს რუსის პატრიოტიო, გიპასუხებენ: იგი უნდა სჩაგრავდეს ყოველ სხვა ტომს, რუსებთან შემოერთებულსა, და გარედ უნდა ელტოდეს და ნატრულობდეს მთელს ევროპის გაქელვასაო. ჩინეთის პატრიოტები უფრო კიდევ მომეტებულს რასმე ნატრულობენ: მთელი კაცობრიობა ჩვენის ბაღდიხანის ქვეშევრდომი, უმორჩილესი მონა უნდა შეიქმნასო.

ჩვენში პატრიოტობა სხვა თვისებისაა, სხვა გვარის ხასიათისაა: იგი იპყრობს მხოლოდ წმინდა გრძნობას მამულის სიყვარულისას. ამ გრძნობაში თავისთავის მეტი არა ურევია-რა. ვისიმე სიძულვილი, ვისიმე დათრგუნვის სურვილი, ვისიმე გაუბედურების წადილი მასში სრულიად არ იპოვება. ჩვენს პატრიოტებს სურთ აღდგენა და დაცვა ჩვენის უფლებისა, ეროვნებისა, თვითმმართველობისა, ლიტერატურისა, კულტურისა, რომელთა გარეშე არა ხალხს არ შეუძლიან სიცოცხლე და ადამიანური არსებობა. ჩვენი მამულიშვილები ნატრულობენ ჩვენის ქვეყნის ბედნიერების მიღწევას წმინდა და სწორი გზით, იმ გზით, რომელიც სხვის უბედურებაზედ არ არის გავლებული. როგორც წარსულში ჩვენი ერი იბრძოდა არა სხვა ხალხების დამონავებისათვის, არამედ თავის საკუთარის დამოუკიდებლობის დაცვისათვის, ისე ეხლა ჩვენი მამულიშვილები მოღვაწეობენ არა იმ განზრახვით, რომ სხვანი დავთრგუნოთ და მათის დამცირებით ჩვენი თავი ავიმაღლოთო, არამედ იმისათვის, რომ ჩვენს ერსაც გავუკვლიოთ ფართო გზა გონების განვითარებისა, ზნეობის ამაღლებისა და კეთილდღეობისაო. ერთის სიტყვით, ჩვენში მამულის სიყვარულმა მიიღო ისეთივე წმინდა მიმართულება, რომელსაც ამ ბოლოს ჟამს დაადგა დაწინაურებული, საუკეთესო წილი ევროპის დემოკრატიისა... წარსულში ჩვენ გვქონდა ამაზე უფრო ფართო ეროვნული ნიადაგი; მაგრამ ამ ნიადაგზედ წმინდა პურთან ხშირად ითესებოდა აზიური ღვარძლი და ჭვავი... ამის გამო წარსულიდგან უნდა გადმოვიტანოთ ეროვნული ნიადაგი და ევროპის ნაწარმოებში ავარჩიოთ სათესად წმინდა პური გონების, ზნეობის და ეკონომიურის სფეროებიდგან...

იაკობ გოგებაშვილი

რჩეული თხზულებანი, ტ. 1/ თბ. 1989/ 235-236

„რა ენა წახდეს...“

ეს ჭეშმარიტება „შვილებთან“ ბრძოლისას დიდ პოეტს, გრიგოლ ორბელიანს,
დასცდა და ამ აზრის ქვეტექსტი, ეტყობა, არც გახუნდება. რა ენა წახდესო და, ჩვენს
თვალწინ, კარგა ხანია, დაიწყო ჩვენი მშობლიური ენის წახდენა თავისივე ღვიძლი
შვილების მოწადინებითა თუ მცდელობით.

დიდმა ნიკო მარმა ბრძანა: „ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რა გინდა რა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე, რუსეთის ან დასავლეთ ევროპისა, რომ არათუ ქართულმა სავსებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრულ ყალიბში ვერ ჩამოასხას. ქართული ენა მაღალმხატვრულად გამოსახავს ყოველ აზრს და დაუმახინჯებლად და შეურყვნელად გადმოსცემს. ისე მდიდარია ქართული ენა, შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებით იგი მსოფლიო ენაა“.

ამ „მსოფლიო ენას“, ვფიქრობ, ისე ვანდალურად ვექცევით, ისე დაუფიქრებლად თავს ვახვევთ უცხო სიტყვებსა თუ გამოთქმებს, გონიერი ადამიანი თუ დაფიქრდება, სიგიჟემდეც მივა. ჩემ მიერ მოხმობილი სიტყვები თუ გამოთქმები საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანების ნააზრევიდანაა, რაც უფრო საშიშ მოვლენად მიმაჩნია...

თვალსა და ხელს შუა იკარგება სიტყვები – კარგია, მშვენიერია, ლამაზია, დიდებულია, მრავლისმთქმელია, სწორუპოვარია, განუმეორებელია და ა.შ. მათ ნაცვლად ისმის: მაგარია, ძაან მაგარია, უმაგრესია, მაგარი გოგო ხარ, მაგარი ბიჭი ხარ, ძაან მაგრობაა. ამ სიტყვას, რატომღაც, სიამოვნებით იყენებს დიდი თუ პატარა, განსწავლული თუ განუსწავლელი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ბავშვებს ხომ, კარგა ხანია, პირზე აკერიათ. აი, ცნობილი ჟურნალისტის ნააზრევი: „მოდაშია ეკლესიაზე თავდასხმები და ყველაზე მაგარი პროდვინუტი ისაა, ვინც „ფბ„-ზე ან მედიაში ღიად ლანძღავს პატრიარქსა და ეკლესიას... საოცრებათა ქვეყანა ვართ რა... პოლიტიკურ რანგში აიყვანეს უკვე ადამიანების რწმენა და რა ვიცი... ძალიან მაგრობაა ეს ნეტავ?“ ეს ჟურნალისტი, რომელსაც მეთქი-სა და თქო-ს ფუნქციები ვერ გაურჩევია, იმასაც ბრძანებდა, მოსამართლე დაკავდეს თაროზე შემოდებული საქმეებითო. დაკავდეს კი, მოგეხსენებათ, რუსულის კალკია... უცხო სიტყვებითა და კალკირებული მეტყველებით თავს ნუ მოვიწონებთ, იგი ჩვენი ლექსიკის სიღარიბეზე მეტყველებს.

ბოლო ორი ათეული წელია, უხვად შემოდის ჩვენში ინგლისური ლექსიკა. ვის ესაჭიროება ეს? ჩამორჩენილობა რომ არ დაგვწამონ? იქნებ, ჩამორჩენილობა სწორედ ის არის, შენი რომ ვერ გაგითავისებია და სხვისას ეპოტინები? ნამდვილის ნაცვლად ხშირად იყენებენ სიტყვა „ავთენტურს“. უკვე მოგახსენეთ რატომ _ ყველას დაანახვო, _ ეს სიტყვა შენც იცი... აი, ეს არის ჩამორჩენილობა!

მსახიობი ქალბატონი ბრძანებს: „მიუხედავად ჩემი დაკავებულობისა, ბავშვებს ზღაპრებს ვუკითხავ“. ქალბატონო მსახიობო, თქვენც გმართებთ სწორად და ქართულად ბრძანოთ: მოუცლელობის მიუხედავად და არა დაკავებულობის მიუხედავად, მით უფრო, რომ ამ დაკავებულობას სხვადასხვა მნიშვნელობითაც იყენებს მავანი.

თვალსაჩინო თანამდებობის პირი ბრძანებს: „გასულ წელს იყო წარმატებები“ და ამ აზრს ლოგიკურად უნდა მოსდევდეს „წარუმატებლობანი“, მაგრამ ამის ნაცვლად ამბობს გამოწვევებიო. ეს სიტყვა სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა აზრით გამოიყენება. ვინ, რატომ მოიგონა ეს სიტყვა, ვინ იცის?! ეტყობა, რაღაც სიტყვა თარგმნეს ინგლისურიდან და ეს გაუგებარი სიტყვა მიიღეს. გამოწვევა შეიძლება დუელში, აგრეთვე, _ წვევამდელების გაწვევა არმიაში.

ქართული ენა ლამის წალეკოს ინგლისურმა სიტყვებმა: ტენდერი, თინეიჯერი, მენეჯერი, მენეჯმენტი, კასტინგი, ინგრედიენტები, ბეგრაუნდი, პროვაიდერი, პრომოუშენი, კრეატიული, ბრენდი, ბენდი, სმაილი, დისტრიბუტორი, ტრენინგი, ლაივი, ამბადასორიალი, თოქშოუ, შოუ, პრაიმტაიმი, ნაითშოუ, ფიფლმეტრი, ბორდი...

საზოგადოებრივი არხის ჟურნალისტმა გვამცნო, – ექვსი ბორდელი ვიყავითო. რა მშვენიერი წინადადებაა, არა? ერთი ცნობილი ჟურნალისტი გვიმტკიცებდა, მითვალთვალებენო და ტელეეკრანიდან ამ მოთვალთვალეებს მიმართა, – რა გინდათ ჩემგან, დაკავდით სხვა საქმით, მე თავი დამანებეთო. მრცხვენია, რომ ჟურნალისტებს ეს დაკავდით ისე აქვთ ჩაჭედილი გონებაში, რომ ამ კალკირებულ სიტყვას ვერ იშორებენ.

აი, „ქართული სიტყვები თუ გამოთქმები“, რომლებსაც უკვე დაპყრობილი აქვს სივრცე: „ამ ბიზნესით ცნობადობა გაიზრდება“, „ფაქტობრივად სახეზეა“, ამ „ფაქტობრივის“ გადამკიდენი ვკარგავთ მშვენიერ, ტევად სიტყვას – არსებითად. „ნარკოტიკის ამოღება“, „იყო თანხვედრაში“, „აღმოჩენა გააკეთა“, „ესენი არიან კლინიკები“, „საჩუქარი გაუკეთა“, სიძვირე-სიიაფის ნაცვლად ისმის „მაღალი ფასები, დაბალი ფასები“, „პოლიტიკით დაკავდა“, „პოლიტიკაში წავიდა“, თითქოს პოლიტიკა ქალაქი ან ქვეყანა იყოს და იქ მიდიოდეს ადამიანი. „არასწორი ნაბიჯი გააკეთა“, „ეს კანონი შესაბამისობაში არ მოდის„... „მე თავის დროზე გავაჟღერე“, ჩემი ცოდვა იმას, ვინც ეს „გაჟღერება“ ყველაფერს მიუსადაგა, გაჟღერება ხომ მხოლოდ მუსიკალური ნაწარმოებისა შეიძლება? „ბუნებაში არ არსებობს“ ამბობს ზოგიერთი. რა იცი, რა არსებობს და რა არ არსებობს ბუნებაში? _ სწორედ უცნაურია! ნაცვლად მშვენიერი სიტყვისა „მიმაჩნია“, სისტემატურად ისმის „მე ვთვლი“, ესეც „ია სჩიტაიუს“ კალკია. ითვლიან ბატებს, ძროხებსა და ა.შ. „თბილისიდან ვიდრე ქუთაისამდე“ რა შუაშია აქ ზედმეტი „ვიდრე„? „უძლიერესის სტატუსს ატარებს“, „ეზოს დასუფთავებას აწარმოებდა“, „თავისუფლებაზე უშვებენ“, „ახალი თაობის ყავა“, ყავა გასულიერებულია და თაობაც ჰყოლია, ასევეა „ახალი თაობის მობილურები“, „მოგზაურობაში გაემგზავრა“, „პოლიტიზირებული“, „მექანიზირებული“, „ნასვამ მდგომარეობაში“, „არაკანონიერ ქმედებებს ჩადიან“, ძალიან ხშირად ისმის: „ვაუ“ და უამრავი ამდაგვარი უმსგავსობა...

ხშირად ისმის, აგრეთვე, სამარცხვინო გამოთქმები: „კარგი ბავშვებია“, „დიდებული ადამიანებია“, „ეს ის ადამიანებია“, „ეს არიან“, ამ ე.წ. წინადადებებით ადამიანები, არც მეტი, არც ნაკლები, უსულო საგნებად არიან გადაქცეულნი.

ძალზე მიღებულია ამა თუ იმ ადამიანის დახასიათებისას მათი გაზვიადებული წარმოჩენა: ლეგენდარულია, გრანდიოზულია, ფანტასტი(კ)ურია... უსასრულოდ შეიძლება ამ უმსგავსობებზე საუბარი.

ტელეეკრანები სავსეა ინგლისური წარწერებით. რას ნიშნავს „ვებნიუსი“, „პალიტრანიუსი?“ ნუთუ ჩვენმა „მსოფლიო მნიშვნელობის“ ენამ შესატყვისი ვერ მოუნახა მათ? თუ ნაბრძანები არ გაქვთ, რატომ, რატომ ამცრობთ მშობლიურ ენას და, თუ ნაბრძანები გაქვთ, როგორ შეიძლება ასეთი უგუნური ბრძანების აღსრულება?! რატომ ძალადობთ მშობლიურ ენაზე? „ათი საქართველოს მოქალაქე“... რა ბედნიერებაა, ათი საქართველო ყოფილა ქვეყნად!

სკოლიდან მოირბენდა ხოლმე ჩემი პირველკლასელი შვილიშვილი და, რომ გავეხარებინე, მეუბნებოდა, მასწავლებელმა „სმაილი“ დამიწერაო. „სმაილი“ ღიმილი ყოფილა, რა თქმა უნდა, ინგლისურად. ხედავთ? ბავშვების ინგლისურით მოწამვლას პირველი კლასიდანვე იწყებენ... ვაი, ჩვენს უბედურებას...

ჟურნალისტი ეკითხება ბავშვს: ვინ გინდა გამოხვიდე? ამ კითხვის ლოგიკური პასუხი იქნებოდა: მინდა გამოვიდე ვაჟა-ფშაველა, მაკედონელი, ჩაპლინი, ნაპოლეონი და ა.შ. წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როცა ბავშვმა სწორად და სხარტად უპასუხა, _ რა მინდა გამოვიდე და ექიმიო. ჟურნალისტების ასეთი მიუტევებელი შეცდომები იშვიათობა როდია.

ასე ჩიქორთულად მოსაუბრეთ მიმართავდა დიდი პოეტი: „ილაპარაკეთ, გევედრებით, ოღონდ ქართულად, ოღონდ ქართულად ილაპარაკეთ“.

პრემიერმა რამდენჯერმე გაგვახარა, როცა გვამცნო: ამერიკა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორიაო. ეტყობა, სტრატეგიული პარტნიორობისას, პარტნიორი ქვეყნები ერთმანეთის ენას გახელებული სწავლობენ; ჩანს, ამერიკაც ქართულის სწავლაშია ჩართული-მეთქი. ეს აზრი რომ გავუმხილე, სიცილით დიდხანს იყო ჩაბჟირებული ჩემი მეგობარი, _ მეტი საქმე არა აქვთ ამერიკელებს, ჩვენი ენა ისწავლონო! მაშ, რა გამოდის, სტრატეგიული პარტნიორობა იგივე ბატონყმობაა? ხვალ რომ ჩინეთმა დაგვიპყროს, ჩინური ენა როგორ და რანაირად უნდა ისწავლო? თუმცა, ქართველები ისეთი ნიჭიერები ვართ, ადვილად ვსწავლობთ ბატონის ენას. ვაი, ჩვენს გაძლებას!

მოხლიბისა და ბარძაყების გამოფენა

ცალკე საუბრის თემაა ის სიშიშვლე და ურცხვობა, რომელიც ასე ხშირად ჩანს ტელეეკრანზე. ქალები აჩვენებენ მუხლებს, ბარძაყებს და ა.შ. ზის ქალი სტუდიაში და მთელი გულმოდგინებით აჩენს ყველაფერს, რაც სწორედ რომ დასაფარია. ჩანს, ყველაფერი მართლა პირწმინდად უნდა აითვისო „სტრატეგიული პარტნიორისა“. ლამაზისა და მშვენიერის ნაცვლად ქალთა ბაგეებიდან მხოლოდ და მხოლოდ ისმის – „სექსუალურია!“. არანაირი სირცხვილი და მოკრძალება – რა, ჩამორჩენილები ხომ არ არიან?!..

ამ დამშეულ ქვეყანაში სირცხვილია და უხერხული ნაირნაირი კერძების მზადება სტუდიებში. ამას უყურებს საცოდავი, მშიერი მოსახლეობა და ვფიქრობ, უნდა აიკრძალოს ადამიანების თუნდაც ამგვარი დამცირება.

გაგრძელება გვ. 7

პოლიტიკა

სამხრეთ კავკასია ახალ მსოფლიო წესრიგში

ელენე ჭირაქაძე,
გიგი გივიშვილი
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტები

• *რეგიონის მნიშვნელობა*

სამხრეთ კავკასია თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის წყალობით უმნიშვნელოვანეს რეგიონს წარმოადგენს. იგი საკმაოდ ბევრი განსხვავებული ქვეყნის ინტერესების თანხვედრის ადგილია. აქ გადაიკვეთება არა მარტო შავი და კასპიის ზღვების აუზის ქვეყნების, არამედ ევროპისა და აზიის ქვეყნების სტრატეგიული და ეკონომიკური მიზნებიც. რეგიონი მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით სრულიად სამართლიანად მიიჩნევა (სარკინიგზო, საჰაერო და ზოგადად საკომუნიკაციო კუთხით) „დერეფნად“. აქედან გამომდინარე ზოგადად კავკასიაში არსებული მდგომარეობა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს არა მარტო მოცემული რეგიონის ქვეყნებზე, არამედ მსოფლიო ტრანსრეგიონალურ პროცესებზეც, მათ შორის ევროატლანტიკურ სივრცეში არსებულ მდგომარეობაზე. კავკასიის რეგიონს მეტად მდიდარი ბუნებრივ-სანედლეულო, ენერგეტიკული და რეკრეაციული რესურსები აქვს: ნავთობი, გაზი, რკინის მადანი, სპილენძი, თუთია და სხვა. რეგიონის ქვეყნები ასევე აწარმოებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციას.

• *რუსული და ამერიკული პოლიტიკის დაპირისპირება სამხრეთ კავკასიაში*

მეოცე საუკუნეში ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი იყო სისტემური ურთიერთობა, რომელიც ორ პოლუსიან მსოფლიო ბალანსს ქმნიდა. თუმცა, მოგვიანებით, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მსოფლიო ამერიკის გარშემო შემოიკრიბა და ნელ-ნელა ერთპოლუსიანი მსოფლიო მივიღეთ. იმისთვის, რომ კავკასიაში შეენარჩუნებინა გავლენა, რუსეთმა დაიწყო ხელოვნური კონფლიქტების წარმოქმნა რეგიონში, რამეთუ იგი გამოსულიყო მომრიგებელ მხარედ და ლობირად, რითიც დაბრუნდებოდა საერთაშორისო ასპარეზზე კვლავინდებური სახით.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან აშშ-მ შეიმუშავა ახალი პოლიტიკური მიდგომა კასპიის რეგიონის ქვეყნებისადმი, რომელიც, აგრეთვე დასავლეთის ქვეყნების ენერგეტიკული ბაზრისთვის სატრანზიტო დერეფნის შექმნასთან იყო დაკავშირებული.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ შეერთებული შტატები განსაკუთრებულ ყურადღებას საქართველოსთან ურთიერთობებს უთმობს. ამის მიზეზია განსაკუთრებული ნდობა საქართველოსადმი, როგორც დემოკრატიის გარანტისადმი რეგიონში.

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთის ფედერაციას შორის ინტერესების (მაგალითად, ტერორიზმთან ბრძოლა) თანხვედრისა და ე.წ. გადატვირთვის პოლიტიკის მიუხედავად, რუსეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტის უდიდესი ნაწილის მიერ შეერთებული შტატები მტრულ ძალად აღიქმება. მოსკოვის განსაკუთრებულ შეშფოთებას სამხრეთ კავკასიური ენერგეტიკული დერეფნის პერსპექტივები იწვევს.

რეგიონში რუსული ძალის გაძლიერებით შეშფოთებულები იყვნენ ამერიკაში. პოლიტიკოსთა უმრავლესობა, ბარაკ ობამას საგარეო კურსს კავკასიის რეგიონის მიმართ უარყოფითად აფასებდა. მისი ლმობიერი პოლიტიკის წყალობით რეგიონალური ლიდერის როლში რუსეთი მოგვევლინა, როგორც ლობირი. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში რუსული გავლენის გაძლიერებას ვრცელი სტატია მიუძღვნა ვაშინგტონ პოსტმა. დემოკრატიის ხელშეწყობის ფონდის პრეზიდენტი აშშ-ის ადმინისტრაციას გვერდზე დგომაში ადანაშაულებს. კარლ გერშმანი, თვლის რომ ობამას ადმინისტრაციის ასეთმა პოზიციამ სომხეთი უკვე ევრაზიული კავშირის გავლენის ქვეშ მოაქცია : „შეერთებული შტატების აშკარა გვერდზე დგომით, რუსეთმა ეკონომიკური და უსაფრთხოების მუქარა გამოიყენა, რათა ევრაზიულ საბაჟო კავშირში მოექცია პოსტ- კომუნისტური ქვეყნები და დაებლოკა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა, რომელიც საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, ბელორუსის, მოლდოვასა და უკრაინის ევრო სტრუქტურებში საბოლოო ინტეგრაციას მოიაზრებს.“

კონგრესმენი ელიოტ ენგელი ერთერთია, რომელმაც სახელმწიფო მდივანს, ჯონ კერის, ღია წერილით მიმართა ამბობს, რომ ვაშინგტონი გულხელდაკრეფილი არ უნდა უყურებდეს როგორ ახდენს რუსეთი გავლენას თავის მეზობლებზე : “ რუსეთი იწყებს ბატონობას და ვფიქრობ, რუსეთს უნდა შევაგნებინოთ, რომ ჩვენთვის ცნობილია მისი ქცევა, რომ ის არ მოგვწონს და რომ შევეცდებით მხარი დავუჭიროთ და დავეხმაროთ ამ ქვეყნებს გააკეთონ ის, რისი გაკეთებაც ნებით სურთ, რომ არ დააშინონ ნავთობისა თუ გაზის გადაკეტვით, ან მათი პროდუქციის ბოიკოტირებით. დიახ, ვივიწყებთ და გულახდილად უნდა გითხრათ, ჩვენდა სამარცხვინოდ ვივიწყებთ. ზოგჯერ ჩვენ ლამის თვალს ვხუჭავთ, რასაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვაკეთებდეთ. პუტინს ჰგონია, რომ შეუძლია მივიდეს სადაც სურს და ვითარება აურდაურიოს, სხვები კი რუსეთის ასეთ აგრესიულ ქმედებებს თითქოს არ იმჩნევენ. ვფიქრობ, ეს ის საკითხია, რომელსაც გამუდმებით უნდა ვაყენებდეთ და არ ვივიწყებდეთ“.

თუმცა, დღეს სრულიად სხვა ვითარებაა სამხრეთ კავკასიაში. ახალი პრეზიდენტი, დონალდ ტრამპი, უფრო ხისტ პოლიტიკას არჩევს, ცდილობს რუსული გავლენის შემცირებასა და საკუთარი ზეგავლენის გაზრდას. იგი იცავს საკუთარი სახელმწიფოს ინტერესებს. სწორედ ამ ინტერესების შესაბამისად, მას სურს, სტრატეგიული პარტნიორი ჰყავდეს ჩვენს რეგიონში, სადაც სომხეთი რუსული გავლენის ქვეშაა, გარშემო კი მუსლიმანური სამყაროა.

„ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ევროპიდან ინდონეზიამდე გაჭიმულ უძლიერეს მუსლიმანურ სარტყელს ხლეჩს, თანაც - აზიისა და ევროპის საზღვარზე, საქართველოა."- ამბობს ტრამპი. საქართველო მომგებიანია აშშ-ისთვის კასპიაშავი ზღვის საკვანძო რეგიონში. ეს არის ცალსახა და შეუქცევადი თანადგომა და ნამდვილად საქართველოს წისქვილზე ასხამს წყალს. სავარაუდოდ, რუსეთს ეს გააღიზიანებს და შესაძლოა, ამას გართულებებიც მოჰყვეს.

თავის მხრივ, რუსეთს არ სურს პოზიციების დათმობა რეგიონში. სწორედ, ამ მიზნისთვის იქნა ხელოვნურად შექმნილი სხვადსხვა კონფლიქტი, რომელიც დღესაც აქტუალური, მოუგვარებელი და საკამათოა. ვგულისხმობთ სამ გაყინულ კონფლიქტს.

რეგიონში არსებული კონფლიქტები და კონფლიქტური ზონები (ყარაბაღი, აფხაზეთი, ცხინვალი)

მთიანი ყარაბაღი

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი აზერბაიჯანსა და სომხეთს შორს, უკვე მრავალი ათწლეულია მიმდინარეობს. 1921 წელს მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანს გადაეცა. 1923 წელს ტერიტორია მთიანი ყარაბაღი ავტონომიურ რეგიონად გადაიქცა და აზერბაიჯანის სსრ-ში შევიდა. ამ დროისთვის ყარაბაღის მოსახლეობის 94% ეროვნებით სომეხი იყო. კონფლიქტის მონაწილეებმა თავიანთი ტერიტორიული მთლიანობის გარანტად აირჩიეს ძლიერი სახელმწიფოები. ამ კონფლიქტების არსებობამ სომხეთი უსაფრთხოების სფეროში რუსეთთან თანამშრომლობამდე მიიყვანა. დაბალ ფასებში რუსეთის მოწოდებული იარაღი, რუსეთის სამხედრო ბაზა გიუმრში, სომხეთ-თურქეთის საზღვარზე რუსი მესაზღვრეები, მნიშვნელოვანი ელემენტებია სომხეთის უსაფრთხოებისთვის. რუსეთის გავლენა სომხეთის ეკონომიკასა და პოლიტიკაზეც დიდია. რუსული კომპანიები აკონტროლებენ სომხეთის ეკონომიკის დაახლოებით 75%, რამდენიმე სტრატეგიულ სექტორს, ენერგეტიკისა და კომუნიკაციების სფეროების ჩათვლით. რუსეთზე დამოკიდებულების სხვა ფორმა, რუსეთში მყოფი სომეხი სამუშაო მიგრანტები არიან. და ბოლოს, სომხეთში დიდია ასევე რუსული მედიის გავლენა. იმ დროს, როდესაც რამდენიმე მედია და არასამთავრობო ორგანიზაცია რუსეთის გავლენებზე საუბარს არ ერიდება, პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები ან ოპოზიცია მოსკოვის კრიტიკისგან თავს იკავებს. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ სამხრეთ კავკასიაში არასტაბილური მდგომარეობა ხელსაყრელია რუსეთისთვის. იგი მომგვარებელ მხარედ გამოდის ამ კონფლიქტში, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთს არ სურს, სომხეთმა ბოლომდე გაიმარჯვოს აზერბაიჯანზე, რადგან სომხეთი ზედმეტად ძლიერი და დამოუკიდებელი იქნება, ამასთანავე, მოდერნიზებული და დინამიური აზერბაიჯანის აღზევება რუსეთისთვის კოშმარის ტოლფასია.

რაც შეეხება აზერბაიჯანს, მისი ტრადიციული მოკავშირეა თურქეთი, მას შემდეგ რაც დსთ-ს ქვეყნებთან პარტნიორობისას უპირატესობა მიანიჭა მუსლიმანურ ქვეყნებთან მოკავშირეობას. ეს ურთიერთობა თავის მხრივ განაპირობა იმანაც, რომ თურქეთს არ აქვს დიპლომატიური ურთიერთობა სომხეთთან 1915 წლის სომეხთა გენოციდის არ აღიარების გამო. ამასთანავე, ამერიკას თავისი ინტერესები აქვს აზერბაიჯანთან. კავკასიაში შეერთებული შტატების გეოპოლიტიკურ სტრატეგიაში უდიდეს როლს თამაშობს ასევე აზერბაიჯანი. ეს ქვეყანა, რომელიც სამხრეთით ირანს ესაზღვრება და არის ამავე დროს თურქეთის უაღრესად მჭიდრო მოკავშირე, ამერიკული არმიებისათვის ფრიად ხელსაყრელ ტერიტორიაზე მდებარეობს. მას აწყობს აზერბაიჯანის გაძლიერება, ვინაიდან სურს ამერიკელთა ბაზების განთავსება ამ ქვეყნაში. ალიევისთვის კი, ეს საფასური ეჭვგარეშეა იქნება შეერთებული შტატებისა და ნატოს მხარდაჭერა აზერბაიჯანისათვის, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ბაქოს სასარგებლოდ გადაწყვეტა.

გარდა ყარაბაღის პრობლემისა რეგიონის წინაშე დგას ისეთი გამოწვევებიც, როგორიცაა ე.წ.სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში არსებულ სიტუაცია. საქართველოს სტრატეგია ამ ეტაპზე იქითკენაა მიმართული, რომ როგორმე შეავიწროოს რუსეთის გავლენა კონფლიქტის ზონებში და გაავრცელოს აღნიშნულ ტერიტორიებზე მეგობარი სახელმწიფოების და საერთაშორისო ორგანიზაციების გავლენა. საქართველოს შემთხვევაში, შეიძლება ითქვას პირდაპირ იკვეთება რუსეთ- საქართველოს ინტერესები. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ რუსეთის ბერკეტები საქართველოში სხვადასხვაგვარია- ეკონომიკური ფაქტორი, რაც გულისხმობს ქართული პროდუქციის დაშვებას რუსულ ბაზარზე. ასევე, პრორუსული ძალების დაფინანსება ქვეყანაში, ქართული ტერიტორიების მითვისება და მათი ნელ-ნელა ოკუპირება. ნათელია, რომ რუსეთი ცდილობს შეასუსტოს ძალები სამხრეთ კავკასიაში და გათიშოს ისინი, რათა თავისი ძალაუფლება უფრო გააფართოვოს რეგიონზე.

ირანის პოზიცია რეგიონში არსებულ კონფლიქტებზე

ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, ირანი მხარს უჭერს რეგიონში არსებული კონფლიქტის სწრაფ მოგვარებას. იმ ფაქტის გათვალისწინებით, ირანში დაახლოებით 12-14 მილიონი ეთნიკური აზერბაიჯანელი ცხოვრობს, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ თეირანმა ყარაბაღის კონფლიქტში ოფიციალურად სომხეთს ან აზერბაიჯანს დაუჭიროს მხარი. ირანისთვის, რომელიც სამხრეთ კავკასიას დასავ-

გაგრძელება გვ. 13

სიძულვილი როგორც სტიქია!

ნოდარ კობერიძე

საქართველოს სრული ანექსიის შემდეგ რუსულ შოვინიზმს გათითოკაცებულ საქართველოში მართლაც რომ ნოყიერი ნიადაგი დახვდა და სიძულვილმა როგორც სტიქიამ გაიხარა, ფრთები გაშალა რომლის აპოთეოზი ილიას მკვლელობა გახლდათ. მერე იყო და მსოფლიო ომის შემდეგ ზეციდან ლამის ძალით „შემოტენილი“ სამწლიანი დამოუკიდებლობა და ბოლშევიზმი როგორც მოვლენა და რუსული შოვინიზმის ახალ უფრო"განვითარებულ " ფაზაში გადასვლა, სადაც ხალხს თვით ღმერთის სიძულვილიც ასწავლეს და რა გასაკვირი იყო, რომ ერთმანეთისა უფრო შეგვშურდა და სიძულვილმა მაშინ იხარა ახალი ყლორტებით, რომელიც ქართველ მამულიშვილთა განადგურებაში გადაიზარდა და ზვიად გამსახურდიას რიტულური მკვლელობით დასრულდა. ამან უფრო შეგვაძულა ერთმანეთი, ამ სიძულვილის ძეობაში მის აქოჩრილ ტალღაზე ივანიშვილი მოვიდა ხელისუფლებაში, მას შემდე სიძულვილმა ისეთი ფესვნი გაიდაგა, რომ საერთო მოვლინებულ სტიქიად იქცა, რომლის უკანასკნელი გამოცხადება ბორჯომის ტყის ხანძარია(22- 25 აგვისტო)! ეს სამი ერთმანეთისგან გამომავალი ჰიპოსტასი რომ ქვვეყანას სამარისკენ მიაქნებს ამის მიხვედრა არაფრით არ გვინდა. ურთიერთსიძულვილი კი თორმეტ ბალიან სტიქიად გადაიქცეს ლამის და ეს რომ ასე მოხდეს ამაზე მუშაობს მთელი ინსტიტუტები, რომლებიც კრემლის დაკვეთას ასე წარმატებით ართმევენ თავს. გამოსავალი? გამოსავალი ერთია- თუკი სიძულვილის სტიქიას როგორმე არ მოვთოკავთ, თუნდაც სიყვარულს ვინ ჩივის, ერთმანეთის სახელმწიფოებრივი მიტევების პრინციპით ქართულ სახელმწიფოს დიდხანს ყოფნა ვით უწერია და მაშასადამე ქართველ ერის გადაშენება გარდაუვალია!

ესსე

ამბოხი!

ამბოხი, სინონიმი რომლისაც ღმერთსაც კი ეშინია, რადგანაც მწარე გამოცდილებიდან იცის რას ნიშნავს ის! ამბოხმა გარდაქმნა ადამიცა და ევაც ადამიანად, შემდეგ კი პიროვნებად! ამბოხი- სიტყვა რომლისაც სიკვდილზე მეტად ეშინია მავანს-მავანს ვისაც გადაუწყვეტია ჩვენი ბედნიერება, თავისუფლება და პიროვნული ღირსება მიისაკუთროს და დამჯერ პირუტყვად გვაქციოს კვლავაც. ამიტომაც გეუბნებით ადამიანო, გიყვარდეთ ეს სიტყვა, გიყვარდეთ და არავის დაუთმოთ იგი! გიყვარდეთ ეს საქციელი, თუ არ გინდათ რომ იმ მოკვდავად გადაიქცეთ და რომელსაც წკეპლით გადენიან საბალახოდ, საღამო ჟამს კი მოწველიან ვითარცა ცხოველს. ხმის ამოღების უფლება ესაა მონაპოვარი, რომლისათვისაც ღირს თავის შეწირვა და ნუ გეშინიათ, ვინც გაჩუმდება, ეშინოდეს მას, თორემ, მეამბოხე სული შეიძლება წააქციონ, მაგრამ ვერ ჩაკლავენ მასში იმას, რისთვისაც მას ადამინი დაერქვა, და რისთვისაც მას გმირს ეძახიან. მე კი გევედრებითა და გეაჯებით, იყავით გმირნი და იქნებით ბედნიერნი!

ემიგრანტი

ჩემი წერილი იქიდან...

მე ახლა თქვენთვის საიქიოში ვარ... არადა, ჩემთვის თქვენ ხართ საიქიოში..

გეტყვით, რომ აქაც ჯოჯოხეთში ვარ და თავი ისევ ცოცხალი მგონია...

ამ ჯოჯოხეთშიც მაგ ჯოჯოხეთზე საუბრობენ და სამოთხეზე ოცნებობენ... თუმცა,ამაოდ..

აქ არ არის შური, მაგრამ ნუ შეგშურდებათ...

საშინლად ბნელა,თუმცა ყველგან ბჟუტავს იმედი საიქიოს გაღებული ქრთამის სინათლისა..

ღმერთი აქაც მაღლაა და არა სულში..

არაფრის მეშინია,რადგან აღარ არსებობს სიკვდილი...

ყველაზე ხშირად აქაც ბავშვობას იხსენებენ და ყველა თავის უცოდველობის ოქროს ხანას მისტირის...

აქ აღარც კეთილი ხარ,აღარც ბოროტი...

შეგიძლია ყველაფერს დაარქვა ბინდი,მაგრამ ვერაფერს უწოდებ განთიადს..

„შინ" ვერასოდეს დაბრუნდები,რადგან „გარეთ" არასოდეს ხარ...

სევდა აქაური პურია არსობისა..

ფიქრიც შემიძლია და მონატრებაც, ოღონდ, შენზე და შენი-არა!

....მე აქაც ზედმეტი ვარ...

შორენა პაპიძე

„რა ენა წახდეს...“

დასაწყისი გვ. 5

საინტერესოა, რას არქმევენ ქართველები თავიანთ შვილებს ან რას ირქმევენ ისინი თვითონ: ნანკა, ნანიკო, ნანუკა, ლიკა, რუსა, რუსკა, თეკო, ეკო, თეკუნა, ეკუნა, ეთო, ეთიკო, ქეთა, ქეთუსია, ქეთათო, ნუკა, ვახო, გიკა, გუკა, გოკა, ოთო, თაზო, ზუკა, ვიკა, იკა, ბუკა, ვაკო, ვატო, შაკო, დიმა, აჩიკო... ნოდარი რომ გქვია და თავს ნოდიკოდ გვამცნობ, ან ვახტანგი გქვია და ვახოდ გვეცნობი, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია. მარინა-ირინა ხომ, დიდი ხანია, დამკვიდრდა ჩვენში.

წარმოვიდგინოთ დავით აღმაშენებელი დათიკო ან დათო აღმაშენებლად, თამარ მეფე – თამრიკო მეფედ, დემეტრე თავდადებული – დიტომიტო თავდადებულად, ქეთევან წამებული – ქეთუსია წამებულად, გიორგი ბრწყინვალე – გოგა ბრწყინვალედ, – როდემდე ამდენი სისულელე და იწილო-ბიწილო?

ისევ დიდი პოეტი მახსენდება თავისი „ჯერ ვითვლებით ქართველებად, თუ არ გაგვაესკიმოსეთ„-ი. ვაი, რომ ჩვენივე „დიდი ქართველების“ ფრიადი მცდელობით აღარა გვაკლია „გაესკიმოსებას“.

საქართველოს მოსახლეობის მესამედი საარსებო საშუალების მოსაპოვებლად სხვა ქვეყნებშია გაკრეფილი, ვინც აქ დავრჩით, ისინიც ასე ვიქცევით – არაქართულად, ურცხვად და ასე საძაგლად ვმეტყველებთ, მეტი რაღაა საჭირო ერის გადაშენებისთვის? ვაი, რომ ეს პროცესი დღითიდღე თვალსაჩინო ხდება, ხელისუფლება კი ტკბება თავისი ხელის უფლებით და არის თავისთვის, ხალხიც... თავისთვის!

ბელა შალვაშვილი

უკრაინული მაიდნის მეოთხე წელიწადი

მალე მეოთხე წელიწადი შესრულდება, რაც უკრაინაში ახალმა მაიდანმა იფეთქა, რომელსაც პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩის დამხობა, ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები და რუსეთთან ომი მოჰყვა. თუმცა ამ ომს დღემდე ოფიციალურად ანტიტერორისტული ოპერაცია ჰქვია, ჩვეულებრივ საუბრებში მას ყველა სწორედ ომს უწოდებს და ასეცაა. განა ვინმე დაიჯერებს, რომ დონბასის ლუმპენებმა, რომლებმაც ოფიციალურ კიევს დაუმორჩილებლობა გამოუცხადეს და მას იარაღით ხელში დაუპირისპირდნენ, სუპერთანამედროვე იარაღი რომელიმე სუპერმარკეტში შეიძინეს? ან მარტო ისინი უწევენ წინააღმდეგობას ქვეყნის პროფესიულ არმიას? რუსეთმა ჯერ იყო და ყალბი რეფერენდუმის, უფრო კი აწ უკვე ფართოდ ცნობილი ე.წ. „მწვანე კაცუნების“ წყალობით უკრაინას ყირიმი ააწაპნა, მერე კი მას მეშახტეთა მხარის რუსული მოსახლეობა აუმხედრა, თითქოს პოსტმაიდანური ხელისუფლება მას ეთნოციდით ემუქრებოდა. სინამდვილეში მსგავსი გეგმები არასოდეს არსებულა, მაგრამ ასეთი ინსინუაცია კრემლს დასჭირდა სამხედრო აგრესიის გასამართლებლად, რომლისთვისაც იგი, როგორც გაირკვა, არაერთი წელი საგულდაგულოდ ემზადებოდა. მაიდანი იქცა საბაბად, რომ უკრაინაში დაწყებული სახალხო მღელვარება გამოეცხადებინათ პუტჩად და დაპირისპირებოდნენ ქვეყნის სათავეში მოსულ ახალ ძალებს. მიზეზი მარტივია და გასაგები: ავტორიტარულ რუსეთს არ სურს ჰყავდეს მეზობლად ძლიერი დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც მიზნად ისახავს ევროპასთან ინტეგრაციას და ნატოში გაწევრიანებას. და ამაში მისთვის ხელის შესაშლელად მსოფლიოს ლიდერებთან კონფლიქტსაც არ ერიდება. რამდენადაც ვხვდები, „ღირსების რევოლუცია“, როგორც ხალხმა შეარქვა კიევის მეორე მაიდანს (პირველი 2004 წელს შედგა და „ნარინჯოვანი რევოლუციის“ სახელითაა ცნობილი) საქართველოში ბევრს ნაციონალისტების ანუ ე.წ. ბანდერელების მოწყობილი ჰგონია, ბევრს კიდევ „გოსდეპის“ ნაცუღლუტარი. როგორც იმ დღეების უშუალო მომსწრე და მონაწილე, ვიტყვი, რომ არც ერთია სიმართლე და არც მეორე. მაიდანი იყო ხალხის ბუნებრივი რეაქცია ხელისუფლების სისტემურ თავგასულობასა და უსინდისობაზე, რომელმაც პიკს 2013 წლის ნოემბერში უწია, როცა კიევმა ევროპასთან ასოცირებაზე მოულოდნელად უარი თქვა. ახალგაზრდობას, რომელიც სწორედ ევროპული პერსპექტივის გამო ბევრ რამეს ითმენდა, აქ უკვე მოთმინების ფიალა აევსო და განგაშის პირველი ზარიც მან შემოჰკრა. თავდაპირველად მიტინგები სრულიად მშვიდობიანი და ტოლერანტული იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც სპეცდანიშნულების რაზმებმა მომიტინგე სტუდენტები სასტიკად სცემეს, მონასტერიც აირია. ხშირად მსმენია ჩვენი თანამემამულეებისგან, უკრაინელებს არ უნდა ეჩქარათ და იანუკოვიჩი კანონიერი გზით გადაერჩიათო. მე ეს მაგონებს ერთ ამბავს, როცა მსოფლიო ომის მიწურულს ამერიკელი სერჟანტი ეუბნებოდა საბჭოთა ჯარისკაცს, სტალინი თუ არ მოგწონთ, გადაირჩიეთო. იანუკოვიჩს სტალინთან როგორ შევადარებ, მაგრამ საიმდროოდ ისეთი სიტუაცია იყო, მას ვერავინ გადაირჩევდა. და არა იმიტომ, რომ რეიტინგი ჰქონდა მაღალი. მას ჰქონდა უთვალავი ფული, რომლითაც სულ ადვილი იყო არჩევნების გაყალბება. მთავრობის მეთაური იყო უკრაინოფობი რუსეთელი, არმიისა და უშიშროების სათავეში იდგნენ რუსეთის მოქალაქეები, ეთნიკური რუსები, უზენაეს რადაში უმრავლესობას ანტიუკრაინული ოლიგარქიული ჯგუფები შეადგენდნენ, ქვეყანა კი გაძეძგილი იყო ფეესბეს აგენტებით. რაც მთავარია, ყოფილი ქურდი და რეციდივისტი ვიქტორ იანუკოვიჩი პუტინის ხელში ტიკინას ჰგავდა, რომელიც კრემლის ყველა მითითებას უსიტყვოდ ასრულებდა. ამიტომაც ქვეყნის დამოუკიდებლობას დამოკლესი მახვილი რეალურად დაეღერა. ტყუილია, რომ მაიდანი ყირიმისა და დონბასის რუსულენოვან მოსახლეობას და მითუმეტეს, რუსეთის ფედერაციას, რითიმე ემუქრებოდა. მაგრამ რუსეთი რის რუსეთია თუ მღვრიე წყალში თევზის დაჭერას არ სცდიდა. მანაც სცადა და ნაწილობრივ გამოუვიდა კიდეც. მის მიერ თავსმოხვეული ომის წყალობით უკრაინამ დაკარგა ათი ათასი სამხედრო მოსამსახურე და სამოქალაქო პირი, დაკარგა ტერიტორიები, მოსახლეობა, განიცადა უზარმაზარი მატერიალური ზარალი. ადრეც მითქვამს და აქაც გავიმეორებ: რუსეთი ჩერდება იქ, სადაც გააჩერებენ. ჩვენ, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერ გავაჩერეთ. უკრაინაც რა დღეშია, მსოფლიო ხედავს. ამ ყველაფრის უმთავრესი მიზეზი კი ისაა, რომ პუტინს რუსეთის იმპერიის აღდგენა სურს. როგორც ზ. ბჟეზინსკი შენიშნავდა, უკრაინის გარეშე კი რუსეთი იმპერია ვერასოდეს იქნება. რუსეთი არ სცნობს უკრაინელ ერს, მის ენას და ტერიტორიას, რადგან მიაჩნია, რომ მალოროსები ანუ უკრაინელები რუსების სამხრეთული ეთნოგრაფიული განშტოებაა. კიევის რუსეთის შთამომავალი უკრაინელები ამ თეორიას არ ეთანხმებიან და ჩნდება ცივილიზაციური დაპირისპირება, რომელიც რელიგიური დაპირისპირების მერე ერთი ყველაზე ძნელად მოსაგვარებელი საკითხია. ადამიანმა თავი რომ ადამიანად იგრძნოს, აუცილებლად უნდა ჰქონდეს სამი რამ: მშობლიური ენა, მშობლიური ტერიტორია და მშობლიური სალოცავი. ასე იყო ოდითგან, ასეა დღემდე. უკრაინას კი სამთავეს ედავებიან. მათი წართმევა ერის მკვლელობაა, მათი წამრთმევი - მკვლელი. მსოფლიოს მავზოლეუმები და პანთეონები სავსეა ასეთ მკვლელთა გვამებით. მერე რა, რომ ზოგი მათგანის საფლავი დაკარგულია. ჩვენ გვახსოვს მათი სახელები. მე მაქვს ასეთი ერთსტრიქონიანი ლექსი: „მუმია ყველა ფარაონის მაქსიმუმია“. ერთი ასეთი მუმია რუსეთს თავისი დედაქალაქის შუაგულში დღემდე უსვენია და დასამარხავად არ ემეტება. ის კი არადა, მისი დიდმპყრობელური იდეები ტრანსფორმირებული სახით ახალ სიცოცხლეს იწყებენ. და მაინც არ ვიქნები ბოლომდე მართალი თუ უკრაინის ყველა უბედურებას რუსეთს გადავაბრალებ. არის არაერთი მომენტი, სადაც პასუხისმგებლობა უშუალოდ ქვეყნის რევოლუციურ ხელისუფლებას ეკისრება. დავიწყებ პრეზიდენტით. მისი წინასაარჩევო ლოზუნგი იყო ახლებური ცხოვრების დამკვიდრება, ომის ორ კვირაში დამთავრება, 2015 წლის იანვრისთვის ევროპასთან ასოცირება და უვიზო რეჟიმის შემოღება. იგი ასევე დაპირდა ხალხს, რომ გაყიდდა საკუთარ ბიზნესს და მთელ ძალღონეს სახელმწიფოს მართვას მოახმარდა. სამწუხაროდ, პეტრო პოროშენკომ ვერც ერთი დაპირება დროზე ვერ შეასრულა. ომი დღემდე გრძელდება, ე. წ. „მინსკის მოლაპარაკებები“ ჩიხშია შესული, უმოქმედოა „ნორმანდიული ოთხეული“, ბიზნესი კვლავ პატრონის ხელშია და შეიძლება ითქვას, იფურჩქნება ქვეყნის საერთო გაღატაკების ფონზე, ევროპასთან ასოცირება და უვიზო რეჟიმი კი ამ ერთი თვის წინ გაფორმდა. უზენაესი რადა, რომელშიც გადასხვაფერებული სახით საკმაოდაა წარმოდგენილი დამნაშავე რეგიონების პარტია, ვერ ახერხებს აუცილებელი კანონების მიღებას, სამართალდამცავმა ორგანოებმა ვერ შესძლეს მაიდანზე ჩადენილ დანაშაულობათა ავტორების გამოვლენა და პასუხისგებაში მიცემა, გაუსამართლებელია თვით გაქცეული პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი. ამავე დროს დაუმარცხებელია კორუფცია, რომელიც არნახულ ბუმს განიცდის და საზოგადოებას მომავლის რწმენას უკარგავს. ქართველი რეფორმატორების იმედი ჩანავლდა. ეკა ზღულაძემ კარგა ხანია დატოვა უკრაინა, მას მიჰყვა ხატია დეკანოიძე, ჯანდაცვის მინისტრობიდან მოხსნეს ალექსანდრე კვიტაშვილი, გენერალური პროკურორის მოადგილეობიდამ გადაყენეს დავით საყვარელიძე, ოდესის გუბერნატორობიდან განთავისუფლებული მიხეილ სააკაშვილი ყოფილი მეგობრის პეტრო პოროშენკოს დაუძინებელი მტერი გახდა და ახლა ტელეეკრანიდან ებრძვის მას. ჟანრის შესაბამისად რევოლუცია ნელნელა ნთქავს საკუთარ შვილებს და იმედი პრეზიდენტისა და უზენაესი რადის ხელახალ არჩევნებზეა, რომლებიც არა მგონია, ვადამდე ადრე ჩატარდეს. ასე, რომ თითქმის ორი წელიწადი უკრაინის ბედი კვლავ ამჟამინდელ მესვეურთა ხელში იქნება. ახლახან პეტრო პოროშენკო სახელმწიფო ვიზიტით იმყოფებოდა ვაშინგტონში, სადაც შეხვდა აშშ პრეზიდენტს დონალდ ტრამპს. თუმცა ოფიციალური დოკუმენტებისთვის ხელი არ მოუწერიათ, შედგა საქმიანი მოლაპარაკებები, რომელთა დადებითი გაგრძელება გარკვეულწილად დამოკიდებული იქნება ტრამპისა და პუტინის შეხვედრისგან, რომელიც სულ მალე შედგება. რადგან ისტორია ძველებურად გვასწავლის იმას, რომ არაფერს გვასწავლის. ჩემი ღრმა რწმენით, ამ ქვეყანაზე სიკეთე მაინც გაცილებით მეტია, ვიდრე ბოროტება და მშვენიერებაც აღემატება სიმახინჯეს. სხვაგვარად აქამდე ვერ მოვაღწევდით. იქნებ საერთოდაც, დიდი მწერლისა არ იყოს, სწორედ მშვენიერებამ იხსნას სამყარო. ომი და სისხლისღვრა რომ ვერ იხსნის, ეს ცხადზე ცხადია!

რაულ ჩილაჩავა

აჰმად ფაშა ალ-მანიქლი - სუდანის ქართველი მმართველი

XVIII საუკუნის საქართველოში მონათვაჭრობის მასშტაბები განსაკუთრებით გაიზარდა. ქართველ ახალგაზრდებს იტაცებდნენ და ოსმალეთის იმპერიაში ყიდდნენ. მონად ქცეული ქართველები ძირითადად იმპერიის არმიაში მსახურობდნენ და მამლუქთა უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენდნენ. მრავალი ქართველი დაწინაურდა როგორც სულტნის კარზე, ისე ოსმალეთის ცალკეულ პროვინციებში. ქართული წარმოშობის მამლუქები სხვადასხვა დროს განაგებდნენ ეგვიპტეს, სირიას, ერაყს, ალჟირს და დიდი როლი შეასრულეს ამ ქვეყნების პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ჩვენი ინტერესის სფერო ხდება სუდანიც, რომელსაც 1843-1845 წლებში განაგებდა ქართული წარმოშობის მქონე ჰუქუმდარი აჰმად ფაშა ალ- მანიქლი (არაბ. المنكلي باشا أحمد). ისტორიკოსები დღემდე დაობენ ამ პიროვნების წარმოშობის შესახებ, თუმცა ვიდრე ამ საკითხის განხილვას დავიწყებთ, აუცილებელია მივყვეთ მოვლენათა ქრონოლოგიურ განვითარებას და მიმოვიხილოთ ბიოგრაფია სამხედო მეთაურისა, რომელიც ასპარეზზე გამოვიდა ეგვიპტეში მუჰამად ალი ფაშას (1769-1849) მმართველობის დროს.

მუჰამად ალი ეგვიპტეს განაგებდა 1805-1848 წლებში. მან მამლუქები საბოლოოდ დაამარცხა, შიდა არეულობა დაარეგულირა და ეგვიპტეს ფაქტობრივი დამოუკიდებლობა მოუპოვა. მანვე გაატარა უმნიშვნელოვანესი სამხედრო, ადმინისტრაციული, ეკონომიკური, საგანმანათლებლო რეფორმები და დაიწყო მთავარი მიზნის განხორციელება - ერთიანი არაბული სახელმწიფოს შექმნა. 1811-1818 წლებში მუჰამად ალიმ მოახერხა ვაჰაბიტთა საამიროს განადგურება და ჰიჯაზის შემომტკიცება; მექის შარიფის დანიშვნაც ეგვიპტის გამგებლის პრეროგატივა გახდა.

1820 წელს მუჰამად ალის ყურადღების ცენტრში მოექცა ეგვიპტის სამხრეთით მდებარე სუდანი. ამ ტერიტორიიდან ეგვიპტეს უძველესი დროიდან მიეწოდებოდა ოქრო, მონები, ხის ძვირფასი ჯიშები და სხვა მნიშვნელოვანი პროდუქტები. მუჰამად ალის დიდი იმედი ჰქონდა, რომ სუდანში ოქროთი მდიდარ საბადოებს აღმოაჩენდა და საკუთარ ხაზინას გაამდიდრებდა; მას ასევე ესაჭიროებოდა ცოცხალი ძალა არმიის გასაძლიერებლად. სუდანის დამორჩილებით იგი გაანადგურებდა მამლუქთა უკანასკნელ თავშესაფარსაც. სამხრეთისაკენ ლაშქრობას ხელმძღვანელობდა მუჰამად ალის ვაჟი - ისმაილი. სამხედრო კამპანია დიდ სიძნელეებთან არ იყო დაკავშირებული - თანამედროვე სუდანის ტერიტორია იმ პერიოდში დაყოფილი იყო რამდენიმე მცირე და დიდ სახელმწიფოებრივ გაერთიანებად. ისმაილის არმიას გზად ხვდებოდნენ პროვინციებისა და ტომების ხელმძღვანელები და მორჩილებას უცხადებდნენ. მაგალითად, ყველაზე ძლიერი ერთეულის - სენარის სასულტნოს მმართველი ბადი VII (1805-1821) თავად ეახლა ისმაილს და მუჰამად ალის უზენაესობა აღიარა. 1822 წლისთვის ეგვიპტელებმა კორდოფანიც დაიპყრეს და მსვლელობა დარფურის სასულტნოსაკენ უნდა გაეგრძელებინათ, მაგრამ საბერძნეთის მოვლენებმა მუჰამად ალი აიძულა ძირითადი ყურადღება ევროპისათვის დაეთმო.

სამხრეთით შემომტკიცებული ახალი ტერიტორიების ცენტრი გახდა ხარტუმი. სწორედ აქ იყო სუდანის ჰუქუმდარის რეზიდენციაც. მართალია, სუდანი, ისევე როგორც ეგვიპტე, ფორმალურად ოსმალეთის პროვინციას წარმოადგენდა და სუდანელები ახალ რეჟიმს თურქულად (არაბ. „თურქ ةوا„) მიიჩნევდნენ [ტიკაძე, 2015: 64], მაგრამ ამ ქვეყანას მართავდნენ მუჰამად ალის მიერ დანიშნული გუბერნატორები, რომელთა დიდი ნაწილიც წარმოშობით კავკასიიდან იყო.

ეგვიპტელებმა სუდანის ძარცვა-რბევა დაიწყეს, რამაც მალე გამოიწვია ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილება და აჯანყებები. 1822 წელს აჯანყებას ემსხვერპლა თავად ისმაილიც. აქედან მოყოლებული სუდანის მმართველებს უხდებოდათ სხვადასხვა ტომის წინააღმდეგ დამსჯელი ექსპედიციების წარმოება. ეგვიპტელებს ძალიან გაუჭირდათ ჰადენდოას (ინგლ.Hadendoa) ტომის დამორჩილება. ის სახლობდა სუდანის ჩრდილოდასავლეთით და ეკუთვნოდა ბეჯას ეთნიკურ ჯგუფს. 1831-1832 წლებში მუჰამად ალის სარდალმა ხურშიდ ფაშამ ჰადენდოას წინაღმდეგ ლაშქრობა მოაწყო და მათი განსახლების ძირითადი რაიონი ტაკა დაიკავა. აბორიგენებმა პარტიზანული ომი წარმატებით წარმართეს და ხურშიდი იძულებული გახდა ხარტუმში დაბრუნებულიყო. როგორც ისტორიკოსები წერენ, მან მადლობა შესწირა უფალს, რომ ექსპედიციიდან ცოცხალი დაბრუნდა [Holt, Daly, 2011:46-47].

ხურშიდმა 1834 წელს მეორე წარუმატებელი ლაშქრობა მოაწყო ჰადენდოას დასამორჩილებლად, რის გამოც იგი კაიროში დაიბარეს სუდანში არსებული სიტუაციის შესახებ ანგარიშის წარსადგენად. 1835 წელს ხურშიდი ხარტუმში მთელი სუდანის ჰუქუმდარის რანგით დაბრუნდა. „მისი მეთაურობით ეგვიპტელებმა გააფართოვეს კონტროლირებადი ტერიტორია, მაგრამ ტომების წინააღმდეგობა მაინც ვერ გა-

ტეხეს. 1839 წელს სუდანში ჩავიდა თავად მუჰამმად ალი, რასაც მოჰყვა სამი დიდი სამხედრო ექსპედიცია სამხრეთ სუდანში“ [ტიკაძე, 2015:64]. 1838 წელს სუდანის ჰუქუმდარად დაინიშნა აჰმად ფაშა აბუ ვიდანი, რომელმაც შეძლო ტაკას რეგიონის დაკავება. ჰადენდოას ტომების წინააღმდეგობის საბოლოოდ ჩახშობა უკავშირდება აჰმად ფაშა ალ-მანიქლის.

1843 წლის 6 ოქტომბერს აბუ ვიდანი მოულოდნელად გარდაიცვალა. ამის შესახებ ცნობა კაიროში 19 ოქტომბერს ჩავიდა. მუჰამად ალიმ იმ დღესვე მოიწვია სამხედრო საბჭო, რომელმაც მიიღო შემდეგი გადაწყვეტლება - სუდანში უნდა მოშლილიყო ცენტრალიზებული მმართველობა ხარტუმიდან, ქვეყანა დანაწევრებულიყო ავტონომიურ პროვინციებად, რომელთა მმართველები უშუალოდ კაიროს დაექვემდებარებოდნენ. ამ საპასუხისმგებლო საქმის განხორციელება მუჰამად ალიმ ალ-მანიქლის დაავალა. ალ-მანიქლიმ გააუქმა ხარტუმის გენერალ-გუბერნატორის ინსტიტუტი და პროვინციებში ფინანსური შტაბები გააძლიერა (ფინანსური სექტორის მართვა მთლიანად გადავიდა კოპტი მოხელეების ხელში). კაიროდან ახალი გუბერნატორები დაინიშნენ, რომელთაც მიენიჭათ „ფაშას“ ტიტული, ნაცვლად უწინდელი „ბეი“-სა, რათა მათი სტატუსი მოსახლეობის თვალში გაზრდილიყო. გაუქმდა ბერბერის პროვინცია და მისი ტერიტორია გაიყო ხარტუმსა და დონგოლას შორის [ჰილი: 81]. პოლიტიკური მისიის დასრულების შემდეგ ალ-მანიქლი სუდანში დარჩა და დაიწყო მეორე მისიის განხორციელება - დაზვერვითი ექსპედიციის ხელმძღვანელობა. ექსპედიციას ევალებოდა სუდანის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის საბადოების ძებნა და ამის შესახებ მუჰამად ალისათვის ანგარიშის ჩაბარება. 1844 წელს ფაზუღლიდან გაგზავნილ მოხსენებაში ალ-მანიქლი კაიროს ატყობინებდა, რომ სენარი მდიდარი იყო კაჟით, რკინის ოქსიდითა და თიხით, თუმცა ოქრო ამ რეგიონში ნაკლებად იყო [ჰილი:81]. რამდენიმე თვეში მუჰამად ალიმ გადაწყვეტილება შეცვალა, სუდანის პროვინციები ისევ ხარტუმს დაუქვემდებარა და 1844 წელს ალ-მანიქლი მთელი სუდანის ჰუქუმდარად დანიშნა [Holt,Daly, 2011: 50].

ალ-მანიქლიმ ჩაატარა სამხედრო კამპანია ჰადენდოას წინააღმდეგ და სრულად დაიმორჩილა ის. მართალია, ჰადენდოელების წინააღმდეგობა აბუ ვიდანის დროს შესუსტდა, მაგრამ ისინი კაიროსთვის მაინც პრობლემას წარმოადგენდნენ - ეწეოდნენ მომთაბარე ცხოვრებას, გადასახადების ცუდად იხდიდნენ და მათი საქონელი მთავრობისათვის ძნელად მისაწვდომი იყო [ჰილი:81]. სამხედრო ოპერაციის დროს ალ-მანიქლი განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა, ამიტომაც მას „ალ-ჯაზარი“ (არაბ.الجزار- „ყასაბი„) შეარქვეს. მან მოახერხა სუდანში ეგვიპტელთა ბატონობის განმტკიცება და ამ ქვეყანას მართავდა 1845 წლამდე. „ტომების წინააღმდეგობა გატყდა და 40 წლის განმავლობაში არც ერთხელ არ უცდიათ თავიანთი ქვეყნის ოკუპაციის გაპროტესტება“ [Cumming, 1937:19].

სუდანში მოხვედრამდე ალ-მანიქლის შთამბეჭდავი სამხედრო კარიერა ჰქონდა. იგი დაიბადა 1795 წელს. გარკვეული პერიოდის შემდეგ მოხვდა მუჰამად ალის ვაჟის იბრაჰიმ ფაშას მებრძოლებს შორის და გახდა ძალიან ცნობილი გენერალი. 1829 წელს დაინიშნა მუჰამად ალის კავალერიის ერთ-ერთი ბრიგადის სარდლად და მიენიჭა „მირლივას“ ტიტული [Hill, 1967: 35]. მონაწილეობდა ეგვიპტე-ოსმალეთის პირველ ომში და 1832 წელს შეასრულა უდიდესი როლი კონიის ბრძოლაში (ხელმძღვანელობდა ეგვიპტის კავალერიას), რომელმაც გადაწყვიტა ომის ბედი - ოსმალეთი ეგვიპტესთან კონფლიქტში სასტიკად დამარცხდა, სულტანმა უზარმაზარი ტერიტორიები დაკარგა, მათ შორის ადანას პროვინციაც. ამ უმნიშვნელოვანესი რეგიონის მმართველად სწორედ ალ-მანიქლი დაინიშნა. 1837 წელს იგი გადაიყვანეს კაიროში, სადაც გახდა მუჰამად ალის სამხედრო მინისტრი [Hill, 1967: 35]. 1838 წელს ალ-მანიქლი მონაწილეობდა დრუზების აჯანყების ჩახშობაში და სერიოზულად დაშავდა [რიზკი, 2005]. ოსმალეთთან მეორე კონფლიქტის დროს (1839-1841) იგი კვლავ ჩაერთო საომარ მოქმედებებში და მონაწილეობდა ნისიბის ბრძოლაში. 1840 წელს, ეგვიპტის არმიის ფართომასშტაბიანი უკანდახევის დროს (სირიიდან ნილოსის სანაპირომდე სინას ნახევარკუნძულის გავლით), ალ-მანიქლი მეთაურობდა ერთ-ერთ სამხედრო კოლონას. გარკვეული დროის განმავლობაში იგი ეგვიპტის ფინანსთა მინისტრის თანამდებობასაც იკავებდა [Marsot, 1984:79]. როგორც რამდენიმეჯერ ითქვა, 1843-1845 წლებში ის სუდანს მართავდა. 1848 წელს იბრაჰიმი გახდა ეგვიპტის მმართველი. მან ალ-მანიქლი კვლავ მაღალ სამხედრო პოსტზე დააბრუნა და არმიის რეფორმირება დაავალა [რიზკი, 2005]. იბრაჰიმის მმართველობა საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა, ის იმავე წელს გარდაიცვალა. ეგვიპტის სათავეში მოსულმა აბას I ჰილმიმ (1848-1854) აჰმად ფაშა თანამდებობიდან გადააყენა [რიზკი, 2005]. 1853-1855 წლებში ალ-მანიქლი ხელმძღვანელობდა მეორე ეგვიპტურ დივიზიას ყირიმის ომში, სადაც რევმატიზმით დაავადდა და 1862 წელს ალ-ამამინში გარდაიცვალა (ეგვიპტე) [Hill, 1967:35].

რაც შეეხება ალ-მანიქლის პიროვნულ თვისებებს, ამასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობებს გვაწვდის ეგვიპტელი ისტორიკოსი იუნან ლაბიბ რიზკი (1933-2008). იგი წერს, რომ ალ-მანიქლი იყო ერთ-ერთი უძლიერესი მაღალჩინოსანი ეგვიპტეში, რომელიც გამოირჩეოდა იშვიათი სიმამაცითა და ძლიერი სიყვარულით იბრაჰიმ ფაშასადმი, ვისაც სიცოცხლის ბოლომდე უერთგულა. ალ-მანიქლი იყო პირდაპირი, თავდაჯერებული და იმდენად დამოუკიდებელი ადამიანი, რომ ერთხელ მუჰამად ალიმ იბრაჰიმ ფაშას მოსთხოვა თავხედობისათვის მისი დასჯა [რიზკი, 2005]. პრუსიელი მოგზაური და მეცნიერი კარლ რიჰარდ ლეპსიუსი, რომელიც ალ-მანიქლის მმართველობის დროს სუდანში იყოფებოდა, მას დადებითად ახასიათებს და მოგზაურთა მფარველად წარმოაჩენს [Lepsius, 1853:133]. ამავე დროს, ალ-მანიქლის თვისებებზე მეტყველებს მისი ლაკაბი „ალ-ჯაზარი“. რუსი მედიკოსი და მოგზაური არტემ რაფალოვიჩი ალ-მანიქლისთან შეხვედრას იხსენებს: „აჰმად-ფაშას ეცვა სტამბულის ახალი კოსტიუმი; ის საკმაოდ მომხიმბვლელი მამაკაცია, ორმოცდაექვსი ან ორმოცდარვა წლისა, მაღალი, შესანიშნავი აღნაგობის; მისი ფიზიონომია მეომრული, მკაცრი და ამავე დროს გახსნილია. ის მუჰამად ალის უანგარო მაღალჩინოსანი და ერთ-ერთი საუკეთესო გენერალია; მან თავი გამოიჩინა ჰიჯაზისა და სირიის ლაშქრობების დროს და სამი წელი მართავდა სენარს, სადაც ხშირი ამბოხების გამო იძლებული იყო ძალიან მკაცრად ემოქმედა, რის გამოც იქაური მცხოვრებლების მეხსიერებაში შემორჩა; ასევე ძალიან აქტიურად ინტერესდება ევროპული პოლიტიკით და გამოწერილი აქვს რამდენიმე ჟურნალი, რომელთა შინაარსსაც ევროპელი მდივანი თურქულად უთარგმნის; მე განმაცვიფრა იმან, რომ მან საკმაოდ კარგად იცოდა დასავლეთში საქმეების მდგომარეობისა და მსვლელობის შესახებ და ხშირად იმოწმებდა გაზეთ „აუგსბურგს“. ჩემი ვიზიტი საათზე მეტ ხანს გაგრძელდა და მე დავემშვიდობე ფაშას, რომლის პიროვნებაზეც საკმაოდ სასიამოვნო შთაბეჭდილება შემექმნა“ [Рафалович, 1850].

ბოლოს, ძალიან საინტერესოა განვიხილოთ აჰმად ფაშა ალ-მანიქლის ეთნიკური კუთვნილების საკითხი. სამწუხაროდ, ისტორიულ ნაშრომებში იშვიათადაა საუბარი მისი წარმოშობის შესახებ და მხოლოდ რამდენიმე მათგანიდან შეიძლება საკმაოდ მწირი ინფორმაციის მიღება.

კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი - აფაფ ლუტფი ას-საიდ მარსო, საკუთარ წიგნში „ეგვიპტე მუჰამად ალის მმართველობის დროს“ წერს, რომ ალ-მანიქლი იყო „ოსმალო“ (Ottoman) [Marsot, 1984:79], რაც საკმაოდ განზოგადებული ტერმინია. „ოსმალო“ არ არის ეროვნული კუთვნილების აღმნიშვნელი ტერმინი - იგი უკავშირდება ოსმალთა იმპერიის მმართველ დინასტიას. მოცემულ შემთხვევაში „ოსმალო“ ხალხში მოიაზრება ყველა ის ერი, რომლებიც ემორჩილებოდნენ სულტნის ხელისუფლებას. მარსო წერს: „მისი (მუაჰამად ალის - გ.ა.) ოჯახის უშუალო წევრების გარდა, მთავარი მხარდამჭერები იყვნენალბანელები კავალადან, მისი დაბადების ადგილიდან, ან ოსმალები იმპერიის სხვადასხვა მხარეებიდან, მაგალითად: ჩრდილოკავკასიელები, ქართველები, მეგრელები, ლაზები, ბერძნები“ [Marsot, 1984:78]. ავტორი ალ-მანიქლის და ქართული წარმოშობის მუჰამად ლაზოღლუს მოიხსენიებს ერთი ტერმინით - „ოსმალო“. ამავე ავტორის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ალ-მანიქლი ნამდვილად არ არის ალბანელი, ან ბერძენი.

ინგლისელი ისტორიკოსი რიჩარდ ლესლი ჰილი იუწყება, რომ ალ-მანიქლი ცნობილია როგორც ქართველი („მეგრელი„): „he has been called a mingrelian from the Caucasus“ [Hill, 1967:35], მაგრამ ის ეჭვის თვალით უყურებს ამ ფაქტს და გამოთქვამს ორ ვარაუდს: 1. მისი თქმით, სინამდვილეში იგი უნდა იყოს რუმელიელი თურქი, მანლიქიდან (კავალას მუდირია). ხოლო „ლი“ სუფიქსით („-li“) გადმოცემულია მისი წარმოშობა ან 2. ეს სახელი მას ეწოდა სახეზე თანდაყოლილი ნიშნის გამო. თუმცა იგი არ ამბობს, კონკრეტულად რა სახის ნიშანი ჰქონდა ალ-მანიქლის სახეზე.

წიგნში „სუდანის ისტორია ახალ და

გაგრძელება გვ. 12

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ვ ე რ დ ი

მანანა წერეთელი

სიკეთის ეზე ანუ პატარა ხოჭოს ნაბეპოპი

იცით, ვინა ვარ? – ერთი პატარა ხოჭო ვარ, ხუჭია მქვია.

დაბადებიდან ძალიან მშიშარა ვყოფილვარ, ერთ პატარა ხმაურზეც კი თვალებს ვხუჭავდი, ამიტომ დამარქვა დედამ ხუჭია. ყველა მეუბნება, ძალიან ლამაზი ხარო. მეც ვიცი, რადგან ხშირად დამინახავს ჩემი ანარეკლი ფოთოლზე შერჩენილი წვიმის წვეთების სარკეში. თავი ზურმუხტისფერი მაქვს, ზურგი კი ყავისფრად დაზოლილი.

დედა მეუბნება, ჯერ კიდევ პატარა ხარ და უნდა დამიჯეროო. უჩემოდ ნურსად გაფრინდები, თორემ რაიმე ხიფათს გადაეყრები და მერე შენს თავს დააბრალეო. მართალია, ჯერ დიდი არ მეთქმის, მაგრამ ცოტა ხომ წამოვიზარდე!.. და რახან წამოვიზარდე, ჩემებურად მინდა ყველაფერი ვაკეთო: მარტომ ვიფრინო, საჭმელიც მარტომ ვიშოვნო, ხან ერთ ფოთოლზე შემოვჯდე და ხან მეორეზე...

იცით, რა კარგია, ფოთოლზე წამოგორებული მზის სხივებს რომ ვეთამაშები! ფოთოლი ნელა ირხევა, მე ხან დავცურდები, ხან ავბობღდები, მზის სხივები კი თვალებს მიკრავენ და მეკისკისებიან. თქვენ მოგისმენიათ მზის სხივების კისკისი? უი, არა?! მაშინ ერთ მზიან, თბილ დღეს გამოდით გარეთ, ეზოში ან ტყეში, გაირბინეთ ბალახებში, თუ გინდათ წამოგორდით, მერე ბუჩქების ან ხის ფოთლებს დააკვირდით. აუცილებლად შენიშნავთ, როგორ დახტიან მზის სხივები ფოთლებზე და თუ კარგად მოუსმენთ, მათ კისკისსაც გაიგონებთ, მერწმუნეთ!

მე ყვავილებიც ძალიან მიყვარს. მათ საათობით ველაპარაკები, ისინიც რაღაც-რაღაცებს მეჩურჩულებიან. აი, გუშინაც, ერთმა გვირილამ, იცით, რა მითხრა? თუმცა საიდან გეცოდინებათ, ეს ხომ მხოლოდ მე მითხრა, იქ სხვა არავინ ყოფილა. ჰო, აი, რა მიამბო:

„ღამით, როცა ყველას სძინავს, ხანდახან თვალს გავახელ და მიდამოს მოვათვალიერებ. ისეთი სიჩუმეა, ისეთი, ბუზმა რომ ჩაგიფრინოს გვერდით, იმის ფრთების შრიალს გაიგონებო.

ერთხელაც, შუაღამით გამეღვიძა და რას ვხედავო: მიწიდან თავი ამოუყვია რუხ თხუნელას, აცმაცუნებს ცხვირს, პარჭყავს ნიჩბისებურ თათებს და ყნოსავს ჰაერს. ძალიან სასაცილო იყო!

– რას ეძებ? ხომ არაფერი დაკარგე? – ვკითხე თხუნელას.

შეკრთა, თავი აქეთ-იქით მიაბრუნ-მოაბრუნა და რომ ვერ მიხვდა, ვინ ელაპარაკებოდა, მიწას ჩაუდუდღუნა:

– ნეტა, შენ რა გაწუხებს?!

– მე? მე არაფერი, მაგრამ აი, შენ კი, მგონი, რაღაც გაწუხებს. არ მეტყვი?

ეტყობა, გული მოულბა და გამომიტყდა:

– მზის დანახვა მინდოდა და...

– შენ რა, მზეს ხედავ? – მართლა ძალიან გამიკვირდა, რადგან ვიცოდი, რომ თხუნელები ვერ ხედავენ.

– ვხედავ, დიახაც, ვხედავ! აბა, მარტო შენთვის კი არ ათბობს და ბრწყინავს მზე!.. ეტყობა, შევცდი... ახლა ღამეა, არა? – თხუნელამ მოგრძო დრუნჩი ცისკენ აიშვირა.

მივხვდი, ეწყინა და ბოდიში მოვუხადეო:

– მაპატიე, არ მინდოდა შენი გულისტკენა! კი, ახლა შუაღამეა, მხოლოდ მთვარე ანათებს...

– მთვარე ანათებს? მაშინ რატომ ვერ ვხედავ ან რატომ ვერ ვგრძნობ მის სითბოს?

– არ ვიცი, რატომ ვერ ხედავ, მაგრამ ის ვიცი, რომ მთვარეს სითბო არა აქვს.

– მაშინ რად მინდა მისი სინათლე?! თუ ანათებს, სითბოც უნდა ჰქონდეს!

– სინათლეც კარგია! აბა, სიბნელეში რას დავინახავთ? ამ სინათლესაც აქვს თავისებური სითბო.

– მე რომ ვერა ვგრძნობ? არაა, ვერც ამ სინათლეს ვხედავ და ვერც მის სითბოს ვგრძნობ. ჯობს, ისევ ჩემს სოროს დავუბრუნდე. ბევრი ჭიაყელა მოვიმარაგე, მაგრამ უქმად ყოფნა არ მიყვარს. რომ აცივდება, მერე ძნელია საკვების შოვნა. უფრო ღრმად მიწევს მიწაში ძრომიალი...

წავედი, წავედი, თუმცა, რომ არ ვიცი, შენ ვინ ხარ?

– მე გვირილა ვარ, ყვითელგულა.

– ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს, რა ფერის გული გაქვს, მაინც ვერ ვხედავ... ნახვამდის, მზის ამოსვლამდე-ე!

წამღერებით დამემშვიდობა თხუნელა, ცხვირი გააცმაცუნა და ისე სწრაფად გაუჩინარდა, თვალიც ვერ მოვკარიო.

დიდხანს ვიფიქრე. შემეცოდა თხუნელა! ის ხომ მიწის წიაღში, სიბნელესა და სიცივეში ცხოვრობს! მაშინ მივხვდი, რა კარგია სინათლე, მზე, მთვარე და ვარსკვლავები, სიცხეში გრილი ნიავი და ნამიო!..“

ხომ ხედავთ, გვირილასაც ჰყვარებია მზის სხივები და სითბო.

მე კიდევ დიდხანს ვიჯექი მის ხასხასა ფოთოლზე, შემდეგ დავემშვიდობე, ფრთები ავიქნიე და დედისკენ გავწიე.

უკვე საღამოვდება. დედა, ალბათ, მოუთმენლად მელის. ირგვლივ ათასი განსაცდელია, ან ფრინველი ჩამიქროლებს, ან ადამიანი მომიქნევს ხელს, ამიტომ ყურადღებით უნდა ვიყო.

ხანდახან ძალიან ვცელქობ, განსაკუთრებით მაშინ, როცა დედა ჩემთან ახლოს არის და მიყურებს. ასე მგონია, რადგან ის გვერდით მყავს, ვერაფერი მომერევა და განსაცდელიც არ შემხვდება. მართლაც, დედას ფხიზელი თვალი აქვს, სულ ოდნავი ხმაურიც კი არ გამოეპარება და მოსალოდნელ საფრთხეს წინასწარ გრძნობს. მაგრამ ხომ არსებობს მოულოდნელი განსაცდელებიც. სწორედ ასეთი რამ შემემთხვა მაშინ, როცა დედა გვერდით მყავდა.

მაისის ერთ მშვენიერ დღეს მხიარულად დავფრინავდი ფოთლიდან ფოთოლზე, ჩემებურად ვმღეროდი და ვცელქობდი.

– ბ-ზ-ზ, რა კარგია მზეეე! ზაფხული და სითბო,

ბ-ზ-ზ, მზე მიგზავნის სხივს, მართობს და გულს მითბობს!

თითქოს გავრითმე კიდეც, არა?! სიხარულით დავტრიალდი, დავბზრიალდი, შურდულივით დავეშვი თავქვე და ამ ბზრიალ-ტრიალში მიწას ზურგით დავასკდი. კიდევ კარგი, ზურგით დავეცი, თორემ ხომ მომტყდებოდა ფეხები! მართალია, ფეხების მომტვრევას გადავურჩი, მაგრამ გადმობრუნება ველარ შევძელი. ვბზუი, ვბზრიალებ, ვფართხალებ, მაგრამ თქვენ არ მომიკვდეთ, ფეხებზე დადგომას ვერ ვახერხებ.

დედამ დამინახა, სასწრაფოდ ჩემთან გაჩნდა და შეეცადა, გვერდი შეეშველებინა, რომ გადმოტრიალებაში დამხმარებოდა. არაფერი გამოუვიდა. შევატყვე, შეშფოთდა, მაგრამ არ შეიმჩნია, რომ მეც არ შემშინებოდა.

– არ მეშინია, დედა, მოვახერხებ როგორმე გადმობრუნებას, – დავამშვიდე, მაგრამ მიხვდა, რომ ვატყუებდი, რადგან ფეხები შიშისგან მიკანკალებდა.

– მოიცა, რაღაც მოვიფიქრე. აი, იმ ბალახს გადმოვწევ, შენAკი შეეცადე, მოეჭიდო.

დედა ბალახზე აცოცდა და ღეროს წვერისკენ დაჰყვა, რომ ჩემკენ გადმოეხარა. მე ისევ ავფართხალდი, მინდოდა, ბალახისკენ ოდნავ მაინც გადავფოფხებულიყავი, მაგრამ პირიქით, უფრო დავცილდი.

და აი, აქ მოხდა ის, რისიც ყველაზე ძალიან გვეშინოდა მე და დედას: ეტყობა, ჩემი ფართხალი შენიშნა პატარა ბიჭმა, რომელიც იქვე თამაშობდა, ჩვენკენ წამოვიდა, ჩემთან ჩაიმუხლა და დამაკვირდა.

– დედა, მიშველეეე! – ამოვიბზუილე და შიშისგან თვალები დავხუჭე.

დედისგან ვიცოდი, რომ ადამიანები ძალიან დაუნდობლები არიან და სადაც მოგვიხელთებენ, იქვე გვკლავენო.

რაღაც წამების შემდეგ მივხვდი, ჯერ კიდევ ცოცხალი ვიყავი და თვალები ოდნავ გავახილე. ძალიან ახლოს ბუნდოვნად დავინახე ბიჭის სახე. შიშისგან გული კინაღამ გამისკდა და თვალები ისევ დავხუჭე.

ცოტა ხანი გავშეშდი. ვიფიქრე, იქნებ მკვდარი ვეგონო და თავი დამანებოს-მეთქი. შემდეგ გავბედე და თვალები გავახილე. ბიჭი ისევ ჩემკენ დახრილიყო და ყურადღებით მაკვირდებოდა. ახლა უკვე ნათლად გავარკვიე მისი დიდრონი თაფლისფერი თვალები, შავი წამწამები და შუბლზე ჩამოშლილი ხვეული თმა. ისე გაოცებითა და სიბრალულით მიყურებდა, მაშინვე მივხვდი, ბოროტი განზრახვა არ ჰქონდა და ოდნავ დავმშვიდდი. მეც გავტრუნდი, აღარ ვფართხალებდი, თუმცა ფეხების კანკალი ვერ შევიჩერე.

– დე, დე, ნახე, პატარა ჭია, – იყვირა უცებ ბიჭმა.

მისმა ყვირილმა ისევ დამაფრთხო და ავწრიალდი, ავფართხალდი.

– ცოცხალი ყოფილა, დეე, ცოცხალიიი! – აშკარად გაუხარდა ბიჭს.

მეც გული მომეცა – რადგან ჩემი გადარჩენა გაუხარდა, სასიკვდილოდ არ გამიმეტებს-მეთქი.

ახლა ახალგაზრდა ქალი დამადგა თავზე და დამაკვირდა.

– ეგ ჭია არ არის, დედიკო, ხოჭოა.

– რომელი, ჩვენი სახლის სარდაფში რომ არიან?

– არა, ისინი ტარაკნებია. ეს კი პატარა ხოჭოა. შეიძლება, შენ და ის ტოლებიც კი ხართ. – გაუღიმა დედამ და თავზე ხელი გადაუსვა.

– მართლა? ცოდოა, არა, დედიკო? – ახლა მეტი სიბრალული ჩაუდგა ბიჭს თვალებში და დედის პასუხს არც დალოდებია, იქვე რაღაცას დაუწყო ძებნა.

შეშინებულმა მივადევნე თვალი ბიჭს, ნეტავ, რას მიპირებს-მეთქი.

ბიჭმა იქვე ხის პატარა ტოტი შენიშნა, აიღო და ფეხებზე დამადო. მე, რაც ძალა და ღონე მქონდა, შემოვეხვიე ტოტს, ბიჭმა ასწია და ჰოპ, წამში ფეხებზე დავდექი. სიხარულით არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა! ჯერ ფრთები შევისწორე, გაღიმებულ დედას გავხედე, ავბზუილდი, ავმღერდი, ავფრინდი ზევით და ბიჭს თავზე სამჯერ შემოვუფრინე.

– დეე, ნახე, მადლობას მიხდის! – მიმიხვდა პატარა ბიჭი და გამიცინა.

მე მის თვალებში დიდი მზე დავინახე... გაოცებულმა ცას გავხედე. მზე ციდან დაგვყურებდა, მაგრამ არ შემშლია. ბიჭის თვალებშიც ენთო ისეთივე მზე და ის მზეც სითბოს გამოსცემდა.

რა საოცარია სამყარო, არა?!

– დედა, შენ ხომ მეუბნებოდი, ადამიანები დაუნდობლები არიანო?! არ არის მართალი! ხედავ, კეთილი ადამიანებიც ყოფილან!

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ვ ე რ დ ი

ზეინაბ მეტრეველი

***

რას დარდობს ზეცა,ამდენს,რომ ბარდნის,
შენიღბულ ცრემლებს-თოვლის სხეულით,
ლამის აყვავდეს გამხმარი ვარდი,
ბროლის ლარნაკში გამოხვეული.
ვზივარ და ვუმზერ ცარიელ ჩარჩოს,
დაზამთრებული მტვრის ავტოგრაფით,
წელამდე თოვლი იმგვარად მახრჩობს,
დუმილით ვამსხვრევ ყვირილის გრაფინს...
შპალერზე თეთრი ვარდი ცახცახებს,
ამცივნებს სითბოს-ლოგინის მდგმურებს და
დღეებს, როგორც სოფლის ყაჩაღებს,
გარინდებული, შიშით შევყურებ...
რას დარდობს ზეცა ასე და ამდენს,
რად გვიშლის თოვლებს ჭირის სუფრებად,
ბროლის ვაზაში დამწყვდეულ ვარდებს,
რომ ვერ ვაღირსე თავისულება...

***

მე კარგად ვიცი ვერ შევიფერე,
სხვა ყველაფერი ალბათ შენსავით,
მთებზე ნისლების თეთრ ეიფელებს,
მუდამ ჩრდილავდა თოვლის ვერსალი,
შენსკენ ყველაზე შორი მომვლელი
გზები არ მეყო დარდის მოთმენად,
სველი წამწამით ნახატ გობელინს,
უშრიალებდნენ ცრემლნი ფოთლებად,
არც ჟამი იყო, სხვა რამის მშობი,
სხვა ფესვისა და ყლორტის ამოზრდის,
თანაც არ მიყვარს, როს ტუჩთა შორის,
სიყვარულს ლამის სული ამოსდის,
ახლა ვდუმვარ და ხმას აღარ ვიღებ,
რომ არ შეშფოთდეს ნატვრით მლოცველი,
ეგრე ვარ, ეგრე, ვით ბებრის ციხე,
შენი ხმლებისგან დაუკოცნელი...

***

მალე ვერ მოვხდი მთებს ნისლის ნაღებს,
მშიერ ღამეებს გავაძღებ ძილით
და პირველ თოვლში ჩათბუნულ ბაღებს
წამოსტკივდებათ სარძევე კბილი,
თავს დამადგება კვლავ ასასივით
ლეგა ჩალმაში ნამგალა მთვარე,
დაჭრილი ზოგჯერ მზის სხივის ისრით,
ცრემლის ატლასით შევიწმენდ თვალებს,
ზოგჯერ მტირალ ქარს სახლშიც შევუშვებ,
ბუხართან დავსვამ მტკივან მუხლებით
და როს მის მზერას წამწამს შევუშვერ,
რაღაც ლამაზზე ვესაუბრები,
დაჯდება მკერდში ცივ გულს ჩაიდგამს
და შეუთბება ლოყა ნასუსხი
და სიჩუმეში მკივან ჩაიდანს,
დასცდება ყველა კითხვის პასუხი...
მზერით შევათბობთ ერთურთს ხანდახან,
ზოგჯერ გულწრფელი დასავით არი,
ვიღაც ჩაივლის ეზოს გადაღმა,
ჩვენზე ლამაზი სევდით მდიდარი...

***

ისეთი დღეა, ვერაფერს ვადრი,
(თუმც მეტაფორა სულში დევს რიდით)
შავ როიალზე პირთეთრი ვარდი
გდია ახლახანს მოკლულ გედივით,
ვიღაცის გულზე მიბნევის ღირსი,
სიკვდილს თავისი ნებით ხლებია,
ფურცლიდან მოსწვეთს ქათქათა სისხლი,
სჩანს სჭირდა თოვლის ლეიკემია,
...არავინ გლოვობს,სტირის არავინ,
ალბათ მომტირლად მეც არ ვეგულე,
ან,როგორც ზავის თეთრი ალამი,
აქ დარჩათ ბედთან დამარცხებულებს,
იქნებ სიცოცხლე ისე გაფლანგა,
არ სცნობდა ბედის ერთგულ თარიღებს
და სიყვარულის უცნობ საფლავთან
ნაღალატევი კაცი წაიღებს...
იქნებ ამ ძვირფას შავი საკაცით.
თავის ოცნებებს გამოეთხოვნენ
და როიალზე სიმწრით ნაკაწრი,
ან მოცარტს დარჩა ,ანდა ბეთჰოვენს...
ან იქნებ მზერას ფერში ერევა
და ვეღარ ხედავს ასე გარკვევით
და როცა კვდება მშვენიერება,
აღარც სულია სახელდამრქმევი...

***

დაღლილ კალთაში წვანან თითები,
ნეკი ცერას კვლავ ცახცახით ეკვრის
და ხაზთა თხელი ლაბირინთებით,
ყველას სურვილი ჰკლავს მუშტად შეკვრის..
ზოგს ჯერაც ახსოვს სხვა თითთა თრთოლა,
მილამუნება ფარულ ალერსის,
ზოგი თავის მსგავსს,რომ დაეტოლა,
შეეხო,როგორც მახვილს ალესილს...
ზოგს ახსოვს ცხელი ხელისმტევანის
ამოცოცება მღვრიე მაჯასთან,
ზოგი თითი,კი ვით სატევარი,
ცდილობდა სხვათა ძალით დაჯაბნას,
დასრიალებდნენ,ეძებდნენ,თრთოდნენ.
და კვლავ შეხების სურვილი ჰკლავდათ.
ეთხოვებოდნენ ერთმანეთს ოდეს,
გულგრილ შეხებას სტოვებდნენ მკლავთან,
როგორ უნდოდათ,მაგრამ ვერაფრით,
ვერ მიაღწიეს თუნდაც მკერდამდე,
ისე,რომ ითქვას ,თუნდაც შეფარვით,
ამის ჩადენას ვერც გაბედავდნენ...
ოღონდ ეწადათ,მუდამ ეწადათ,
თუმც სიყვარული სხვაფრივ ბრძანებდა
და გულებისთვის,რომ არ ეწამლათ,
ბოლოს თავის ბედს ყველა დანებდა,
ათიდან ერთიც ვერ იქცა ერთა,
აღმატებოდა სხვებს თავის ზნითა,
ზოგი თუ სატრფოს წერილებს სწერდა,
ზოგიც უარის ბარათებს ხსნიდა,
ესიზმრებოდა ზოგს მარგალიტი,
ზოგი ალმასის ზიდვას შესძლებდა,
მაგრამ ათიდან,ღმერთო,ცხრა თითი,
მაინც მხურვალე ალერსს ეძებდა..
დღეს კი კალთაში გულგრილად წვანან,
ახურავთ ძველი ფრჩხილის თავშლები
და უმღერიან ერთმანეთს ,,ნანას,, როგორც ბებერი
სულის ბავშვები...

***

მე გხედავ ,როგორც ყველაზე ღრმა ფერს,
ცრემლად გადმოღვრილს წამწამის ტერფთან
და გსუნთქავ, როგორც გაღეღილ ჰაერს,
რომ უშენობა სიტყვებით ვერ ვთქვა,
რა ვქნა ფიქრები მამხობენ პირქვე,
და ვერავისთან წასვლა ვარჩიე,
ისეთ უცნაურ სახელებს ვირქმევ
და ამიტომაც ვერ შემამჩნიე.
შენი ყოველთვის რაღაც მმართებდა,
აღმატებული ტოტთა და ფესვთა
და შენს სახელზე ჩამქრალ სანთელთან,
სულ შემციცინული ლოცვები მესვა...
დავბორიალობ ახლა ლანდივით
და ეკალ-ეკალ ვივსებ იარებს,
ტკივილით მხოლოდ მაშინ გავმდიდრდი,
სენ სულზე როცა გადამიარე..
რაც მიდარდია დარდათ დაბერდა,
ახლა ეს ყოფა რაღად მიღირდეს,
ჩითს ვეღარ გავცვეთ ახლა ხავერდათ,
ფოთოლს ვერ ვაცმევ დამჭკნარ ღიმილებს..
რომ არ ვიცოდე ჩემში ვით ჯვარობ,
როგორ ზედაზნობ და ფიტარეთობ,
რას გამათბობდა სხეულის ჯვალო,
სული ცოდვისთვის რომ არ დამეთმო...
მაინც არ დამთმო,თუ რამ მომხიბლა,
იმასაც არამ ლუკმად გადავცდი,
არ დამთმო,რადგან იმად ხომ ვღირვარ,
გილამაზებდე ტკივილს რაღაცით..

***

როგორ მიხარის,არსად შევხვდებით,
თუმც უშენობა ყველგან იცნობა,
რომ აღარ გავსვრით ცხადებს შეხებით
და არ დავუგდებთ გზად უბიწობას..
როგორ მიხარის აღარ მივიტანთ,
ტუჩებთან ტუჩებს დუმილის მოკვლით
და მობზრიალე სულის თითისტარს,
არ შევაჩერებთ ნერვების თოკით...
აღარ შევდგებით ცერზე ისე რომ,
ბალახს ვატკინოთ ტანის სიმჩატე,
როდესაც თვალზე ცრემლი ბისერობს,
წამწამებს შორის წვიმას ვინ ჩატევს,
გავკვალავთ ბილიკს ოცნების დაშნით,
სულებს ვერ დავტევთ სიმშვიდის ალაგს
და ვიგრძნობთ,როგორ ამაოდ დავშვრით,
დუელში,ჩვენ,რომ აღვუთქვით არაგვს...
დღეს იმას აღარ უნდა ვჯავრობდე,
რაც სიყვარულის ნაისრევია,
საკუთარ გულთან მებრძოლ ჯვაროსნებს,
გამარჯვებები არც ღირსებიათ...

***

აი, შენ უკვე აისებს ტოვებ
და დაისები გიზიდავს უფრო
და მომავალი წლის აგვისტომდე,
როგორმე გასძლებ,ვით ქვრივი უქმროდ,
აღარც მორჩენილ ზღვებით ლიცლიცებ,
არც მინავლული ნაკვერჩხლით იწვი,
მზესუმზირების მალულ სიცილებს,
დაღლილ მზერიდან ხიწვივით იცლი,
სიოს ძებნაში,რომ აღარ წვალობ,
სექტემბერს თავი მოაქვს ქებულად
და კალაპოტში დამშრალი წყაროც
შენსავით ცოტა გასუქებულა,
ბალახთან ერთად შენც ჭკნები–ამჩნევ,
დაეძებ ნუგეშს–წლების დამკვლელებს
და გვირილების ახეულ სარჩევს,
შემჭკნარი ვარდის ფურცლით აკერებ,
გასაწმენდია უკვე საკვამლე,
მთვარის შანდალი.ვერცხლის ბეჭდები
და სიყვარულის გამქრალ ნაკვალევს,
ალბათ მონიშნავ ცრემლის კენჭებით,
სიტყვას დუმილის კენწეროს შესვამ,
ან,ნათქვამისაც განა რა გმართებს
და აგვისტოთი გარუჯულ ზეცას
მალე ნისლებით გააქათქათებ,
ნახავ ღამეებს წვიმით გადამთვრალს
და ნაფათურებს დღეებს ქარებით
და დაიღლები ,ვით ყოველ ზამთარს,
პალტოს,დარდის და თოვლის ტარებით...
ალბათ იმაზე ადრე ჩავა მზე ,
ვიდრე წაიძრობ ბეჭდებს თითიდან
და სიყვარულის ხსოვნის საფლავზე,
პირველი თოვლის შროშანს მიიტან,
სულს კვლავ დარდების ხროვას მიუსევ,
მეტი შენ მაინც ვერა შესძელი
და ცეცხლის კვამლით გაკვანძულ ყულფზე
თავს ჩამოიხრჩობს უკვე ეს წელი..
ამ ოცნებასაც აღარ მოეშვი,
უფრო იბერებ გულს აჩვილებით
და შენს დაკეცილ მარაოებში
მოყოლილ მზეებს სტკივათ ჩრდილები..
დე,ამ ზაფხულსაც სთხოვე შენდობა,
ქალბატონოოო–თბილი მიმართვით
და კარზე მომდგარ შენს შემოდგომას,
ფინჯანი სევდა მაინც მიართვი....

აჰმად თაშა ალ-მანიქლი - სუდანის ქართველი მმართველი

სადასწყისი გვ. 9

უახლეს პერიოდში“ რუსი ისტორიკოსი იური კობიშანოვი საუბრობს კავკასიური წარმოშობის გენერალ-გუბერნატორებზე: „ევროპელი მოგზაურები აღფრთოვანებულნი იყვნენ თურქების (კერძოდ კავკასიური და ალბანური წარმოშობის) სტუმართმოყვარეობით, ხელგაშლილობითა და სიმამაცით. გენერალ-გუბერნატორებს, გუბერნატორებსა და უფრო დაბალი რანგის მმართველებს (რომლებიც „ფაშას“ და „ბეის“ ტიტულებს ატარებდნენ) შორის იყვნენ გამოჩენილი პიროვნებები, დიდი ენერგიითა და მტკიცე ხასიათით. ასეთები იყვნენ ამ თავში მოხსენიებული გენერალ-გუბერნატორები: ჩერქეზები - აჰმედ აბუ ვიდანი, აბდ ალ-ლატიფ აბდალლა, ისმაილ აიუბი, ჯაფარ სადიკი, ალი ჯარქასი, მუსა ჰამდი, მუჰამედ რაუფი, მეგრელი - აჰმედ ალ-მანიქლი, ქურთი - ისმაილ ჰაქიმ აბუ ჯაბალი, ალბანელი - ალი სირრი, ეგვიპტელი თურქი - აჰმედ მუმთაზი“ [История Судана в новое и новейшее время, 1992:35]. ამრიგად, ეს ავტორი ადასტურებს ალ-მანიქლის ქართულ წარმოშობას და ეყრდნობა იმ რუს მოგზაურებს, რომელნიც იმყოფებოდნენ სუდანის ტერიტორიაზე მე-19 საუკუნეში.

უმნიშვნელოვანესია არტემ რაფალოვიჩის წიგნი „მოგზაურობა ქვემო ეგვიპტესა და დელტის შიდა რაიონებში“, სადაც ავტორი წერს: „[ალ-მანიქლი] შესახვედრად ოთახის შუაგულამდე შემომეგება: ეს არის პატივი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი და ღირებულია მაღალი მუსლიმი წარჩინებული პირის მხრიდან ახალგაზრდა ევროპელის მიმართ, ამას ადვილად მიხვდებიან ის ადამიანები, რომლებიც იცნობენ აღმოსავლურ ტრადიციებსა და თურქების სიამაყეს. მაგრამ რუსის სახელი ოსმალურ სამფლობელოებში ახლა უმაღლესი რეკომენდაციაა. მოგვართვეს ნარგილე და ყავა და დავიწყეთ საუბარი ჭირსა და კარანტინზე, სირიისა და პეტერბურგის შესახებ, კავკასიასა და საქართველოზე: ეგვიპტეში თურქი ჩინოვნიკების დიდი ნაწილი ფაშას მამლუქებია, ბავშვობაში მოყვანილი ამ უკანასკნელი რეგიონებიდან, ამიტომაც რუსებთან შეხვედრის დროს ისინი, რა თქმა უნდა, საკუთარ სამშობლოზე გეკითხებიან“ [Рафалович, 1950]. რაფალოვიჩის ცნობა ფაქტობრივად პასუხობს ჩვენს მთავარ კითხვას; ის, რომ მანიქლისთან მან საქართველოზე ისაუბრა, პირადპირ თუ არა, ირიბად მაინც ადასტურებს მის ქართულ წარმოშობას.

მართალია, რიჩარდ ლესლი ჰილი უარყოფს ალ-მანიქლის ქართულ წარმომავლობას, მაგრამ გასაბათილებლად მას არ მოჰყავს ერთი კონკრეტული არგუმენტი და რამდენიმე ვარაუდს გამოთქვამს [Hill, 1967:35]. მათ შორის, იგი ამბობს, რომ შესაძლებელია ეს სახელი მას ფიზიკური ნაკლის გამო დაერქვა, რაც არ გულისხმობს, რომ იგი აუცილებლად თურქი იყო. ბუნებრივია, ეს სახელი მას ოსმალურად დაერქმეოდა და არა რომელიმე ქართველურ ენაზე. როგორც ზემოთ ითქვა, ჰილის აზრით, ალ-მანიქლი არის კავალას პროვინციიდან. საგულისხმოა, რომ აფაფ ლუტფი მარსოც ეხება მუჰამად ალის კავალელ მაღალჩინოსნებს, რომელთა შორის ალ-მანიქლის არ ახსენებს [Marsot, 1984:78].

აშკარაა, რომ აჰმად ალ-მანიქლის სახელიდან უშუალოდ არ მტკიცდება მისი ქართული წარმოშობა, მაგრამ ერთი რამ უდავოა - ალ-მანიქლი ისტორიაში ცნობილია როგორც ქართული წარმოშობის მმართველი და ზოგიერთი გამოთქვამს ამასთან დაკავშირებით ეჭვს (და არა პირიქით).

საინტერესოა, რას ნიშნავს „მანიქლი“.

საკუთრივ სიტყვაზე დაყრდნობით გამოვთქვამთ ვარაუდს: სავსებით შესაძლებელია „მანიქლი“ უკავშირდებოდეს نكل (ნქლ) ძირს. სავარაუდოდ, მისი მნიშვნელობა ეფუძნება نكل (ნაქალა) ზმნას. ეს ზმნა მეორე თემაში (نكّل - ნაქქალა) აღნიშნავს „მკაცრად დასჯას“, „წამებას“. ამ ზმნიდან წარმოებული მიმღეობა იქნება منكل (მუნაქქილ), რომელიც უნდა ნიშნავდეს „მკაცრად დამსჯელს“, „მწამებელს“. რომელსაც ემატება ى ნისბა - მიმართებითი ზედსართავისა და წარმომავლობის აღმნიშვნელი სუფიქსი. ამავე ძირზეა სიტყვები: تنكيل (თანქილ) – „სამაგალითო, მკაცრი დასჯა“, نكال (ნაქალ) - „სასჯელი“ და نكل (ნიქლ) – „ბორკილი“, „ლაგამი“.

მხედველობაში შეიძლება მივიღოთ სხვა ძირის ზმნა - نكى (ნაქა), რომელიც ნიშნავს „დარბევას“, „განადგურებას“ (მტრის), „ლიკვიდაციას“, „წამებას“, „ტანჯვას“. ამ ზმნის მეორე თემიდან წარმოებული მიმღეობაა منك (მუნაქქინ) - „დამრბევი“, „გამანადგურებელი“, „მწამებელი“. ხოლო لي (-ლი) სუფიქსი, შესაძლებელია, ოსმალურის გავლენით დაერთო. მით უმეტეს, რომ იდენტური შემთხვევები გვხვდება, მაგალითად, სუდანში მოღვაწეობდა ასეთი მამლუქი - იბრაჰიმ ბეი ჯეზარლი (Ibrahim Bay Djezarli) [Robinson,. 1922:92].

რა თქმა უნდა, ზემოთმოყვანილი ვერსიები ჟღერადობით განსხვავდება „მანიქლისგან“, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ერთი მომენტი - ოსმალურ და არაბულ წყაროებში სიტყვები იწერება გაუხმოვნებლად. გრაფიკული თვალსაზრისით „მანიქლი“ (منكلي), „მუნაქქილ“ (منكل) და „მუნაქქინ + ლი“ (منكلي) ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ისიც საყურადღებოა, რომ აჰმად ფაშას სახელის სხვადასხვა ვარიანტები გვაქვს, რაც ავტორთა მიერ მისი სახელის თავისებურად წაკითხვაზე მიუთითებს (იხ. სქოლიო, გვ.1).

ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია ამ ვარაუდზე დაფიქრება, ვინაიდან აჰმად ფაშას ზედწოდება „ჯაზარი“ კარგად ეთანხმება მოყვანილი ზმნების მნიშვნელობებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას:

1. აჰმად ფაშა ალ-მანიქლი არის უაღრესად საინტერესო და გამორჩეული პიროვნება სუდანისა და ეგვიპტის ახალ ისტორიაში.

2. აჰმად ფაშა ალ-მანიქლი არის ფიგურა, რომელიც ჩვენთვის ცნობილ ისტორიულ ნაშრომთა უმრავლესობაში აღიარებულია ქართველად. საჭიროა კვლევის გაგრძელება, ეგვიპტური და ოსმალური საარქივო მასალების საფუძვლიანი შესწავლა, რადგანაც შესაძლებელია სრულიად ახალი ცნობების მიღება ამ საკითხზე.

3. თემა არ ამოიწურება მხოლოდ ალ-მანიქლით. მუჰამად ალი ფაშას რეპრესიებს გადარჩენილი მამლუქები სუდანში გაიქცნენ იბრაჰიმ ბეი შინჯიკაშვილის მეთაურობით. სავარაუდოდ, მათ შორის ქართული წარმოშობის სხვა მამლუქებიც იყვნენ. იბრაჰიმ ბეი 1813 წელს დონგოლაში გარდაიცვალა.

ქართველი მეცნიერების საკვლევი ობიექტი ხდება სრულიად ახალი სფერო - სუდანის ისტორია და ქართველთა კვალი ამ ქვეყანაში.

აჰმად ფაშა ალ-მანიქლი წყაროებში სხვადასხვაგვარად მოიხსენიება: მანიქლი (Ahmad Pasha Manikli)- ინგლისელი პიტერ მალკოლმ ჰოლტი (1918-2006) და მარტინ უილიამ დეილი (დაბ. 1950 წ.) , ეგვიპტელი აფაფ ლუტფი ას-საიდ მარსო (დაბ. 1933 წ.), სუდანელი ჰასან აჰმედ იბრაჰიმი, ამერიკელი ენდრიუ ჯეიმს მაკგრეგორი და სხვ.; მანლიქლი (Ahmad Pasha Manlikli) - ინგლისელი რიჩარდ ლესლი ჰილი (1901-1996); მენექლე (Ahmed Pasha Menekle) - პრუსიელი რიჰარდ ლეპსიუსი (1810-1884) და სხვ.; მინიქლი (Minikly Pasha) - ისრაელელი კაის მადი ფირო (დაბ. 1944 წ.). ჩვენს ნაშრომში გამოიყენება „ალ-მანიქლი“.

1805-1811 წლებში მუჰამად ალი მამლუქებს ებრძოდა. მან თავის სასარგებლოდ გამოიყენა მამლუქთა ბეიებს შორის მიმდინარე დაპირისპირება და ნელ-ნელა ჩამოიშორა ისინი. მამლუქთა პოზიციები საგრძნობლად შესუსტდა, მაგრამ 1811 წლამდე ისინი კვლავ აწყობდნენ აჯანყებებს. მუჰამად ალიმ გადაწყვიტა საბოლოოდ გაენადგურებინა ისინი. 1811 წლის 1 მარტს კაიროს ციტადელში მან მოტყუებით ამოახოცინა მამლუქთა დიდი ჯგუფი. დაწყებულ სასტიკ რეპრესიებს გადაურჩა მამლუქთა მცირე ნაწილი, ისინი სუდანში გაიქცნენ.

1821 წელს საბერძნეთში დაიწყო განმათავისუფლებელი ომი ოსმალთა წინააღმდეგ. აჯანყებულებმა წარმატებებს მიაღწიეს და ოსმალეთის სულტანს სერიოზული პრობლემები შეუქმნეს. სულტანმა მაჰმუდ II-მ (1808-1839) დახმარება მუჰამად ალის სთხოვა და წარმატების შემთხვევაში სირიის გადაცემას დაჰპირდა, მუჰამად ალის აგრეთვე სურდა კრეტის, სამხრეთ საბერძნეთის, კვიპროსისა და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის სავაჭრო გზების ხელში ჩაგდება. ეგვიპტის მმართველმა საბერძნეთში ჯარი გააგზავნა საკუთარი ვაჟის იბრაჰიმის სარდლობით. ეგვიპტელებმა ათენიც კი აიღეს, მაგრამ საბოლოო ჯამში მარცხი განიცადეს.

ჰადენდოა ყოველთვის გამოირჩეოდა განსაკუთრებული სამხედრო სიძლიერით. საკუთრივ სახელწოდება ნიშნავს „ლომის შვილებს“. მათ მნიშნელოვანი როლი შეასრულეს მაჰდისტურ აჯანყებაში, რომელიც სუდანიდან ეგვიპტელთა და ინგლისელთა გაძევებით დასრულდა 1885 წელს. მათი მეთაური ოსმან დინგა იყო მაჰდისტური მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი სარდალი.

ბეჯა (არაბ. البجا) არის ეთნიკური ჯგუფი ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში. მათი საერთო რაოდენობა ერთ მილიონს აღემატება. ძირითადად სახლობენ სუდანის ტერიტორიაზე (გარკვეული რაოდენობა არის ერითრიასა და ეგვიპტეში). ამ ხალხის ენასაც ბეჯა ეწოდება (ესაა აფრაზიული ენების ქუშიტური განშტოება), ისინი აგრეთვე საუბრობენ 2 სემიტურ ენაზე - არაბულად და ტიგრის ენაზე. მათი უმრავლესობა არის სუნიტური ისლამის მიმდევარი და ეწევა მესაქონლეობას.

აჰმად ფაშა აბუ ვიდანი (არაბ. احمد ودان اب باشا) სუდანს განაგებდა 1838-1843 წლებში. ის იყო ძლიერი და წარმატებული მმართველი. მას უკავშირდება ტაკას რეგიონის დაპყრობა და მკაცრი ფისკალური სისტემის შექმნა. აბუ ვიდანს კარგი ურთიერთობები ჰქონდა ოსმალეთის სულტან აბდულ მაჯიდ I-თან (1839-1861) და ცნობილია, რომ მუჰამად ალისგან დამოუკიდებლობის მოპოვება სურდა. მოულოდნელად გარდაიცვალა 1843 წელს. გავრცელდა ხმები, თითქოს იგი მოწამლა საკუთარმა ცოლმა, მუჰამად ალის ქალიშვილმა.

ალ-მანიქლის ბრძანებით ჰადენდოას უმრავლესობა გაუგონარი სისასტიკით ამოხოცეს ან დაასახიჩრეს. ჯარისკაცები ჭებს მიწით ფარავდნენ, საქონელს მიერეკებოდნენ, ადამიანებს თავიანთი მეთაურის გასართობად კლავდნენ. ერთ-ერთი ოფიცერი სანაძლეოზე იარაღის ერთი დარტყმით ტყვეებს ორად ხლეჩდა. ალ-მანიქლის სამხედროების ხელში ასევე მოხვდნენ ტომის ქალები, რომლებსაც განსაკუთრებით იცავდნენ. ალ-მანიქლის ხარტუმში ჩამოუყვანია მოწინააღმდეგეთა ცნობილი ბელადები. ისინი ბაზრის მოედანზე ჩამოახრჩვეს [Cumming, 1937:19].

მირლივა (არაბ. لواء أمير „ამირ ლივა„) - სამხედრო წოდება ოსმალეთისა და ეგვიპტის შეიარაღებულ ძალებში. ფარიკზე (არაბ. فريق) ერთი რანგით დაბალი წოდებაა. შეესაბამება თანამედროვე გენერალ-მაიორი. ოსმალეთში ეს რანგი გაუქმდა 1934 წელს.

ეგვიპტე-ოსმალეთის პირველი ომი მიმდინარეობდა 1831-1833 წლებში. ბერძნებთან ომის საკომპენსაციოდ მუჰამად ალიმ ოსმალეთის სულტან მაჰმუდ II-ს სირია მოსთხოვა, მაგრამ უარი მიიღო. 1831 წელს ეგვიპტის არმია იბრაჰიმ ფაშას მეთაურობით სირია-პალესტინაში შეიჭრა და 1832 წლის ბოლოს უკვე შუაგულ ანატოლიამდე მივიდა. 1832 წლის 21 დეკემბერს გაიმართა კონიის ბრძოლა, სადაც დიდი ვეზირის რეშიდ მეჰმედ ფაშას 60 ათასიან ჯარს სძლია ეგვიპტელთა 30 ათასიანმა არმიამ. სტამბოლი უდიდესი საფრთხის წინაშე დადგა. ევროპული სახელმწიფოების (რუსეთი, საფრანგეთი, ინგლისი) ჩარევის შემდეგ ოსმალეთსა და ეგვიპტეს შორის დაიდო ქუთაჰიას საზავო ხელშეკრულება. ზავის მიხედვით მუჰამად ალიმ მიიღო მმართველობის უფლება ეგვიპტეზე, სირია-პალესტინაზე, არაბეთის ნახევარკუნძულზე, სუდანზე, ადანას რეგიონსა და კრეტაზე.

1838 წელს სირიაში მიმდინარეობდა დრუზების აჯანყება იბრაჰიმ ფაშას მმართველობის წინააღმდეგ. მთავარი მიზეზი იყო დრუზებს შორის რეკრუტის დაწყება. იბრაჰიმ ფაშას ძალიან გაუჭირდა მიუვალ ადგილებში გამაგრებულ აჯანყებულებთან ბრძოლა, მაგრამ 1838 წლის შემოდგომისთვის ამბოხებულები მაინც დამარცხდნენ.

ნისიბის ბრძოლა მოხდა 1839 წლის 24 ივნისს, ეგვიპტე-ოსმალეთის მეორე ომის დროს. ერთმანეთს შეეჯახა 50 ათასიანი ეგვიპტური არმია იბრაჰიმ ფაშას სარდლობით და 40 ათასიანი ოსმალური ჯარი ჰაფიზ ოსმან-ფაშას მეთაურობით. ოსმალეთის არმიის არტილერიას ხელმძღვანელობდა ჰელმუტ ფონ მოლტკე. ბრძოლა ეგვიპტელთა გამარჯვებით დასრულდა.

ლაკაბი - ზედწოდება.

„მას კავკასიელ მეგრელს უწოდებენ“ (ავტ. თარგმანი)

მუდირია - ადმინისტრაციული ერთეული.

სუდანის მხოლოდ რამდენიმე ჰუქუმდარის სახელიდან შეიძლება მისი ეთნიკური კუთვნილების დადგენა (მაგალითად, ალბანელი ალი ფაშა სირრი არნავუტი (არაბ. أرناؤوط سري باشا على) ჩერქეზი ალი ფაშა ჯარქასი (არაბ. س جركباشا علي) და სომეხი არაქილ ბეი ალ-არმენი (არაბ. الأرمني بيه اراكيل)

აქვე უნდა ითქვას, რომ პრუსიელი მოგზაურისა და მეცნიერის კარლ რიჰარდ ლეპსიუსის წიგნის ინგლისური თარგმანის (რედაქტორი - კენეთ რობერტ ჰენდერსონ მაკკენზი) სქოლიოში „მენექლე“ განმარტებულია როგორც „დიდ ყური“ [Lepsius, 1853:133], თუმცა აქ რედაქტორის შეცდომასთან უნდა გვქონდეს საქმე. ერთმანეთში აღრეულია აჰმად ალ-მანიქლი და აჰმად აბუ ვიდანი .

იბრაჰიმ ბეი ალ-ქაბირი (შინჯიკაშვილი) ერთიან ეგვიპტეს მართავდა 1780-1804 წლებში (არა უწყვეტად). წარმოშობით ის ქართველი იყო, სოფელ მარტყოფიდან. მისი და მურად ბეის მეთაურობით ეგვიპტელი მამლუქები წინააღმდეგობას უწევდნენ ნაპოლეონ ბონაპარტს.

იბრაჰიმის გარდაცვალების დრო და ადგილი სადავოა. მაგალითად, ა. რობინსონი წერს, რომ ის 1813 წელს, შენდიში გარდაიცვალა (სუდანი, დონგოლას სამხრეთით) [Robinson, 1922:92], ამავე თარიღს ემხრობა გოჩა ჯაფარიძეც [ჯაფარიძე; 2016:219], რამდენიმე ავტორის, მათ შორის ბენიამინ სილაგაძის მიხედვით, იბრაჰიმი 1816 წელს გარდაიცვალა [სილაგაძე, 1984:218]

გიორგი არქანია

თსუ- ს მე-3 კურსის სტუდენტი

(სტატიის ავტორს მითითებული აქვს წყაროები - რედ.).

დასაწყისი გვ. 6

ლეთთან პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების საშუალებად განიხილავს, მნიშვნელოვანია რეგიონში სტაბილური და უსაფრთხო გარემოს შექმნა. ქვეყნის საზღვრებთან საომარი მოქმედებების მიმდინარეობა ქვეყნის უსაფრთხოებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. ქვეყნის ნაციონალისტურად განწყობილი და ეთნიკურად აზერბაიჯანული მოსახლეობის ნაწილი მთავრობაზე ზეწოლას ახდენდა თეირანის კონფლიქტში „ჩართვის“ მიზნით. დადასტურებული იყო ირანელი ახალგაზრდა აზერბაიჯანელთა ჯგუფების მიერ საზღვრის არალეგალურად გადაკვეთისა და კონფლიქტში ჩართვის ფაქტები. კონფლიქტის გახანგრძლივება ზრდის ირანში ლტოლვილების გადადინების შანსს. (1993 წელს ირანის საზღვრებს, ნახიჩევანში არსებული საბრძოლო მოქმედებების შემდეგ, 200,000 აზერბაიჯანელი ლტოლვილი მოადგა.)

2016 წლის აპრილში კი მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გამწვავებისა და საომარი მოქმედების დაწყებისთანავე, ირანმა ოფიციალური განცხადებები გაავრცელა და მხარეებს ვითარების დეესკალაციისკენ მოუწოდა. კერძოდ, ირანის თავდაცვის მინისტრი ჰოსეინ დეჰყანი აზერბაიჯანელ და სომეხ კოლეგებს ტელეფონის საშუალებით ესაუბრა და მათ საომარი მოქმედებების შეწყვეტისა და კრიზისის მოლაპარაკებების გზით მოგვარებისკენ მოუწოდა.

რაც შეეხება ირანის პოზიციას საქართველოზე, ირანის ისლამური რესპუბლიკა მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს, რაც დამტკიცდა წლების განმავლობაში ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობით. ირანს საქართველოს კონფლიქტური რეგიონების მიმართ თავისი მიდგომა და პოზიცია გააჩნია. ირანის ისლამურ რესპუბლიკას ყარაბაღის კონფლიქტისაგან განსხვავებით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში სამედიატორო ფუნქციის შესრულების სურვილი არ გამოუთქვამს, მაგრამ პოზიცია ნათლად აქვს გამოხატული. ოფიციალური თეირანის პოზიცია აშკარად გამოვლინდა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს. საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ, პირველი განცხადება, რაც გამოაქვეყნა ირანის ისლამური რესპუბლიკის ოფიციალურმა საინფორმაციო სააგენტომ - „IRNA“ (11 აგვისტოს), ეს იყო თბილისში ირანის საელჩოს მიერ გაკეთებული განცხადება, რომ ისინი არ ისურვებენ კონფლიქტის შემდეგ გამწვავებას. თეირანი არსებულ ვითარებაში საკუთარ ძალისხმევას სწორედ აქეთკენ მიმართავს და ასევე, შეეცდება შუამავლობის როლის მორგებით, რეგიონში საკუთარი გავლენა დააფიქსიროს. უნდა აღინიშნოს, რომ ირანისთვის სამხრეთ კავკასიაში არსებული ძალთა ბალანსი მეტ-ნაკლებად მისაღებია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით, დონალდ ტრამპმა 1 მაისს გამოსცა დოკუმენტი, რომელიც შემდგომ 4 მაისს აშშ-ს წარმომადგენელთა პალატამ მიმდინარე ფინანსური წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით მიიღო. ამის მიხედვით, აშშ-ს ადმინისტრაციას ეკრძალება მხარი დაუჭიროს იმ ქვეყანას, რომელიც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას აღიარებს. ამერიკულ სახელმწიფო უწყებებს ეკრძალებათ ისეთი ქმედებების განხორციელება, რაც ამ ორი რეგიონის რუსეთის მხრიდან ოკუპაციის მხარდაჭერაზეა მიმართული. ასევე, აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს დაფინანსების თავში ნათქვამია, რომ პენტაგონის ბიუჯეტის თანხები არ შეიძლება დახარჯული იყოს რაიმე ქმედებაზე, რაც ხელს უწყობს რუსთის მხრიდან ყირიმის ანექსიის მხარდაჭერას. ფინანსთა სამინისტროს დავალებული აქვს კონტროლი განახორციელოს, რათა ამერიკულმა კომპანიებმა არ განახორციელონ ქმედებები, რომლებიც უკრაინის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას დაარღვევენ.

• რეფერენდუმები (ოსეთი, აზერბაიჯანი)

ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში 2017 წლის 9 აპრილს გამართულ ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებსა და რეფერენდუმს საერთაშორისო თანამეგობრობა ეხმაურება. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი, პორტუგალიის საგარეო საქმეთა სამინისტრო, გაეროს გენერალური მდივნის პრეს- მდივანი, საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ფედერიკა მოგერინის პრეს- სპიკერი და ნატო, ოფიციალურ განცხადებებში, გმობენ არალეგიტიმურ არჩევნებს და რეფერენდუმს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ცხინვალის რეგიონისთვის სახელის ან სტატუსის შეცვლის ცალმხრივი ნაბიჯები, საქართველოში სიტუაციის მოგვარებისკენ მიმართულ ძალისხმევას ძირს უთხრის. ნატოს მოკავშირეები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად არ აღიარებენ და მხარს უჭერენ საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

რაც შეეხება აზერბაიჯანს, 2016 წლის 26 სექტემბერს აზერბაიჯანში საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით რეფერენდუმის შედეგები გახდა ცნობილი.

ცვლილებები, კერძოდ, ითვალისწინებს ქვეყნის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის 5-დან 7 წლამდე გაზრდას და აზერბაიჯანის ვიცე -პრეზიდენტების პოსტების შექმნას. ასევე, შემოთავაზებულია მინიმალური ასაკობრივი ზღვარი პრეზიდენტის კანდიდატურისთვის, რომელიც დღესდღეობით 35 წელია; ცვლილებების მიხედვითვე, ქვეყნის პრეზიდენტს უფლება აქვს, ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები დანიშნოს. გარდა ამისა, პარლამენტში დეპუტატობის პოსტზე მინიმალური ასაკობრივი ზღვარი 25- დან 18 წლამდე მცირდება. პრეზიდენტსვე მიენიჭება ქვეყნის პარლამენტის დათხოვნის უფლებამოსილება (აზერბაიჯანში გამართულ რეფერენდუმში ამომრჩეველთა 69,7%-მა მიიღო მონაწილეობა, რაც 3 671 707 ამომრჩეველია).

სამხრეთ კავკასიის ჩართულობა მსოფლიო პროექტებში (აბრეშუმის გზა, ევრაზიული კავშირი, ნაბუკო)

სამხრეთ კავკასიის ქვეყნები იმყოფებიან საერთაშორისო სატრანსპორტო და ენერგეტიკული გადაზიდვების გზაჯვარედინზე და მუდმივად განიცდიან უფრო მსხვილი პოლიტიკური ერთეულების და გაერთიანებების ზემოქმედებას. მათზე გავლენის მოპოვებას ცდილობენ, როგორც რეგიონალური: რუსეთი, თურქეთი, ირანი, ასევე გარე ძალები: აშშ, NATO, ევროკავშირი, ისრაელი, ჩინეთი. კავკასიაში და მის გარშემო მიმდინარე პროცესების განხილვისას, შეუძლებელია არ ვახსენოთ ისტორიული აბრეშუმის გზა ანუ სავაჭრო არტერია, რომლის გამოც მრავალი საუკუნის განმავლობაში მიდიოდა ბრძოლა კავკასიისთვის. დღეს მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, რეგიონის მომავალი დამოკიდებულია ორ სტრატეგიულ პროექტზე, ერთის მხრივ დასავლეთი ცდილობს, ამერიკული „ახალი აბრეშუმის გზის“ კონცეფციის შესაბამისად მოიპოვოს კონტროლი ცენტრალური აზიის ენერგო რესურსებზე, რუსეთისა და ჩინეთის გვერდის ავლით და მეორეს მხრივ რუსეთი ქმნის ევრაზიულ კავშირს.

საქართველოს საკუთარი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე მუდმივად უწევს საკუთარი უსაფრთხოების მიზნით გაატაროს დაბალანსების პოლიტიკა. ამის კარგი მაგალითია აშშ-სთან გაღრმავებული ურთიერთობები, ეს უკანასკნელი კი მსოფლიო ასპარეზზე, რუსეთის ფედერაციის ერთ-ერთ კონკურენტად მოიაზრება. დამატებით, საქართველო-ჩინეთის ურთიერთობები, რითაც საქართველომ მეტ-ნაკლებად მოახერხა რუსეთის ბაზრის ალტერნატივის მოძიება და მისი ჩანაცვლება. საქართველო რეგიონში პირველი ქვეყნაა, ვისთანაც ჩინეთს ექნება გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება. ამგვარად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების გაძლიერებით საქართველო შეძლებს რუსეთის გავლენის უფრო მეტად შემცირებას. მკვლევარებს შორის მიიჩნევა, რომ ჩინეთი და რუსეთი გლობალურ დონეზე პარტნიორები არიან, თუმცა რეგიონულ და ლოკალურ დონეზე ისინი მაინც კონკურენტებად რჩებიან, ამის კარგი მაგალითია ცენტრალური აზიის სახელმწიფოები, სადაც ჩინეთისა და რუსეთის ინტერესების ხშირად იკვეთება. აქედან გამომდინარე რეგიონში ჩინეთის გამოჩენით, შესაძლოა კვლავ მოხდეს რუსეთისა და ჩინეთის ინტერესების დაპირისპირება, რაც საქართველოს საბოლოო ჯამში უფრო მოქნილი საგარეო პოლიტიკის გატარების საშუალებას მისცემს. არსებობს მკვლევართა მოსაზრება, რომ საქართველო ჩინეთის ურთიერთობები მხოლოდ ეკონომიკურად შემოიფარგლება, თუმცა არის ხშირი შემთხვევები, როდესაც ეკონომიკური ურთიერთობები პოლიტიკურში გადაიზრდება. გარდა ამისა საქართველოს ჩინეთზე დამოკიდებულება არ ემუქრება. საქართველო ჩინეთთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებით მიიღებს მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს რეგიონში არსებული ეკონომიკური დერეფნის გამოყენებას. ჩინეთს სურს, ევრაზიული გეოპოლიტიკური სივრცის გზაჯვარედინზე ფეხის მყარად მოკიდება. კერძოდ, საუბარია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის სი ძინ პინის მიერ დაანონსებულ ეკონომიკურ ინიციატივაზე „ერთი სარტყელი ერთი გზა“, რომელიც საზოგადოებაში აგრეთვე ცნობილია, როგორც „ახალი აბრეშუმის გზა“. საქართველო მოიაზრება აღნიშნული ინიციატივის წევრად.

მსოფლიოში არსებული საფრთხეების გასანეიტრალებლად საჭიროა დაბალანსებული სატრანსპორტო პოლიტიკის გატარება. ახალი აბრეშუმის გზის ერთ– ერთი დანიშნულებაა „ნატოს“ ავღანეთიდან ტვირთის უსაფრთხოდ გამოტანა. საქართველოს, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, შეუძლია გაატაროს ეს ტვირთები, რაც ქვეყანას გარკვეულ შემოსავალს მოუტანს. მნიშვნელოვანია , რომ როგორც ავღანეთის სამშვიდობო მისიის პარტნიორი ქვეყანა, საქართველო დაფიქსირდება ასევე ISAF–ის სატრანსპორტო გადაზიდვებში მონაწილეობითაც . ამასთან, შეთანხმება ისე უნდა გაფორმდეს , რომ მომავალში ის გამოყენებულ უნდა იქნეს ეკონომიკური მიზნებისათვისაც. საქართველო სთავაზობს „ნატოს“ ავღანეთიდან ჯარისკაცებისა და ტვირთის გადმოზიდვის უმოკლეს ბაქო-თბილისი -ყარსის რკინიგზით. რაც, საჰაეროსთან შედარებით, გაცილებით იაფი ჯდება.

ახალმა აბრეშუმის გზამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს „საქართველოს რკინიგზის “ აფხაზეთის მონაკვეთის ამუშავებაშიც. მისი ამოქმედებით, უპირველეს ყოვლისა, რუსეთი დაინტერესდება, რადგან მიიღებს გასასვლელს სტრატეგიული მოკავშირეების – სომხეთის, ირანის, სირიის მაგისტრალებისკენ.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ რუსეთისა და სომხეთის ინტერესებშია არა ბაქო-თბილისი -ახალქალაქი -ყარსის, არამედ ადლერი–თბილისი -გიუმრი -ყარსის მარშრუტის აღდგენა და გიუმრიდან არა მარტო თურქეთთან, არამედ ირანთანაც დაკავშირება.

სი ძინ პინის (2016 წ.) მოსაზრებით, ინიციატივის სრულყოფილად რეალიზების შემთხვევაში სარგებელს მიიღებს 4.4 მილიარდი ადამიანი, ანუ მსოფლიო მოსახლეობის 63%. აღნიშნული ინიციატივა საქართველოს ეკონომიკისთვისაც მნიშვნელოვანი იქნება და საშუალებას მისცემს საკუთარი გეოგრაფიული მდებარეობა ეკონომიკურ ზრდაშიც გარდასახოს.

საქართველოს მთავრობამ აუცილებლად უნდა დასახოს ისეთი საგარეო პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ჩინეთთან აქტიური ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის გაღრმავებას. ამგვარი საგარეო პოლიტიკით, საქართველო შეძლებს რუსეთის ინტერესების დაბალანსება/განეიტრალებას, ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას და შეძლებს გაატაროს უფრო მოქნილი საგარეო პოლიტიკა.

რუსეთს კარგად ესმის ამერიკული „ახალი აბრეშუმის გზის“ მნიშვნელობა, ახალი ენერგეტიკული გზების მშენებლობა ცენტრალური აზიისა და კასპიის აუზისთვის ასრულებს მისი როგორც, ერთპიროვნული განმკარგავის ფუნქციას, რაც საბოლოოდ მნიშვნელოვნად შეამცირებს რუსეთის პოლიტიკურ წონას-გლობალურ პოლიტიკაში. თავის მხრივ, რუსეთი ყველანაირ ბერკეტს იყენებს, რათა „ევრაზიულ კავშირში“ რაც შეიძლება მეტი ქვეყანა გაერთიანოს. აბრეშუმის გზის კონტექსტში, ცენტრალურ აზიაში, სამხრეთ კავკასიაში და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესები და პროცესების შესაძლო განვითარება, ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. „ევრაზიულ კავშირის“ შექმნით რუსეთი ცდილობს შეინარჩუნოს გეოპოლიტიკური კონტროლი რეგიონზე და ამის შესაბამისად მოქმედებს, ახლო აღმოსავლეთში, ცენტრალურ აზიაში და სამხრეთ კავკასიაში.

სსრკ-ს დაშლის შემდგომ ევრაზიულ კავშირზე მუშაობა განაგრძო ალექსანდრე დუგინმა, რომელიც დღემდე ითვლება პუტინის პოლიტიკის მთავარ გეოპოლიტიკურ იდეოლოგად. გაერთიანების იდეოლოგიური პლატფორმაა დუგინის კონცეფცია „რუსული კუნძულის“ შესახებ, რაც გულისხმობს ერთგვარი ჩაკეტილი სამყაროს შექმნას პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან ალიანსის საშუალებით. ამით აქცენტი კეთდება ევრაზიის კონტინენტზე სუვერენულობის რუსეთის ჰეგემონობაზე.

მიუხედავად სახელწოდებისა - ევრაზიის ეკონომიკური კავშირი - პროექტი ითვალისწინებს არამხოლოდ ეკონომიკურ და საბაჟო, არამედ სამხედრო ინტეგრაციასაც. ფაქტიურად ესაა გაერთიანება ისეთი აქამდე და დღეს არსებული ინიციატივებისა, როგორებიცაა: დსთ, კუხო და სხვ.

ახლა კი რაც შეეხება ნაბუკოს პროექტს, ნავთობ პროდუქტების მსოფლიო ბაზარზე შექმნილმა ვითარებამ - კერძოდ კი, ნავთობისა და გაზის ფასის შემცირებამ - ნაწილობრივ შეასუსტა კასპიის ენერგორესურსების რუსეთის გვერდის ავლით ტრანსპორტირების ცნობილი პროექტების განხორციელების ტემპები, თუმცა კი ამ ვითარებაში აქტუ-

დასასრული გვ. 14

დასაწყისი გვ. 13

ალობა შეიძინა უფრო მცირე ზომის პროექტებმა. ასეთია საქართველოს გავლით ევროპაში თხევადი გაზის ტრანსპორტირების პროექტი.

რუსეთის გვერდის ავლით, კასპიის ზღვის ენერგორესურსების ევროპაში ტრანსპორტირების საკითხი, რომელივ „ნაბუკოს“ სახელითაა ცნობილი. „ნაბუკო“ უფრო პოლიტიკური პროექტია, ვიდრე ეკონომიკური, ანუ მასში დახარჯული ფული ნაკლებ სიკეთეს მოიტანდა.

მაგისტრალური გაზსადენი „ნაბუკოს“ პროექტი 2013 წელს გაიყინა, რისი მიზეზიც გახდა რუსეთის გეგმა - გაეყვანა გაზსადენი „სამხრეთის ნაკადი“ შავი ზღვის ფსკერზე, ბულგარეთში. 2014 წლის დეკემბერში რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა „სამხრეთ ნაკადის“ პროექტის შეჩერების შესახებ განაცხადა, რომ გაზსადენის მშენებლობას ვერ დაიწყებს, ვინაიდან ბულგარეთის მხრიდან თანხმობა არ აქვს. გარდა ამისა, გაყინვის ერთ-ერთი მიზეზი ისაცაა, რომ მისი გახორციელება საკმაოდ ძვირი ჯდებოდა, ხოლო მოგება ნაკლები იქნებოდა, ვინაიდან ნაბუქო კომერციული პროექტი არასოდეს ყოფილა. ტრანს-ადრიატიკული მილსადენი - ტაპი - კი, არ არის ცუდი ჩანაცვლება.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე ამას გავლენა, სავარაუდოდ, ექნება. განსაკუთრებით, ისეთ ქვეყნებზე, სადაც გაზპრომს მონოპოლია აქვს და კრემლი ხშირად სწორედ ენერგო- რესურსებს იყენებს ამ ქვეყნებზე გავლენის მოსახდენად. თუმცა, ეს გავლენა დიდხანს ალბათ არ გაგრძელდება.

ვილსონის ცენტრის ენერგო საკითხების მრჩეველი დოქტორი ალექსანდროს პეტერსენის თქმით, ნაბუკოს ჩაშლით საქართველომ არაფერი დაკარგა, რადგან საქართველოზე თვითონ ნაბუქოს მილების აშენება არ იყო დაგეგმილი. რეგიონში მთავარი გეოპოლიტიკური ცვილილება, რომელმაც უპირატესობა ტაპს მიანიჭა ის არის, რომ თუ აქამდე რეგიონის ენერგო სივრცეში მთავარი მოთამაშეები რუსეთი და თურქეთი იყო, ახლა მათ აზერბაიჯანიც დაემატა.

2015 წელს კი, აზერბაიჯანმა და ბულგარეთმა სურვილი გამოთქვეს ამ პროექტის განახლებაზე, რაც ბულგარეთს დაეხმარება, კიდევ უფრო მეტად დამოუკიდებელი გახდეს რუსეთის გაზისგან. ამის შესახებ ბულგარეთის პრემიერ-მინისტრმა ბოიკო ბორისოვმა აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან სოფიაში გამართული შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

რომის პაპის, ფრანცისკე პირველის ვიზიტი სამხრეთ კავკასიაში

პაპ ფრანცისკე პირველის ვიზიტს სამხრეთ კავკასიაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონში არსებული კონფლიქტებისა და ტერიტორიული დავების მოგვარების საკითხში. იგი ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, სადაც მისი მთავრი გზავნილი საზოგადოებისადმი იყო ის, რომ მან ისაუბრა რეგიონის ქვეყნებსა და სახელწიფოებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობის აუცილებლობაზე მათი სუვერენული უფლებების პატივისცემის გზით. მან ასევე ხაზი გაუსვა იმ ადამიანების უფლებებს, რომლებიც მსოფლიოში არსებული პოლიტიკური, ეთნიკური თუ რელიგიური დაპირისპირების გამო დევნილები არიან, დაუბრუნდნენ მშობლიურ მიწას. მან მხარი დაუჭირა რეგიონში არსებული ოკუპირებული ტერიტორიების არ აღიარების პოლიტიკას და მოსახლეობას რწმენის გაძლიერებისკენ მოუწოდა. აქვე აღსანიშნავია პაპის თურქეთში ვიზიტი. ვატიკანში დაბრუნებისას პაპმა მოუწოდა ერდოღანს და თურქებს, რომ ეღიარებინათ სომეხთა 1915 წლის გენოციდი, რაზეც ერდოღანის პასუხი იყო, რომ მან ელჩი გამოიწვია ვატიკანიდან.

სამხრეთ კავკასიის ევროპული არჩევანი - ურთიერთობა ევროკავშირთან და ნატოსთან

სამხრეთ კავკასისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება დასავლეთთან ურთიერთობას. თავის მხრივ ევროპა და ამერიკაც დიდ ინტერესს იჩენს რეგიონის მიმართ. ბრიუსელში შვეციის საგარეო უწყების ხელმძღვანელის, კარლ ბილდტის განცხადებით, საგარეო საქმეთა მინისტრებმა ევროკომისიას სთხოვეს მანდატის მომზადება, რათა დაიწყოს მოლაპარაკება სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანასთან ასოცირებულ შეთანხმებებზე.

„აღიარებულია ის, რომ ევროკავშირს აქვს უმნიშვნელოვანესი როლი ამ რეგიონში - სტაბილურობის ხელშეწყობის მხრივ,“ დასძინა შვეციის საგარეო საქმეთა მინისტრმა. ბრიუსელში გამართულ პრეს-კონფერენციაში, ბილდტთან ერთად, მონაწილეობდა ევროკომისარი ევროკავშირის გაფართოების საკითხებში, ოლი რენი, რომელმაც ხაზგასმით აღინიშნა სამხრეთ კავკასიის სტრატეგიული მნიშვნელობა და ევროკავშირის მტკიცე გადაწყვეტილება, გააგრძელოს თანამშრომლობა სამ პარტნიორთან ამ რეგიონში - სომხეთთან, აზერბაიჯანთან და საქართველოსთან.

სომხეთი ჩართული იყო Eap-ში (აღმოსავლეთი პარტნიორობა (EaP) არის ინიციატივა, რომელიც ქმნის ჩარჩოს ევროკავშირის ურთიერთობებისთვის სომხეთთან, აზერბაიჯანთან, ბელორუსთან, საქართველოსთან, მოლდოვასა და უკრაინასთან). მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვს არ დაუმალავს, რომ ამ ფაქტით აღფრთოვანებული არ ყოფილა, სომხეთისთვის მაშინ ხელი არ შეუშლია. ასოციაციის შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებები 2013 წელს დასრულდა, მაგრამ სამოქმედო გეგმას ხელი არ მოეწერა, ვინაიდან სომხეთს სურვილი ჰქონდა შეერთებოდა ევრაზიის ეკონომიკურ კავშირს (რუსეთი, ბელარუსი და ყაზახეთი), რაც 2015 წელს მოხდა.

2017 ნლის 27 თებერვალს სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა და ევროპის საბჭოს პრეზიდენტმა დონალდ ტუსკმა კომპლიმენტები გაცვალეს: სარგსიანმა ევროკავშირს „ერებს შორის ცივილური თანამშრომლობის მაგალითი“ უწოდა.

ბაქომ ევროკავშირს არა ასოციაციერებაზე შეთანხმება, არამედ სტრატეგიულ თანამშრომლობაზე ცალკე დოკუმენტი შესთავაზა, განაცხადა აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა: „ჩვენ კარგი ურთიერთობა გვაქვს ევროკავშირთან. ჩვენი პოლიტიკა ეროვნულ ინტერესებს ეფუძნება. ჩვენ არ უნდა დავისახოთ არარეალური ამოცანები. იმის ნაცვლად, რომ ევროკავშირთა ასოცირების შეთანხმებაზე მოგვეწერა ხელი, ჩვენ სტრატეგიული პარტნიორობის თაობაზე ცალკე დოკუმენტი შევთავაზეთ. ეს ბალანსირებული, პროდუქტიული დოკუმენტია. შეგახსენებთ: აზერბაიჯანი 2008 წლიდან მონაწილეობს ევროკავშირის პროგრამაში „აღმოსავლეთ პარტნიორობა“.

რაც შეეხება საქართველოს, პრემიერ მინისტრმა გ. კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ ქართველმა ხალხმა მიზნად დაისახა ევროკავშირთან და ნატოსთან მიერთება - ეს არა უბრალო პრიორიტეტი, არამედ გარდაუვალი შედეგია, რაც ქვეყნისა და რეგიონისათვის დემოკრატიის, უსაფრთხოების, მშვიდობისა და განვითარების უფრო მაღალი ხარისხის საწინდარია.

დასკვნა:

სომხეთი რუსეთის სტრატეგიული მოკავშირეა პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სამხედრო საკითხებში. მას სერიოზული კონფლიქტი აქვს აზერბაიჯანთან მთიანი ყარაბაღის გამო. ენერგორესურსებით მდიდარი აზერბაიჯანი კი, ცდილობს რუსეთის გავლენა დასავლეთთან დაახლოებით დააბალანსოს.

• საქართველო რუსეთიდან მომავალი საფრთხეების გამო სულ უფრო მეტ სწრაფვას ამჟღავნებს დასავლეთისკენ და ცდილობს კიდევ უფრო გააღრმაოს პარტნიორული ურთიერთობები აშშ-სთან. რის გამოც დიდ გეოპოლიტიკურ თამაშში ის ცენტრალური ადგილს იკავებს. ამდენად, აქ სტაბილურობის შენარჩუნებას და ხელისუფლების დემოკრატიულ ცვლას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება უახლოეს მომავალში.

• ამერიკა სულ უფრო აქტიურად ერთვება სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებში და სურს რუსეთის გავლენის შემცირება.

• რუსეთი განსაკუთრებულად დიდ ყურადღებას ანიჭებს ყოფილ საბჭოთა სივრცეში ენერგომატარებლების მოპოვება-ტრანსპორტირებასა და ვაჭრობაზე მონოპოლიის დამყარებას. ეს რუსეთის ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთ ძირითად კომპონენტად განიხილება, რადგან ნავთობი და გაზი რუსეთის შემოსავლის უმთავრესი წყაროებია. რუსეთის მიერ ევროპის ბაზარზე გაზის მონოპოლიის ხელში ჩაგდება ახალ განზომილებას სძენს ამ ინტერესს. სამხრეთ კავკასია წარმოადგენს ენერგორესურსებით მდიდარ კასპიის აუზთან და ცენტრალურ აზიასთან დასავლეთის დამაკავშირებელ ხიდს. რეგიონის სატრანსპორტო-ენერგეტიკული დერეფნის ჩამოყალიბების პესპექტივა მოსკოვის სერიოზულ შეშფოთებას იწვევს: ეს არა მხოლოდ შეამცირებს მის გავლენას ცენტრალურ აზიაში, არამედ მნიშვნელოვნად დააზარალებს რუსეთის ინტერესებს ცენტრალურ ევროპაში. თავის მხრივ, ტრანსპორტის საკითხების გარშემო თანამშრომლობა აუცილებლად გამოიწვევს აზერბაიჯან-საქართველო-თურქეთის ურთიერთობის გაღრმავებასა და ჩრდილოკავკასიელთათვის ერთგვარი ინტეგრაციული მიმზიდველობის მქონე ღერძის ჩამოყალიბებას. ცხადია, მოსკოვი ამ გარემოებასაც სერიოზულ საფრთხედ აღიქვამს. სამხრეთ კავკასიაში გავლენის მოპოვება რუსეთს გაუიოლებს თურქეთისა და ირანის ბაზრებზე გასვლას.

ირანი რუსეთის ტრადიციული მეტოქეა კავკასიის რეგიონში. მიუხედავად ამისა მოსკოვსა და თეირანს საკმაოდ მჭიდრო თანამშრომლობაც აკავშირებთ. უპირველეს ყოვლისა ეს ეხება ირანის ბირთვულ პროგრამას და იარაღის შესყიდვებს რუსეთში. აგრეთვე, მიუხედავად, საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთი ირანის პარტნიორად გვევლინება, ირანის გაზის ექსპორტის ზრდა უპირველესად რუსეთისთვის იქნება დარტყმა. გარდა ამისა, ირანი გაზით ამარაგებს სომხეთში მდებარე რაზდანის თბოელექტროსადგურს, რომელიც რუსულ რაო-ეეეს ეკუთვნის. ირანი მხარს უჭერს რეგიონის კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას. ირანის საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაში რეინტეგრაციის შემთხვევაში კავკასია, კერძოდ საქართველო განიხილება ირანული ბუნებრივი აირის ევროპაში ტრანსპორტირების ერთ-ერთ მამართულებად. ირან-საქართველოს ურთიერთობები მხოლოდ ორმხრივი ურთიერთობებით არ შემოიფარგლება, პროცესში სულ მცირე აზერბაიჯან- ირანისა და ირან-დასავლეთის ურთიერთობების განვითარებაა გასათვალისწინებელი. ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს ირანის მიერ 2016 წლის მარტში, ბალისტიკური რაკეტის გამოცდა, რომელიც დასავლეთში სერიოზულ შეშფოთებას იწვევს და რაც თავის მხრივ, შეიძლება გახდეს ირანის ხელახალი იზოლაციის მიზეზი. თუმცა, როგორც ჩანს, ამ ეტაპზე დასავლეთი რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილებისგან ჯერჯერობით თავს იკავებს.

• საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თურქეთის საგარეო პოლიტიკის, რომელიც მანამდე ძირითადად დასავლეთზე იყო ორიენტირებული, კიდევ ერთი მიმართულება გახდა დსთ-ის ახალ, უპირატესად თურქულენოვან სახელმწიფოებთან თანამშრომლობა. ამ მხრივ გამოირჩევა აზერბაიჯანი, რომელიც თურქეთის ტრადიციული მოკავშირეა. მას ასევე, პრობლემური ურთიერთბა აქვს სომხეთთან. თურქეთს აქვს პრეტენზია რეგიონში ლიდერად მოგვევლინოს. იგი გეგმავს უახლოეს პერსპექტივაში აქციოს თურქეთი ევროპისა და აზიის სრულფასოვან სატრანზიტო-ენერგეტიკულ კვანძად. თურქეთის ენერგეტიკული პოლიტიკა მიმართულია პარალელური ენერგოსატრანსპორტო პროექტების პარალელური რეალიზაციის საშუალებით მაქსიმალური მოგების მიღებაზე. ირანული ნავთობის ევროპაში გაგზავნა სამხრეთკავკასიისა და თურქეთის გავლით ივარაუდება, რაც თავის მხრივ, ამ კონკრეტულ საკითხში, აზერბაიჯანის როლის ზრდას გამოიწვევს. ამასთანავე, თურქეთ-ირანის საუკუნოვანი პაექრობა რეგიონში, კითხვის ნიშნის ქვეშ ტოვებს მათ მომავალ მჭიდრო თანამშრობლომას. თუ დავუშვებთ იმასაც, რომ ირანის გრძელვადიანი მიზანი რეგიონში ლიდერობაა. ჩინეთს, კარგი სავაჭრო ურთიერთობები აქვს სამხრეთ კავკასიასთან და მსხვილი ინვესტიცია ჩადო რეგიონში, აზიასა და ევროპას შორის არსებულ მთავარ გზაჯვარედინზე, ვინაიდან ჩინეთის გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, მის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენდა ევრაზიული გეოპოლიტიკური სივრცის გზაჯვარედინზე მყარად მოეკიდებინა ფეხი. საქართველოს შავი ზღვის პორტები, აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალი და სარკინიგზო ინფრასტრუქტურა, ფასდაუდებელი აქტივებია ჩინეთის სავაჭრო ამბიციებისთვის, დააკავშიროს ევრაზიის შიდა ნაწილი და ევროპა. ამასთანავე, მას კარგა ხანია აქვს ირანთან მჭიდრო ეკონომიკურ-ენერგეტიკული თანამშრომლობა. ჩინეთი ყიდულობს ირანის ენერგომატარებლებს. ჩინეთი იმედოვნებს, რომ მიაღწევს ირანული ენერგომატარებლების ფასების შემცირებას. ირანს, ჩინეთის ახალ პროექტში - „აბრეშუმის გზა“ ერთობ სასიცოცხლო პოზიცია უკავია, გამომდინარე გეოგრაფიული მდებარეობიდან, ქვეყნის სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პოტენციალიდან.

*(ავტორებს მითითებული აქვთ წყაროები - **რედ.**)*

ჩვენ კატეგორიულად ვერ მივეესალმებით ავტორების კეთილგანწყობას მათი, უდავოდ საინტერესო ანალიტიკური სტატიის ამ ნაწილში: „ახალმა აბრეშუმის გზამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს „საქართველოს რკინიგზის “ აფხაზეთის მონაკვეთის ამუშავებაშიც. მისი ამოქმედებით, უპირველეს ყოვლისა, რუსეთი დაინტერესდება, რადგან მიიღებს გასასვლელს სტრატეგიული მოკავშირეების – სომხეთის, ირანის, სირიის მაგისტრალებისკენ“ . სწორედ ამგვარი პერსპექტივის გამო, მიგვაჩნია, რომ ეს პროექტი მაქსიმალურად უნდა გაიწელოს დროში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერიოდამდე და რუსეთთან კეთილმეზობლური, თანაბარუფლებიანი პარტნიორული და სტრატეგიული ურთიერთობის ჩამოყალიბებამდე. მანამდე, ამ პროექტის სრულფასოვან ამოქმედებაზე თანხმობა ნიშნავს კაპიტულაციას აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიის მიმართ, რასაც ქართველი ერი არასოდეს შეეგუება, არც ცხინვალის რეგიონისა(რედ.).

„სადაურსა სად წაიყვან, სად აღუფხვრი სადით ძირსა"

ბავშვობაში დედა ხშირად ყიდულობდა წიგნებს, რომლებშიც მოთხრობილი იყო უცხოეთში მოღვაწე ქართველების შესახებ.

სწორედ მაშინ გავიგე ნიკო ბური - ბაგრატიონის აფრიკული თავგადასავლების შესახებ. ნიკო ბაგრატიონი გასული საუკუნის დასაწყისში წასულა აფრიკაში ლომებზედ სანადიროდ, სწორედ იქ გაუგია, რომ ბურებსა და ბრიტანელებს შორის ომი დაწყებულა. ბურები თავისუფლებისათვის იბრძოდნენ. ქართველი უფლისწულის გულმა ბურების დასახმარებლად გასწია და ჩაირიცხა ბურების თავისუფლებისათვის მებრძოლთა რიგებში. მის რაზმს დაუტყვევებია უინსტონ ჩერჩილი, რომლისთვისაც ურჩევია, რომ არ ჩარეულიყო ბრიტანელთა ამ დამპყრობლურ ომში.

შემდგომ ნიკო ბურიც ჩავარდნილა ბრიტანელთა ტყვეობაში, 100 მებრძოლთან ერთად მასაც დახვრეტა მიუსაჯეს, მაგრამ მისმა წარმომავლობამ უშველა და წმინდა ელენეს კუნძულზე გადაასახლეს, სწორედ იქ და იმ კარავში, რომელშიც ოდესღაც ნაპოლეონ ბონაპარტე ცხოვრობდაო.

ბავშვობაშივე გავიგე წმინდა ანთიმოზ ივერიელის ცხოვრების შესახებ, ის ჯერ ყმაწვილობისას გაუტაცნიათ ოსმალებს და გაუყიდიათ სტამბოლის ბაზარზე. ვალახეთის მთავარს გამოუსყიდია და წაუყვანია თავისთან, ეს ქვეყანა კი მის მეორე სამშობლოდ იქცა. წმინდა ანთიმოზ ივერიელი ვალახეთის მიტროპოლიტიც გახდა. მისი თაოსნობით უამრავი სასიკეთო საქმე გაკეთდა. ანთიმოზის ინიციატივით ითარგმნა ბიბლია რუმინულ ენაზე. ერთ-ერთმა რუმინელმა პოეტმა მას ლექსიც კი მიუძღვნა, რომლიდანაც მხოლოდ ეს სტროფი ჩარჩა ჩემს მეხსიერებაში: „აქ ანთიმოზ ივერიელს თავზედ დასთენებია, რომ შეექმნა ჩემი ხალხის, რუმინელთა ანბანი".

ანთიმოზ ივერიელი რუმინელი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის ავანგარდში იყო, იმხანად ხომ ის ქვეყანა ოსმალოს უღელქვეშ გმინავდა. წმინდა ანთიმოზ ივერიელი ვალახეთში ეწეოდა საგანმანათლებლო მოღვაწეობას, სტამბის დაფუძნების ინიციატორიც ყოფილა. ანთიმოზს არც თავისი ბედკრული სამშობლო დაჰვიწყებია, მან საქართველოში გამოგზავნა თავისი მოწაფე მიხაილ იშტვანოვიჩი, რომელმაც ქართულ სტამბაში 1709 წელს დაბეჭდა „სახარება". წმინდა ანთიმოზ ივერიელის მოღვაწეობას და მის რადიკალურ კურსს განმათავისუფლებელ მოძრაობაში იქაც გამოუჩნდნენ მტრები, დაუპირისპირეს მთავარს, აჰყარეს სამღვდელო ხარისხი, იგი ათონის მთაზე მიმავალი გზაში გარდაცვლილა.

ბავშვობაშივე შევიტყვე პირველად ძველი წარჩინებული ცნობილი საგვარეულოს დადიანების ბედისწერის შესახებ. წმინდა ცოტნე დადიანის შთამომავლები შინაური აშლილობის გამო იძულებული გამხდარან სამშობლოდან გადახვეწილიყვნენ და დამკვიდრებულიყვნენ მადიართა ქვეყანაში უნგრეთში ბალატონის ტბის ნაპირებზე.

ვიკიპედიის ქართულენოვანი პორტალი დადიანების შესახებ გვამცნობს:

სავარაუდოა, რომ დადიანები და ვარდანისძენი ერთი საგვარეულოს ორი განშტოება ყოფილიყო. წერილობითი წყაროებით ამ საგვარეულოს პირველი წარმომადგენელი იყო იოანე (ივანე) დადიანი, რომელიც 1046 წ. ამბებთან დაკავშირებით მოიხსენიება „მატიანე ქართლისაჲ"-ში. XII საუკუნის 80-იანი წლებისათვის დადიანები დასავლეთ საქართველოს უძლიერესი ფეოდალები იყვნენ (დადიანი, ბედან (ბედიან), დადიანი, ვარდან). XII-XV საუკუნეებში დადიანებს ეჭირათ ოდიშის და, სავარაუდოა, სამოქალაქოსა და ზოგჯერ სვანეთის ერისთავობაც.

XIV საუკუნის 20-იან წლებში დადიანების საგვარეულოს ერთი წევრი გურიის ერისთავიც გახდა; საგვარეულოს ერთი შტო, ბედან (ბედიან) დადიანის (XIII საუკუნის შუა წლები) ხანიდან მაინც, მემკვიდრეობით ფლობდა ოდი-

დასასრული გვ. 16

როგორ ინიღბებოდნენ ვერძანული „კაგებეს" - „შტაზის" აგენტები თავიანთ ქვეყანაში

კგბ-დ წოდებულ რუსულ საბჭოთა ოპრიჩნინას თავისი ფილიალები კომუნისტური ბანაკის თითქმის ყველა ქვეყანაში ჰქონდა გახსნილ-დამონტაჟებული. მათ შორის ყველაზე ძლიერი იყი გდრ-ს შტაზი, რომელიც განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა.

შტაზს თავისი უჯრედები ჰქონდა გახსნილი თითქმის ყოველ ოჯახში, ცოლი ქმარს უთვალთავალებდა და ქმარი ცოლს მსტოვრობდა, შვილები კი მშობლებს....ამ შტაზს კურირებდა პუტინი გდრ-ში, სადიანაც იწყება პუტინისა და ანგელინა მერკელის „ფროინდშაფტიც"...აი, მათი სიმბოლოც!

ეს იქ იყო და ადვილი წარმოსადგენია საბჭოეთის უკიდეგანო ციხე-სივრცეში რა იქნებოდა, მაგრამ ჩვენ ჯიუტად არ გვსურს ამაზე დაფიქრება და მისი გაცნობიერება დღევანდელობასთან მიმართებაში, ამგვარი სიბრიყვით კი ზარალდება საქმე...(რედ.).

11 სექტემბერი 2013, 11:49

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს, რომელიც ცნობილია, როგორც „შტაზი", ჰქონდა ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი სპეცსამსახურის რეპუტაცია მსოფლიოში.

გამოთვლილია, რომ „შტაზის" შტატიანი აგენტი იყო გდრ-ის ყოველი 166-ე მოქალაქე, ხოლო რაც შეეხება უშტატოებს - ქვეყნის ყოველი მე-7 მოქალაქე აქაური „კაგებეს" - იგივე „შტაზის" სამსახურში იდგა. „შტაზი" შეიქმნა 1950 წელს და მისმა მუშაობამ გასტანა 1989 წლამდე - ბერლინის კედლის დანგრევამდე.

„შტაზის" ფოტოების დიდი უმრავლესობა გასაიდუმლოებული იყო სოციალისტურ გერმანიაში. მაგრამ, როგორც „ბი-ბი-სის" კორესპონდენცია გვამცნობს, ბერლინელმა მხატვარმა სიმონ მენერმა „შტაზის" არქივებში 2 წლიანი მუშაობისას აღმოაჩინა ფოტოების მთელი სერია. მისი ყურადღება მიიქცია გდრ-ის სპეცსამსახურის საქმიანობის საგანგებო მხარემ - თუ შენიღბვის რა მეთოდებს იყენებდა „შტაზი".

'შტაზის" შენიღბვის მეთოდები ისე გამოიყურება, თითქოს ადამიანები ემზადებოდნენ მასკარადისათვის, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ეს იყო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე რეპრესიული სპეცსამსახური.

მენერის კოლექციაშია ფოტოები, სადაც აგენტებს უკეთებენ ხელოვნურ წვერ-ულვაშს, უცვლიან მაკიაჟს. „შტაზი" უთვალთვალებდა არამარტო გდრ-ის მთელ მოსახლეობას, არამედ - საკუთარ თანამშრომლებსაც და თანაც ამ უკანასკნელთ - ისეთი მასშტაბით, რომლის მსგავსიც არ მოსწრებია არცერთი ქვეყნის სპეცსამსახურს.

მენერმა იპოვა რამდენიმე ფოტოც, რომლებიც გადაღებული იყო ერთ-ერთი მაღალი რანგის ოფიცრის დაბადების დღეზე - სტუმრებს ევალებოდათ მოსულიყვნენ იმ ტანსაცმელში გამოწყობილნი, რითაც განასახიერებდნენ სოციალურ წრეებს, რომლებზეც „შტაზის" განსაკუთრებული თვალთვალი იყო დაწესებული - სპორტსმენებს, მშვიდობისათვის მებრძოლთ და რელიგიურ მოღვაწეებს.

„შტაზს" საკუთარი თანამშრომლებისთვის გამოცემული ჰქონდა შენიღბვის სახელმძღვანელო. მისი მიზანი იყო „შენიღბვის საშუალებათა არჩევის გაიოლება დავალებაზე მუშაობისას საველე პირობებში". შენიღბვის სახეების არჩევა ხდებოდა პროფესიების მიხედვით.

რიგ ფოტოებზე გამოსახულია საწვრთნელი დაპატიმრებები. იყო შემთხვევები, როდესაც ციხეში მყოფ დისიდენტებისგან ითხოვდნენ მათი დაპატიმრების სცენების აღდგენას ფოტოგადაღებებისთვის.

წყარო: http://news.ge/ge/news/story/63716-

„სადაურსა სად წაიყვან, სად აღუფხვრი სადით ძირსა"

დასაწყისი გვ. 15

შის ერისთავობას. 1557 წელს ამ შტოს წარმომადგენელი ლევან I დადიანი დამოუკიდებელი მთავარი გახდა. ამის შემდეგ „დადიანი" ოდიშის მთავრის ტიტულის აღმნიშვნელ ცნებად გადაიქცა. XVII საუკუნის 90-იან წლებში დადიანების პირველი დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი ლევან IV დადიანი იძულებული შეიქმნა ოდიში მიეტოვებინა და სამთავროს ფაქტობრივი გამგებელი გიორგი ლიპარტიანი (კაცია ჩიქოვანის ძე) გახდა. ჩიქოვანთა (ჩიქვანთა) გვარიდან დადიანის ტიტული პირველად კაცია I-მა, გიორგი ლიპარიტიანის ძემ, მიიღო (1704). ამრიგად, ოდიშის დადიანების მეორე დინასტიის ფუძემდებლები გიორგი ლიპარტიანი (გიორგი IV) და მისი ძე კაცია I იყვნენ. თანდათანობით დადიანი ოდიშის მთავრის ტიტულთან ერთად გიორგი IV-ის ძის ბეჟან I-ის შთამომავლების გვარ-სახელად გადაიქცა. ოდიშის სამთავროს გაუქმების შემდეგ „დადიანი" მხოლოდ გვარის აღმნიშვნელ სახელად დარჩა. 1802 წელს რუსეთის მეფის სუბიექტი ხდება და რუსეთის იმპერიის პრინცის ტიტული ენიჭება. ნიკო დადიანი სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი იყო, რომელიც 1857 წელს რუსეთის მთავრობამ გადააყენა, ხოლო მისი მთავრობა კი გააუქმა. ნიკო დადიანმა ტახტის მემკვიდრის ტიტული ოფიციალურად 1868 წელს უარჰყო.

ბოლო დროს ინტერნეტ სივრცეში ასეთ ცნობასაც წავაწყდი:

„დადიანების სასულიერო დინასტია უნგრეთში - როგორ გაარიდა ქართველმა სამხედრომ უნგრული რევოლუციის ლიდერი ცარისტულ არმიას.

უნგრეთში პირველი დადიანი, სახელად გიორგი, 1741 წლის ხელნაწერშია მოხსენიებული. ის XVII საუკუნეში საქართველოდან ტახტის მემკვიდრეობისთვის ატეხილი დავის გამო გაქცეულა ჯერ ოსმალეთში, შემდეგ კი ევროპაში. უნგრელები დადიანის გვარს შემოკლებით, „დადანის" სახით წერენ და გამოთქვამენ. საარქივო დოკუმენტაციაში უნგრელი დადიანების წინაპრად ლევან IV (1683-1691) დადიანია დასახელებული. ცნობილია, რომ იგი ლევან III დადიანის უკანონო შვილი იყო. ისტორიული წყაროებით, უნგრეთის ქალაქის, მიშკოლცის წმინდა სამების მართლმადიდებლური ტაძარი თავის მამულში აუშენებიათ დადიანებს. მოგვიანებით ქალაქის ქრონიკაშივე მოხსენიებულია ბუდაპეშტის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრისა და მასთან არსებული ორთოდოქსული ეპარქიის ერთ-ერთი დამაარსებელი ნაუმ დადიანი. სავარაუდოდ, ბუდაპეშტისა და მიშკოლცის ტაძრები ნაუმმა ააგო, რადგან მათი აშენების ნებართვა ნაუმის მოღვაწეობის პერიოდში, კერძოდ, 1783 წელსაა გაცემული.

ქართველებისა და უნგრელების ურთიერთობის შესახებ 1993 წელს უნგრეთის ერთ-ერთ გაზეთში პუბლიცისტ კადარ ზოლტანის სენსაციური სტატია გამოქვეყნდა. ავტორის ვარაუდით, უნგრეთის სახელმწიფოს დამაარსებლის, გამაქრისტიანებლისა და პირველი მეფის, იშტვან (სტეფანე) პირველის (997-1038) გვირგვინი ქართველმა ოსტატებმა შექმნეს... ზოლტანი ასკვნის, რომ გვირგვინი იშტვანის მეფობის დროს ხელმეორედ ქართველებს, კერძოდ, ხახულის კარედი ხატის (X-XII სს.) ოსტატებს შეუმკიათ. სწორედ ამით აიხსნება გვირგვინზე მოთავსებული მინანქრის მედალიონებისა და ხახულის ტრიპტიქონის დიდი მსგავსება." - გიორგი კალანდიას პუბლიკაციას, რომელიც გამოქვეყნებულია ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალის, „ისტორიანის" 2015 წლის ივლისის ნომერში.

ბუნებრივია დამაინტერესა ამ დიდებული გვარის წარმომავლობის ისტორიამაც და ისევ დღევანდელი ინტერნეტსივრცის წყალობით მოვიძიე ს. ჟაგათ-დადიანის ვებგვერდი სადაც მოთხრობილია თავისი სახელოვანი საგვარეულოს წარმომავლობის შესახებ.

ჩვენ რათქმაუნდა, ვერ ვიქნებით კატეგორიულები და ვერ შევძლებთ ამ ავტორის მონაცემებისა და ვერსიების ვერც უშუალო დადასტურებასა და ვერც უარყოფას, უბრალოდ დაგვაინტერესა მისეულმა ვერსიებმა და მოსაზრებებმა.

თავად დადიანების საგვარეულოს წარმოშობა

სტატია წიგნიდან

„მთავარ დადიანთა სახლობა"

დადიანები - სამეგრელოს მთავრები. საგვარეულო ცნობილია X საუკუნიდან. ოჯახური ლეგენდებისა და გადმოცემების თანახმად, არის თქმულება, რომ დადიანები წარმოსდგებიან ტროას მეფეთაგან - „Дадиани проследить их происхождение к ATLAS; ATLAS и PLEIONE была дочерью: ELECTRA; ELECTRA и ZEUS был сыном DARDANUS основателя Трои; DARDANUS был сыном: ERICHTONIUS, отец TROS, отец ILUS, отец LEOMEDON, отец царя Приама, HESINE и TITHONUS / Дафан, первый правитель CHOLCHIS / MINGRELIA; TITHONUS и EOS было MEMNON сына, который был также Фараон Египта (HAMNENOPETH), из которых WODEN / ОДИН является нисходящей, а затем ENGIST, король Batavia / Голландия, Фрисландия, Западной Германии, основатель ENGISTLAND / Англия, и праотец на английском языке;…".

თუმც მთავართა გვარის გენეალოგი იგორ მიქელაძე წერდა, რომ თავადი დადიანები წარმოსდგებიან სპარსეთიდან, უფრორე კი ამირებიდან, შესაძლებელია ანისისა და განჯის ემირებიდან - შედადიდებისაგან, მაგრამ ესეც არაა სარწმუნო ცნობა. იყო ასევე დადიანების წარმომავლობის სომხური ვერსიებიც, რამეთუ პირველი დადიანები ანისის სამეფოდან წარმოდგებიანო, მაგრამ ეს ვერსია ხშირად უარყოფილია, მათ შორის საოჯახო გადმოცემებითაც.

სტატიის ავტორი ასეთ ცნობასაც გვაწვდის, რომ 1699 წელს ლევან მეოთხე დადიანის ძე, დადიანთა პირველი დინასტიიდან წავიდა რუსეთში მეფე პეტრე ალექსეის ძის სამსახურში, სადაც დაქორწინდა იმერეთის მეფის არჩილ მეორის ასულ დარეჯან ბაგრატიონზე.

როგორც ვხედავთ ლევან დადიანის შთამომავლობა განბნეულა სხვადასხვა ქვეყნებში.

არსებობს, აგრეთვე დადიანების უმცროსი შტო:

დადიანები - სამეგრელოს მთავართა შტო, მისი საწყისია სვანი თავადი კაცია ჩიქოვანი, რომელმაც ისარგებლა მე-17 საუკუნის ბოლოს სამთავროში არსებული არეულობით და დაიკავა ქვეყანა და ტახტი. მისმა შთამომავლობამ - გიორგი დადიანმა 1803 წელს მიიღო რუსეთის ქვეშევრდომობა. თავადმა ნიკოლოზ დადიანმა კი 1867 წელს საბოლოოდ გადასცა რუსეთს თავისი უფლებები სამეგრელოს სამთავროზე. ეს შტო დღეს მრავალრიცხოვანია თავისი შთამომავლობით.

ევროპაში გავრცელდა ეს არისტოკრატიული შტო, ზოგიერთის მოსაზრებით მას არავითარი კავშირი არ აქვს ჩვენებურ საგვარეულოსთან. მაგრამ ეს ასე არაა..

ტრანსილვანიის დადიანების არისტოკრატიული შტო - დადიანი დე გულშევი, რომელთაც მამულები ჰქონდათ ტრანსილვანიის, ვალახიის და უნგრეთის ტერიტორიაზე. მათი მოდგმა უნგრეთში დაფუძნდა 1784 წელს. თითქოსდა მათი წარმომავლობა ბურუსითაა მოცული, მაგრამ ვერ გავექცევით იტორიულ ფაქტებს:

1691 წელს სამეგრელოს მთავარი ლევან მეოთხე დადიანი იძულებული შეიქნა დაეტოვებინა ქვეყანა და გაეშურა კონსტანტინეპოლში. მას ჰყავდა 7 ვაჟიშვილი, მათგან უფროსი შევიდა რუსეთის სამსახურში და იქ აღიარეს პრინც დადიანად. 1722 წელს ხუთი მათგანი რუსეთის საზღვრებს გარეთ ცხოვრობდა. ლევანის ვაჟები მიმოიფანტნენ პოლონეთში, საბერძნეთში, მოლდოვასა და უნგრეთში.

დადიანების საგვარეულო ნათესაურ კავშირშია ცნობილ საგვარეულოებთან სტადიონი, სინა, მავროკორდათოს მფლობელთან, თავადებთან და მთავრებთან იპისტანტებთან, მოგვიანებით კი ჰერცოგ დე კასტრისთან და ჰარკორტის ვიკონტებთან, დემბინის გრაფებთან და თავად დრაკუეშტებთან (დრაკულები).

ამგვარად, შევეცადეთ, თუნდაც ზედაპირულად, მოგვეძია სხვის მიწაზე ნახარები ჩვენი სამშობლოდან გადარგული ნერგები.

ალექსანდრე სანდუხაძე

თიბისი ბანკის ოხუნჯობა თუ ტექნიკური ხარვეზი?...

თიბისი ბანკის სწრაფი ჩარიცხვის აპარატები ხურდა ფულს(1-2 ლარიანს) არ იღებს და ამის შესახებ, ბანკის ადმინისტრაცია ვალდებულად არ თვლის თავს ინფორმირებული ჰყავდეს მომხმარებელი. როგორც წესი, სწრაფი გადახდის ყველა ბანკის აპარატი 50-თეთრამდე მომსახურეობის გადახდას აკისრებს მომხმარებელს. გამოდის, რომ არაინფორმირებულმა მომხმარებელმა, თუ თიბისი ბანკის აპარატით ისარგებლა და ქაღალდის კუპიური უკვე შეიტანა, ერთი ან ორი ლარის გადასახდელად სხვა ბანკის აპარატთან უნდა გადაინაცვლას, სადაც დამატებით კიდევ 50 თეთრი უნდა გადაიხადოს. ხოლო, ვითარებაში გასარკვევად თუ დარეკავ თიბისი ბანკის ცხელ ხაზზე, აქაც უნდა დაგაყაჩაღონ, რადგან ცხელი ხაზის მომსახურებაც ფასიანია.

ასე, ყოველმხრივ ყვლეფავენ ბანკები ღატაკ და სოციალურად ისედაც დაუცველ ფენას.

ბანკების კონტროლი კი, არცერთი ხელისუფლების ინტერესში არ შედის! **(რედ.).**

მართლა დაარბიეს თუ არა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საფლავი? ...

მას შემდეგ, რაც facebook-ით გავრცელდა შემაშფოთებელი ინფორმაცია, 23 აგვისტოს, მთაწმინდის პანთეონში, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ძვალთშესალაგის დარბევასთან დაკავშირებით, მთელი კვირა არ შეწყვეტილა მითქმა-მოთქმა და გულწრფელი პროტესტის ხმა ქართველი ერის მხრიდან. მე და ზვიად-მერაბის თანამებრძოლი, უზენაესი საბჭოს დეპუტატი სოხუმიდან ნუგზარ მგალობლიშვილი, მეორე დღეს - 24 აგვისტოს ღამით ავედით მთაწმინდაზე. გზაზე ორივენი ძალიან ვღელავდით და დაძაბული მგზავრობდით, მაგრამ ზვიადის საფლავთან მიახლოებისთანავე ორივეს შვება მოგვეცა, რამეთუ პრეზიდენტის საფლავი ჩვეულებრივ მოწესრიგებულ-მოვლილ მდგომარეობაში დაგვხდა. ჩვენსავით სხვანიც შეშფოთებულან და ჩვენამდე მოუნახულებიათ სათაყვანებელი პრეზიდენტის საფლავი და ყვავილებიც აეტანათ. მიუხედავად გვიანი მწუხრისა, ჩვენს იქ ყოფნაშიც შეწუხებული მოდიოდნენ სხვადასხვა ასაკის ადამიანები (ახალგაზრდებიც).

ობიექტურ ვითარებაში გასარკვევად ჩვენ გავესაუბრეთ მამადავითის ეკლესიის მრევლს ბატონ ოთარ ჭელიძეს, რომელმაც გვითხრა: „მე თითქმის დღისა და ღამის განმავლობაში, სანამ დარაჯი კარიბჭეს არ დაკეტავს, აქ ვტრიალებ-ხოლმე და საფლავის შეურაცხყოფის ან დარბევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია, ეს ნამდვილად არ გამომეპარებოდა. შეიძლება ეს ხის პატარა ჯვარი, ვინმემ დაუდევრად გადაადგილა ან სულაც ქარმა მოაფრიალა. აი, დახედეთ, აქ თიხისა და კერამიკის ქოთნებიცაა და დარბევის შემთხვევაში ხომ ადვილად დაზიანდებოდა? ჩვენ კი ვხედავთ, რომ ყველაფერი უვნებლად დგას. ეკლესიის მოძღვრები და მსახურებიც ძალიან ყურადღებით არიან ხოლმე და ყველა მამულიშვილის საფლავებს მზრუნველობენ, განსაკუთრებით პრეზიდენტის საფლავს... ვფიქრობ, გაზვიადებას აქვს ადგილი ან შეგნებულ დეზინფორმაციას ამ ისედაც დაძაბულ ვითარებაში“-ო...

ოთარ ჭელიძე ნუგზარ მგალობლიშვილთან ერთად

ჩვენ ისღა დაგვრჩენოდა ფოტოები გადაგვეღო მოვლილ-მოწესრიგებულ პრეზიდენტის საფლავთან, რათა შეწყვეტილიყო მითქმა-მოთქმა დ აჟიოტაჟი. მე, ცხადია, დარგული საზაფხულო ყვავილების (რაზედაც აპელირებდნენ ინფორმაციის გამავრცელებლები) ბედითაც დავინტერესდი; ბატონმა ოთარმა განგვიმარტა, რომ აქ დარგული სეზონური ყვავილები გადახმა, რისგანაც მოსუფთავდა საფლავი და მოჩიჩქვნის კვალიც ეტყობაო. სექტემბერ-ოქტომბრიდან, უთუოდ განაახლებენ ყვავილების ნარგავებსო. 24 აგვისტოს, დღისით, საფლავზე ასულან ქ-ნ მანანა არჩვაძე სამ ქალბატონთან ერთად, რომლებსაც განუახლებიათ ქოთნის ყვავილები, რაც ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის სიუჟეტშიც ვიხილეთ, მაგრამ, არც კორესპონდენტის და არც ქ-ნ მანანას მხრიდან არაფერი თქმულა საფლავის წინა დღით „დარბევის“ შესახებ, არამედ სიუჟეტი ეხებოდა პრეზიდენტის მკვლელობის გამოუძიებლობის საკითხს(იხ. ლინკი http://rustavi2.ge/ka/news/83340) .

ამადაც, იმ ნიშნისგებას, რომ თითქოს ჩვენ საფლავის მოსანახულებლად ავედით მეორე დღის ღამით, ანუ იმ დროს, როდესაც საფლავი ქ-ნ მანანას მიერ უკვე მოწესრიგებული იყო, ვერ გავიზიარებთ, მითუმეტეს, როცა ინფორმაციის გამავრცელებლებმა, ვერცერთი სერიოზული თუ დამაჯერებელი მტკიცებულება ვერ დადეს დარბევის კადრებისა.

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საფლავის, ვითომცდა დარბევის დეზინფორმაციის გამავრცელებელი (პირველწყარო) კი გახლავთ ფეის-მომხმარებელი Kaxaber Mistrali, რომელიც ამოფარებულია „ნიკს“. მე იგი ადრე მყავდა მეგობრებში, მაგრამ ავანტიურისტული პოსტების გამო გავაუქმე მასთან მეგობრობა. როგორც მოგვიანებით გამოვარკვიე Kaxaber Mistrali-ს ფსევდონიმით ფეის-სივრცეში დარეგისტრირებული ეს პიროვნება, რეალურად ყოფილა ქ-ნ მანანას ჯგუფიდან, პროფესიით მხატვარი კახაბერ ხუხუნაიშვილი. მის ინფორმაციაზე დაყრდნობით, საფლავის დარბევის ცნობა გაავრცელა რამდენიმე საინფორმაციო სააგენტომ, ხოლო გაზეთ „ასავალ-დასავალის“ კორესპონდენტი გიორგი გიგაური, ცნობას, ამგვარი სათაურით გამოეხმაურა: „ვანდალები და დამკვეთები სასტიკად უნდა დაისაჯონ!

მთაწმინდის პანთეონში ვანდალებმა საქართველოს პირველი პრეზიდენტისა და ეროვნული გმირის - ზვიად გამსახურდიას საფლავი დაარბიეს!“

ზვიადის საფლავი, მართლა რომ დაერბიათ, ამ ვინმე „მისტრალის“ (კართოტეკის ფსევდონიმად ჟღერს სამხედრო დაზვერვისა) ქომაგობის იმედად დარჩებოდნენ ზვიადის შვილები და ამ დრომდე გაიყურსებოდნენ?... საქმე იმაშია, რომ ამგვარი ცრუ ინფორმაცია, ამ ჯგუფმა 2007 წლის 24 მაისსაც გაავრცელა, რაზეც პრეზიდენტის შვილმა გიორგი გამსახურდიამ უპასუხა, რომ ზვიადის საფლავის დარბევა არ მომხდარაო: „გამსახურდიების ოჯახი უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას საფლავის დარბევის თაობაზე. როგორც „პირველს“ პირველი პრეზიდენტის ვაჟმა გიორგი გამსახურდიამ განუცხადა, საფლავიდან ქოთნები და ძველი ყვავილები მისი დავალებით აიღეს და არანაირ დარბევას ადგილი არ ჰქონია"(24 May 2007, 16:09 #5686812 · http://pirveli.com.ge).

„მისტრალს“ ანონიმური ვიდეოჩანაწერით მხარი აუბა ლონდონიდან (როგორც თვით გვამცნობს) ჩამოსულმა Giorgi Megrelishvili -მა, რომელმაც საკუთარ ფეის-გვერდზე დადო მობილურით ატვირთული ანონიმი მღვდლის ხმა, რომელიც თითქოს „ადასტურებს“ პრეზიდენტის საფლავის დარბევას. ჩვენ, ცხადია, გიორგი მეგრელიშვილსაც მოვთხოვეთ გაესაჯაროვებინა მღვდლის ვინაობა, რათა ჩვენც აგვეღო ინტერვიუ „მოწმე მღვდლისგან“, რაზედაც მეგრელიშვილმა კატეგორიული უარით გვიპასუხა. მის უარზე ჩვენი რეაქციაც ანალოგიურად კატეგორიული იყო: ვალდებული ხართ, თქვენივე აუდიოჩანაწერის სანდოობისათვის, დაასახელოთ მამაოს ვინაობა, საბჭოური ანონიმური ავტორების ეპოქა წავიდა! ლონდონში გიცხოვრიათ და იქ ასეთ „პროფესიულ“ საქმიანობას ეწევით? საბჭოურ-ჟურნალისტურს? (მინიშნება გავაკეთეთ საბჭოური ხანის გაზეთ „კომუნისტის“ ერთ-ერთ კორესპონდენტ, მის მოგვარე მეგრელიშვილზე...).

გიორგი მეგრელიშვილისა და კახაბერ ხუხუნაიშვილი (-„მისტრალი„ს)-თან პოლემიკაში, ჩვენ ვერც ზრდილობის ეთიკურ ნორმებს წავაწყდით და ვერც ვერანაირ პოლემიკის კულტურას; გარდა იმისა, რომ თავად უხეშობდნენ, შემოგვისიეს თავიანთი დამქაშები „მრგვალი მაგიდის“ ჯგუფიდან, რომლებიც უშვერ, შეურაცხმყოფელ და ცილისმწამებლურ სიტყვებს არ იშურებდნენ ჩვენი მისამართით, რაშიც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ნინო გრიგოლაშვილმა, ია ბებიამ, გელა რაზმაძემ, ლამარი ქოიავამ, ელზა ჩინჩალაძემ, ლია ქალდანმა...

ეს ის ჯგუფია ქ-ნ მანანა არჩვაძის „მრგვალი მაგიდიდან“, რომლებიც თავად შედგნენ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საფლავზე, ბარებითა და ნიჩფებით, 2010 წლის 17 თებერვალს და მოინდომეს მთაწმინდის პანთეონიდან მისი ამოთხრა ქ-ნ მანანას განკარგულებით. ხოლო ამ დღის ნამდვილი და შემაძრწუნებელი ვანდალიზმი კი არცერთ მათგანს არ გაუპროტესტებია, არავის აღმოაჩნდა საღი გონება, ისედაც მრავალგზის წამებული პრეზიდენტის ნეშტისადმი სათანადო პატივისა თუ კრძალვის განცდა და არც სახელმწიფოებრივი თვითშეგნება. ეს თავად ვანდალი და ბარბაროსი ე.წ. „მრგვალი მაგიდელები“, დღეს საეჭვო ხმაურს ტეხენ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საფლავის, ვითომ ხელახალი დარბევის შესახებ.

ამგვარი ცრუ განგაშები ხომ არ ემსახურება უკეთურ მიზანს ე.წ. მრგვალი მაგიდელების უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ალექსანდრე ჟღენტის და პრემიერ-მინისტრ მანანა არჩვაძის მხრიდან, რომ საბოლოოდ შექმნან აზრი ზვიადის საფლავის მთაწმინდის პანთეონში დაუცველობის შესახებ და მოამზადონ ალიბი მისი კოლხურ კოშკში გადასვენებისა?

ხომ ცნობილია, რომ ქალბატონ მანანა არჩვაძეს არ სურდა ზვიადის დაკრძალვა მთაწმინდაზე და ეს საკითხი, ოდენ, განსვენებული პრეზიდენტის ვაჟიშვილებისა და ქართველი ერის ნებით გახორციელდა, რაც სააკაშვილის ხელისუფლების მიერ პრაგმატული მოსაზრებით იქნა მხარდაჭერილი.

ჩვენი უმორჩილესი თხოვნაა, რომ შეწყდეს მითქმა-მოთქმა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის საფლავთან დაკავშირებით, რამეთუ, ზოგჯერ როყიო ნათქვამსაც შეუძლია ხოლმე დანაშაულის პროვოცირება...

ლეილა ცომაია

ჯანმრთელობის გვერდი

რა მოხდება, თუ ყოველ დღე კვერცხს მიირთმევთ?

კვერცხი კვების ერთ-ერთი სასარგებლო პროდუქტია. მასში დიდი რაოდენობით არის რკინა, ამინომჟავები და ანტიოქსიდანტები. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ აქ ლაპარაკია ორგანულ კვერცხზე და არა კვერცხის ფხვნილზე და მსგავს პროდუქტებზე.

ჩვენი სხეული 11 სახის შეუცვლელ ცხიმოვანი მჟავას გამოიმუშავებს, რომელიც აუცილებელია ორგანიზმის სწორი ფუნქციონირებისთვის, ხოლო კვერცხი შეიცავს დანარჩენ 9 მჟავას, რომელიც ასევე აუცილებელია ვენთვის. უფრო კონკრეტულად რომ განვმარტოთ, ამ 9 ცხიმოვანი მჟავის არარსებობა, შეიძლება გახდეს ქრონიკული დაღლილობის, კანის არაჯანსაღი მდგომარეობის, თმის ცვენის და იმუნური სისტემის დასუსტების მიზეზი.

აქედან გამომდინარე, კვერცხის რეგულარული მოხმარება, თქვენს ორგანიზმს შემდეგ სარგებელს მოუტანს:

1. კვერცხი ამაღლებს იმუნურ სისტემას.

დღეში ერთ-ორ კვერცხს შეუძლია დახმარება აღმოგიჩინოთ სხვადასხვა სახის ინფექციებთან ბრძოლაში, რადგან მის შემადგენლობაში დიდი რაოდენობით არის სელენი – უმნიშვნელოვანესი მიკროელემენტი ჩვენი იმუნური სისტემისთვის.

2. კვერცხი ამცირებს სტრესს და ნერვიულობას.

კვერცხი შეიცავს შეუცვლელ ამინომჟავეებს, რომლებიც დადებითად მოქმედებენ ადამიანის ფსიქიკურ მდგომარეობაზე, ის ხელს უწყობს სერატონინის გამომუშავებას, რომელიც ადამიანის მოდუნებაზე, სიმშვიდეზე და კარგ ხასიათზე ყოფნის პასუხისმგებელი ნეირომედიატორია. გარდა ამისა, მასზე არის დამოკიდებული ის, თუ რამდენად სწორედ აღიქვამს ჩვენი ტვინი ორგანიზმის მდგომარეობას და მის გარეთ განვითარებულ მოვლენებს.

3. კვერცხი ხელს უწყობს კბილებისა და ძვლების გამაგრებას.

კვერცხი, მზის სხივებთან ერთად, D ვიტამინის საუკეთესო წყაროა. ამ ვიტამინს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ძვლებისა და კბილების ზრდა განვითარებისთვის. ის იმ მხრივაც არის სასარგებლო, რომ კალციუმს შთანთქავს, რომელიც აუცილებელია ნივთიერებათა ცვლის, საჭმლის მომნელებელი სისტემის და გულის ნორმალური ფუნქციონირებისთვის

4. კვერცხი აუმჯობესებს კოგნიტურ (ლათ. cognitio - შემეცნება) ფუნქციას.

კვერცხი შეიცავს ქოლინს (ვიტამინი B4), რომელიც სასარგებლოა აზროვნების პროცესისთვის. გამოკვლევების თანახმად, ქოლინის დეფიციტი ქმნის დემენციის (დაავადება, რომელიც ხასიათდება მეხსიერების და გონებრივი შესაძლებლობების ნაწილობრივი დაკარგვა) განვითარების რისკს, ნერვოლოგიურ აშლილობას, ალცგეიმერის დაავადებას და კოგნიტურ დარღვევებს

5. კვერცხი აუმჯობესებს კანის მდგომარეობას.

კვერცხში დიდი რაოდენობით არის სხვადასხვა სახის ვიტამინი, რომლებიც ხელს უწყობენ თმის სწრაფ ზრდას, კანისა და მხედველობის კარგ მდგომარეობაში ყოფნას, ასევე, ეს ვიტამინები მნიშვნელოვანია ღვიძლის ნორმალური ფუნქციონირებისთვის. კვერცხი განსაკუთრებით მდიდარია B2 და B12 ვიტამინებით. კვლევების შედეგად დადგენილია, რომ ამ ვიტამინებს გადამწყვეტ მნიშვნელობა აქვთ კოგნიტური ფუნქციის ნორმალურად მუშაობისთვის და საერთოდ, ნერვული სისტემის ჯანმრთელობისთვის..

6. კვერცხი წონის დაკლების სტიმულატორია.

კვერცხი უზრუნველყოფს მაძღრობის შეგრძნებას. ამიტომ, იდეალური პროდუქტია საუზმესთვის. ის ამცირებს მადას და ზედმეტი საკვების მიღების რისკს. დადგენილია, რომ ადამიანები, რომლებიც საუზმეზე კვერცხს მიირთმევენ, დღის მანძილზე ნაკლებ კალორიებს იღებენ

7. კვერცხი სასარგებლოა მხედველობისთვის.

კვერცხის შემადგენლობაში 2 სახის ანტიოქსიდანტია: ლუთეინი და ზეაკსანტინი, რომლებიც აუმჯობესებენ მხედველობას. ამის გარდა, ისინი ამცირებენ თვალის დაავადებების (კატარაქტა და ყვითელი ლაქის დისტროფია) განვითარების რისკს.

წყარო: http://news.lider.ge/sakitxavi/jamrteloba-da-fitnesi/2330--.html

ალბათ გსმენიათ, რომ მარილი საზიანოა ორგანიზმისთვის, დროა სიმართლე გაიგოთ

სიკვდილი - სწორედ ასე მოიხსენიებენ მარილს, თუმცა პლინიუსმა თქვა, რომ ეს არის საუკეთესო წამალი, რომელის შესახებ ბევრმა არ იცის.

აღმოჩნდა, რომ თუ წყალსა და მარილს დააბალანსებთ, ამით შეძლებთ არა მარტო მრავალი დაავადების პრევენციას, არამედ მოიშორებთ მას სამუდამოდ.

დაიმახსოვრეთ ერთი უბრალო და ადვილად შესასრულებელი დავალება - ნახევარი ჩაის კოვზი მარილი და 2 ლიტრი წყალი დღეში დაგეხმარებათ შეინარჩუნოთ ჯანმრთელობა დიდი სნის განმავლობაში. სასარგებლო თვისებები, რომელიც ამ რეცეპტს ახლავს თან:

●უჯრედებს უნარჩუნებეს ბალანსს.

●ამცირებს სხეულის მჟავიანობას - გიხსნით ალცჰეიმერისა და თირკმლის დაავადებებისგან.

●იდეალურია ასთმით დაავადებულთათვის. დაიტანეთ ენაზე ცოტაოდენი მარილი და მიირთვით რამდენიმე ჭიქა წყალი, როდესაც მარილი წყალში გაიხსნება შეტევაც მალევე გაივლის.

●გიხსნით სტრესისა და დეპრესიისგან.

●სასარგებლოა დიაბეტით დაავადებულებისათვის.

●პასუხისმგებელია კუნთების ტონუსზე.

●აქტიურადაა ჩართული ტვინის ნერვულ იმპულსების მონელებასა და გადაცემაში.

●ათავისუფლებს მშრალი ხველისაგან, ასევე შლის ჭარბ ლორწოს.

●ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ოსტეოპოროზი არის წყლის და მარილის ნაკლებობის შედეგი.

●ხელს უშლის ვარიკოზული ვენების ჩამოყალიბებას.

სპორტული თამაშების ან ცხელი კლიმატის დროს, არ უნდა დაგვავიწყდეს საკმარისი მარილის მიღება. მის გარეშე სხეულში სწრაფად გროვდება წყალი. სხვათა შორის, მისი ნაკლებობის დროს უმარტივესად ვითარდება გულის ასთმა და ჰიპერტენზია.

ავტორი: ნიკოლოზ ხუციშვილი
წყარო: http://intermedia.ge/

პიტნის ჩაი ძალიან გემრიელი და სასარგებლოა

ეს ჯადოსნური სასმელი რელაქსაციის ბუნებრივი საშუალებაა – ამშვიდებს ნერვულ სისტემას და მშვიდი ძილის საწინდარია, რადგან არ შეიცავს კოფეინს.

წარმოგიდგენთ რამდენიმე სასარგებლო თვისებას, რის გამოც პიტნის ჩაი შეგიყვარდებათ:

- საჭმლის მონელების პროცესს უწყობს ხელს.
- გეხმარებათ, რომ ღამით მშვიდად გეძინოთ.
- საჭმლის მომნელებელ სისტემასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში დაგეხმარებათ. (განსაკუთრებით სასარგებლოა მეტეორიზმის და გულისრევის დროს).
- ამცირებს სტრესს.
- სასარგებლოა ღვიძლისთვის.
- დადებითად აისახება ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.
- პირის ღრუში სასიამოვნო არომატს უზრუნველყოფს.
- ამშვიდებს პრობლემურ კანს.
- თავის ტკივილისგან გაგათავისუფლებთ.

წყარო: http://www.kirurgia.ge/ka/msoflio-samedicino-siakhleebi

თავისუფალი ტრიბუნა

ჩემი მოგონება აფხაზეთზე



აფხაზეთი ჩემთვის თვალხილული სამოთხეა. სოხუმი - ეს ქალაქი ჩემთვის იყო სილამაზის, ბუნების და აღმაფრენის ზეიმი. სოხუმში ჩემი ყოველი ჩასვლა იყო ბედნიერების აღქმა, ხანმოკლე დიდი სიამოვნება, ცხოვრებით ტკბობა და ჩემი გრძნობადი ინსტიქტების წესრიგში მოყვანა, ნეტარი დასვენება, აღდგენა სასიცოცხლო ძალის და მომავალი ცხოვრებისათვის ტკბობა და ჩემი გრძნობადი ინსტიქტების წესრიგში მოყვანა, ნეტარი დასვენება, აღდგენა სასიცოცხლო ძალის და მომავალი ცხოვრებისათვის იმედების დასახვა. აფხაზი ხალხი კი, ვინც გამიცვნია, ისეთი თბილი გრძნობა გამჩენია მათ მიმართ, როგორც დიდი ხნის მონატრებული ძმებისა და დების მიმართ. ასეთი ამაღელვებელი იყო ჩვენი ყოველი შეხვედრა. ჩვენი ასეთი თბილი ურთიერთდამოკიდებულება მამხნევებდა, ძალას მაძლევდა, უგულითადეს გრძნობას მიღვიძებდა.

ადლერი ხომ სამოთხის ხილვის ცოცხალი ობიექტი იყო. პირველად განვიცადე ბუნების უდიდესი სილამაზის განუზომელი ძალა, რაც უფრო მიზიდავდა მისი ბუნება, მით უფრო იზრდებოდა ჩემში ურთიერთგამომრიცხავი ნარევი გრძნობა სიამაყის, რომ მეც თუნდაც მცირედი ნაწილით, მაგრამ მაინც ამ ბუნების შვილად ვთვლიდი თავს. ამ იდეალური გრძნობით ტკბობის ძალა იყო ის, რომ მეც ამ ბუნების ნაწილს წარმოვადგენდი. მაგრამ, ამასთან ერთად მძაფრად მეწურებოდა გული, რომ ეს აღარ იყო ჩვენი, საქართველოს ნაწილი. რუსეთმა, საქართველოს ამ დაუძინებელმა მტერმა წაგვართვა, წაგვგლიჯა ჯერ ადლერი და სოჭა და შემდეგ მათმა (რუსეთის) ემისარმა საქართვლეოში, ვითომცდა ქართველმა შევარდნაძემ (რომელსაც მისი სისხლის ქართული ნაწილი გაყინული ჰქონდა) შეძლო, სოჭის და ადლერის შეერთების შემდეგ, რუსეთისთვის სანუკვარი ოცნება აეხდინა და აფხაზეთიც დააპყრობინა.

ვინ ამბობს, რომ აფხაზეთი და საქართვლო, ის ორი განუყოფელი სისხლისმიერი ძმობა თვით აფხაზებმა და ქართველებმა დაანგრია? ვინ ამბობს იმას, რომ ქართველმა ესროლა აფხაზ ძმას? არა და არა, აქ მხოლოდ რუსეთის მიერ საქართველოში ჩაბუდებული არაქართული, დიახ არაქართული სისხლის გამოვლინება იყო შევარდნაძის გამცემლური პოლიტიკა. რაში მდგომარეობდა ეს პოლიტიკა? იცოდა მან, რომ აფხაზები არ აპატიებდნენ ქართველებს ოდნავ დაპირისპირებას, გამოაგზავნა ჯაბას კრიმინალური რაზმი და გააძარცვინა აფხაზეთის მოსხალეობა. ვინ და რომელი ქართველი ან აფხაზი გაპატიებს, ოჯახი და ერი ააწიოკოს და გათახსირებინოს? ეს კარგად იცოდა შევარდნაძემ, რომ აფხაზები არ აპატიებდნენ ქართველებს ასეთი შეიარაღებული ძალის მოვლინებას აფხაზეთში და ამიტომაც იჩინა თავი აფხაზი ხალხის ვაჟკაცურმა, პატრიოტულმა, უპატიებელმა გრძნობამ, ქართველებთან დაპირისპირებაში ეჩვენებინათ საკუთარი უპირატესობა, აფხაზი ხალხის სიამაყის დათრგუნვის გზით ჯაბა იოსელიანის კრიმინალური რაზმით დაიმორჩილებდენ მათ, ასე ეგონათ! როგორც აფხაზები, ისე ქართველები, აღმოჩნდნენ შევარდნაძის გაიძვერული, მოღალატური პოლიტიკის მსხვერპლნი, ეს ორი ძმა სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდნენ ურთიერთს. სად იყო ამ დროს ქართველი და აფხაზი ხალხის სიბრძნე, სად იყო, სად?! არ აღმოჩნდა თავის ისტორიულად ტრადიციულ გონივრულ სიმაღლეზე. რატომ აყვნენ შევარდნაძის მოღალატურ, გამცემლურ სურვილს დაკარგულიყო დასაბამიდან დღემდე არსებული ძმობა და მოსპობილიყო? შევარდნაძემ კი ის ამოცანა, რომელიც მას დააკისრა რუსეთმა, რომელაც ამ მისიით გამოგზავნა იგი საქართველოში, უაღრესად სრულყოფილად შეასრულა, ჩააბარა აფხაზეთი რუსეთს. თვითონ კი გამოიქცა თბილისში, ვითომ მეომარი „საქართველოს ინტერესებისათვის“. თვალთმაქცი შევარდნაძე, მაშინ როცა შარტავა თავს იმეტებდა და ისიც არ დაინდო, გამოიქცა და ამით თავს უშველა. საქართველოს მოღალატე და დაუძინებელი მტერი შევარდნაძე თბილისში ჩამოვიდა უვნებელი. თუმცა რა გასაკვირია, კაცმა ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, ძალმომრეობით და თვითნებურად კავკასიონზე გაათხრევინა როკის გვირაბი, განა ეს უნდა ეპატიებია ქართველ ხალხს მისთვის? მაგრამ ჩვენმა უგუნურებამ ეს წარმოუდგენლად დიდი დანაშაული არც კი გაახმაურა, მცირედი გამონაკლის ადამიანთა გარდა,თუმცა ვინ გაითვალისწინა მათი კანონიერი მოთხოვნა, არ გაეჭრათ კავკასიონი? ეს ხომ საქართველოს საზიანო ნაბიჯი იყო, მაგრამ რუსეთისთვის კი დიდად სასარგებლო!!! აი, აქედან უნდა მიხვედრილიყო ქართველი საზოგადოება, ის პირები რომლებსაც დიდი პრეტენზია და ამბიციები გააჩნიათ საკუთარ გამორჩეულობაზე – ვინ იყო შევარდნაძე საქართველოსთვის?! ირინე სარიშვილი, რომელმაც დააჩოქა ეს „ელიტარული ქართველი საზოგადოება“, ოღონდაც შევარდნაძე (ეს საქართველოს დაუძინებელი მტერი) არ წასულიყო საქართველოდან და დარჩენილიყო საქართველოს „საბედნიეროდ“. როგორ შეიძლება ასე გაუაზრებლად ენდო, არ გაანალიზო მისი ყოველი ნაბიჯი, მისი საქმიანობა და ეს პირველი მტერი საქართველოსი ჩათვალო საქართველოს მხსნელად? სად იყვნენ ან სად არიან ის ადამიანები დღეს? თავი რომ მოჰქონდათ ყველაზე ჭკვიანად, ბრძენ მოქალაქეებად და საქართველოს ბედის განმგებლებად? გასაკვირია, მაგრამ ისინი დღესაც კვლავ საქართველოს მმართველთა სათავეებში ბუდობენ, დაფასებულები და კვლავ „ელიტარული ინტელიგენციად“ იხსენიებიან. აი, ჩვენი ზოგიერთი ამპარტავანი „მოღვაწეების“, პოლიტიკოსების „სიბრძნე“. რა უნდა მოვითხოვოთ ასეთი ქართველებისაგან? სწორედ მათი უჭკუობით იღუპება საქართველო და არავინ არის განმკითხველი. შეაჩერონ ეს პირები, რომლებიც სამშობლოს წინაშე ნამდვილი ცოდვილები არიან. პატრიოტობა მათ გაიგივებული აქვთ თავიანთი კეთილდღეობის უზრუნველყოფასთან. მათ დაღუპეს საქართველო, აყვნენ შევარდნაძის გამცემლურ მტრულ გზას, არ გაანალიზეს თავისი ნაბიჯი, სწორედ რომ შევარდნაძის „დამსახურებაა“ , რომ დავკარგეთ აფხაზეთი. ამბობენ დროებითო, მაგრამ ეს „დროებითობა“ როდემდე გაგრძელდება? მე ხომ მას ვერ მოვესწრები? ეს დედამიწაზე ერთადერთი სამოთხე შევარდნაძემ ასე ჩაუგდო ხელში რუსეთს. ისტორიულად ხომ ყოველთვის ასე იყო, მაშინ ვაგებდით დაპირისპირებულ სახელმწიფოსთან ომს, როცა საქართველოს წიაღშივე აგნებდა მტერი გამცემს და მოღალატეს და ამ გზით აღწევდა კიდეც თავის მიზანს. ჩვენ კი ვეგუებით ასეთ მოღალატე ადამიანებთან ურთიერთობას, ვაღიარებთ მათ კეთილდღეობით არსებობას. აბა ვინ გამოუცხადა შევარდნაძეს ვერდიქტი, მისი მოღალატური პოლიტიკის გამო, ვინ გასამართლა იგი? ასეთი პირდაპირობა აკრძალულია თვით ეკლესიის მიერაც. ეს რას ნიშნავს? მაშ, მოღალატეებს უნდა ეპატიებოდეს სამშობლოს ღალატი? ეს რა ქვეყანაა, სად არის მეორე ასეთი ქვეყანა, იქნებ ამიხსნათ? მხოლოდ საქართველო უნდა გამოირჩეოდეს ამ უზნეობით მთელ მსოფლიოში? რა ვქნათ ჩვენ ამ ერთეულმა პირებმა, ჩავიგდოთ ენა? არ ვთქვათ, არ ვაღიაროთ თუნდაც ის, რომ შევარდნაძეს ასე პომპეზურად მოუწყვეს დასაფლავება, სწორი იყო?

არ ვარ ახალგაზრდა, ვარ 95 წლის, თორემ რომ ვიყო ახალგაზრდა, მაშინ სწორედ მე ჩემი უმწეო ხელებით და თითებით ამოვთხრიდი საფლავიდან იმ მოღალატეს ქართულ მიწას არ ვაღირსებდი. აი, ასეთი ზიზღი მაქვს იმ ადამიანის მიმართ და მიკვირს, მხოლოდ მე რატომ უნდა ვლაპარაკობდე მის წინააღმდეგ, რატომ დუმან ვითომ პატრიოტები? გგონიათ ხართ გენიოსები, ჰუმანურები? ეს თქვენი უმწეობაა და ეს კარგად გაიგეთ! ყველას უნდა დაერქვას ის რანიც არიან. ასევე მეც, თუ ვინმე გამკიცხავს, მეც ვარ ალბათ დაბოღმილი, ვღალატობ ქრისტეს მცნებას, მაგრამ იესოც ხომ ვერ ეგუებოდა სიყალბეს, გაუტანლობას? სამშობლოს ღალატი ხომ იგივეა, რაც ღმერთის მცნების ღალატი? როგორც ღმერთია ერთი ქვეყანაზე, ისე სამშობლოც ხომ ერთია ჩვენთვის? ვიცი ამ სათქმელს ჩემს მეტი არავინ იტყვის. დაე, მე გამკიცხონ თუ ვარ გასაკიცხი. ვიცი ღმერთი გამიგებს, მომაგებს საკადრის პასუხს თუ რამე დავაშავე. აქამდე ვცხოვრობდი, ვფიქრობ ქრისტიანულად, თუ ეხლა დავუშვი შეცდომა დაე, მაგემოს პასუხი თვით ღმერთმა. მის სასჯელს შევეგებები სიამოვნებით, მაგრამ მწამს ამ სიმართლისთვის არ დამსჯის და პირიქით ბევრჯერ ვიქნები მოწმე, როგორც ყოველთვის, მისი სასწაულებისა და წყალობის.

გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

ელენე აბაშიძე

რელიგია

ადგილი ლოცვისათვის

შეიძლება სიარულის დროს ან დაწოლილ მდგომარეობაში ლოცვა? როდესაც სახლში ლოცულობ, აუცილებელლია სახარების კითხვისას ფეხზე დგომა? შეიძლება სახარების კითხვა საზოგადო ტრანსპორტში?

როდესაც ლოცვის წესს არ ასრულებ, ლოცვა შეიძლება ნებისმიერ მდგომარეობაში, ხოლო როდესაც ლოცვის წესს ასრულებ, მაშინ რაიმეზე დაყრდნობაც და აუცილებლობის გარეშე ჯდომაც კი ცოდვაა. თუ, შეგიძლია სახარების კითხვა ფეხზე მდგომარე უკეთესია; ხოლო თუ დაიღალე, ან შეუძლოდ ხარ, მაშინ დამჯდარმა წაიკითხე მოწიწებით. საზოგადო ტრანსპორტში უმჯობესია ვიკითხოთ ფსალმუნები.

როდესაც ზიხარ, ან დადიხარ, ან რაღაცით დაკავებული ხარ, ან ჭამ, ან სხვა რაიმეს სხეულებრივი მოთხოვნილებისთვის აკეთებ, მაშინ პირით აღმოსავლეთისკენ იქნები თუ დასავლეთისკენ, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ნუ დაგაეჭვებს ლოცვა, რამეთუ ჩვენ მცნება მივიღეთ, რომ ის მოუკლებელად და ყველგან აღვასრულოთ. წერილში ნათქვამია: „გზა-უყავთ მას, რომელი-იგი ამაღლდა დასავალით; უფალ არს სახელი მისი“ (ფსალ. 67, 4), ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ღმერთი ყველგანაა. მაშინაც კი, როდესაც თავდაბურული ხარ, ლოცვას ნუ მიატოვებ, არამედ მხოლოდ იმას დაუკვირდი, რომ ეს უგულისყუროდ არ გააკეთო.

თუ ფსალმუნთგალობის ან ადამიანთა გარემოში ყოფნისას ღმერთს ბაგეების გარეშე მოუხმობ, არ გეგონოს თითქოს ეს მოხმობა არაა, არამედ გახსოვდეს, რომ ის გულთამხილავია და გულს აკვირდება, ამიტომაც გულში მოუხმე მას. წერილში სწორედ ესაა ნათქვამი: „დაჰხაშ კარი შენი და ილოცე მამისა შენისა მიმართ ფარულად“ (მათე 6, 6). მაშ დავახშოთ ბაგეები და გულში ვილოცოთ, რამეთუ ვინც ბაგეებს ხშავს და ღმერთს უხმობს, ან გულში ლოცულობს, ის აღნიშნულ მცნებას ასრულებს. და თუ გულშიც ვერ მოუხმობ ღვთის სახელს, არამედ მხოლოდ გაიხსენებ, მაშინ ეს უფრო ადვილად მოსახერხებელია და შეწევნის მისაღებად საკმარისია.

საყვარელნო, ლოცვისათვის ნუ ვეძიებთ ადგილსა სავედრებელსა, ნუცა მრავლის მეტყველებასა ლოცვასა შინა და გრძელთა სიტყვათა, არამედ ვითარცა ქანანელი იტყოდა, „შემიწყალე მე უფალო, რამეთუ ასული ჩემი ბოროტად ეშმაკეულ არს“, ეგრეთვე შენცა იტყოდე: „უფალო, შემიწყალე მე, რამეთუ სული ჩემი ბოროტად იგვემების ეშმაკთაგან“. დაღაცათუ მცირე არიან ესე სიტყვანი, არამედ უფროს კაცთ-მოყვარებანი (წყალობანი)ღვთისანი! სადაცა არს წყალობა ღვთისა, მუნ ყოველი კეთილი, და სადაცა იყო, ესრეთ იტყოდე: „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი“. უკეთუმცა არა აღძრნე ბაგენი, არამედ გონებითა გულსა შინა ესრეთ ღაღად-ჰყავ, რამეთუ მდუმრიად თქმულიცა ლოცვანი ისმინის ღმერთმან. ხოლო შენ თვით ტაძარი ხარ ღვთისა ცხოველისა! რად ეძიებ ადგილსა ლოცვისასა, რამეთუ ღმერთი ყოველგან არს? იხილე, ვითარ მოსე ივლტოდა ეგვიპტით პირისაგან ფარაოსა? ზღვა იყო პირით კერძო (წინ) და ფარაო ზურგით (უკან) და შორის (მათსა) მოსე, და დიდი იწროება იყო მისა. არა იყო მისაყრდნობელ მისა ვედრებად ღვთისა, (ლოცვის მეტი სხვა გზა არ იყო). და ჰრქვა მოსეს ღმერთმან, „რასა ღაღადებ ჩემდამო?“ ხოლო ეგრეთვე სამნი ყრმანიცა შეთხეულნი სახმილსა შინა ილოცვიდეს და ლოცვამან მათმან დაშრიტა ალი ცეცხლისა, და საკრველნი მათნი დახსნა, და ცხოველნი გამოიყვანნა იგინი და დიდებულად გამოაჩინა ძალმან ლოცვისამან. ხოლო ეგრეთვე იობ სკორესა ზედა (სანახვეზედ) ილოცვიდა და ღმერთი მოწყალე ჰყო. უკეთუ შენზედაცა მოვიდეს, ძმაო, განსაცდელი, მაშინ ღვთისა მიმართ მიივლტოდე და ევედრებოდე, რათა გიხსნას შენ, რამეთუ ღმერთი ყოველგან არს და მახლობელ შენსა, რამეთუ ვიდრეღა შენ იტყოდე გულითა წმიდითა, გრქვას: „აჰა ესერა მე შენთანა ვარ“. და არღარა აღგესრულებინოს, ლოცვა, (შენ ლოცვამდის) მან მოგცეს შენ ლხინება და ცხოვრება საუკუნო, რამეთუ მისა ჰშვენის ლოცვა და თაყვანის-ცემა, აწ, და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

განრისხება



104. თუ შეიძლება, რომ განვურისხდეთ მოყვასს?

მხოლოდ მოძღვარსა და წინამძღვარს შეუძლია განურისხდეს ვინმეს, ისიც მხოლოდ რაიმე მოღვაწეობის გამო, ხოლო სხვას არავის. განრისხება სამართლიანია მხოლოდ ეშმაკთა მიმართ.

ის კაცი, რომელიც ისრე გულფიცხელია და ისე გაჯავრდება, როგორც გაცოფებული მხეცი, და გაჯავრებული არ დაზოგავს კაცსა, სრულიად მხეცი არის და ღვთი სახე აღარ არის მის გულში; ხოლო კაცი გონიერი და ღვთის მოშიში გულს გაიმაგრებს, არ გაჯავრდება და თუ გინდ გული მოუვიდეს და გაფიცხდეს, მაინც ისრე არ მოიქცევა, რომ მხეცს დაემსგავსოს.

საშინელი ის არის, და იქმნება თქვენც გაგეგონოსთ ამისთანა მაგალითი, რომ გაფიცხებულს კაცს ჩხუბში მოეკლას კაცი. აჰა, რა საშინელს ცოდვასა შინა შთავარდება კაცი, თუ გაფიცხელდა. ამისთვის, ძმაო, როდესაც გული მოგივა და გაფიცხლდები, მოიგონე ეს სიტყვა მაცხოვრისა: „ნეტარ იყვნენ მშვიდნი“ და გული დაიმშვიდე და გექმნება ღვთისაგან დიდი მადლი.

665. როდესაც დავინახავ, რომ ვიღაცა სიწმიდეს შეურაცხყოფს, ან წმინდა სარწმუნოებას გმობს, მაშინ თითქოსდა მოშურნეობის გამო ვღშფოთდები მასზე. რას ნიშნავს ეს?

შენ უკვე მოისმინე, რომ გამოსწორება ბოროტებით კი არა, სიკეთით აღესრულება. ამიტომ, ვინც ამას სჩადის, მშვიდად და სულგრძელად უთხარ, და ღვთის შიშით შეაგონე. ხოლო თუ ხედავ, რომ თავად შფოთდები, მაშინ არაფერი არ უნდა უთხრა.

რომელ თქვენგანს შეუძლია, განრისხების ჟამს უკბინოს ადამიანს. ალბათ იტყვით, რომ ეს შეშლილის საქციელია. ახლა მოუსმინეთ, რას ამბობს იოანე ოქროპირი ამის გამო: „ფიზიკურ კბენაზე უარესია სიტყვიერად ამ ბოროტების ჩადენა, რადგანაც პირველნი ხორცს გლეჯენ კბილებით, ხოლო მეორენი სულს ასახიჩრებენ სიტყვებით, უკურნებელ ჭრილობას აყენებენ ღირსებას. რაც უფრო მეტ ტკივილს მიაყენებს ამის ჩამდენი სხვას, მით მეტი იქნება მისი სასჯელი“.

ქვეყანაზე არ არსებობს ვითარება, რომლის გამოც გაბრაზება ღირდეს. რა არის სულზე და მის სიმშვიდეზე უმჯობესი? მაგრამ ჯვარი ადვილად გვართმევს სიმშვიდეს. ადამიანი თვითონაა თავის თავის მიმართ დამნაშავე. ისევ თვითონ იბერება და სხვის უსამართლობებს აზვიადებს თავის სულში. გულში ფარულად ითვისებს სხვათა ცოდვების გასამართლებას, დასჯასუფლებას და არა თავისას. ეს ყველაფერია... ადამიანი რომ ხედავდეს თავის ცოდვებს და განიცდიდეს, სიბრაზეც არ შეიპყრობდა.

„გული გიწყრებოდენ და ნუ სცოდავთ. მზე ნუ დაჰვალნ განრისხებასა თქვენსა“. როდესაც გესმის, ძმაო ჩემო, ეს სიტყვები: „გული გიწყრებოდეს“, არ იფიქრო, რომ მოციქული პავლე წყრომის და მრისხანების ნებას გაძლევდეს. რადგანაც იმან იცის, რომელ ჩვენი დაცემულის ბუნებისათვის შეუძლებელია ზოგჯერ მაინც გულისწყრომა არ მოუვიდეს კაცს, ამას დაგითმობს და გეტყვის: რადგანაც შეუძლებელი არისო გული არ გიწყრებოდესო, იმოდენა მაინც ეცადე, რომ ცოდვად არ გადიქცეს გულისწყრომაო.

როდესაც გულისწყრომა მომდინარეობს ამპარტავნებისაგან, ანგაარებისაგან, ანუ სხვათა ამის მსგავსთა გრძნობათაგან, მაშინ ადვილად შთაგაგდებს შენ იგი ცოდვასა შინა. მაშინ შენ უნდა მალე დააცხრო ესრეთი გულისწყრომა. ამისთვის იტყვის მოციქული: „მზე ნუ დაჰვალნ განრისხებასა თქვენსა“. მართლა, ვინ არ იცის რაოდენთა ცოდვათა შინა შთააგდებს კაცს მრისხანება, მეტადრე უგნური. როდესაც კაცი განრისხდება, მაშინ ყოველი, რაც არის მის სულში და გულში კეთილი თვისება და გრძნობა, დაჩუმდება და ნაცვლად აღდგებიან და აღიძვრებიან ყოველნი მხეცურნი თვისებანი და მიდრეკილებანი.

69. მცოდველთა მიმართ ნუ განვრისხდებით, თუნდაც რომ დანაშაული იყოს, რაც ჩაიდინეს, ღირსი სასჯელისა, არამედ, როგორც თვით სამართალი მოითხოვს ამას, დამნაშავეთა მოქცევა გვმართებს და დასჯაც მათი, თუ საჭიროა, ან თვით ჩვენგანვე ან სხვათა მიერ, მაგრამ მათ მიმართ განრისხება ან გულისწყრომა არ ეგების, რადგან რისხვა ვნების შესაბამისად მოქმედებს მხოლოდ, არათუ - განმსჯელობისა და სიმართლის ნიშნით. ამასთან, არც ის გვმართებს, რომ ვიწონებდეთ არაჯეროვნად შემწყნარებლებს, თუმცა კი სწორედ სიკეთისა და სიმართლის გამო უნდა ვსჯიდეთ უკეთურებებს და არა - იმ რისხვის გამო, თვით ჩვენივე ვნება რომ არის.

წყარო: http://sibrdzne.ge

დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

გაზეთი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404511658
რედაქტორი ლეილა ცომაია
საკონტაქტო ტელეფონი: 92 36 55

გაზეთი გამოდის შემოწირულობებით
ვებგვერდი: ***http://ganmatavisuflebeli. webs. com***
ელ. ფოსტა: ***ganmatavisuflebeli@yahoo. com***